# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 18 მარტი 2003 №46 (1817) ფასი 50 თეთრი


# დინამოს პატრონებმა შუშაკი დაამშვიდეს

## კულუარებში კი მის ერთ-ერთ შესაძლო შემცვლელად არგენტინელსაც ასახელებენ

### ვინ არის გაეტანო როდრიგესი?



# ჩივაძემ ქეცბაიას ნაკრები აჩუქა



ერთწლიანი შესვენების მერე ეროვნულ ნაკრებს უბრუნდება მისი ოდინდელი კაპიტანი და მთავარმევოლე თემურ ქეცბაია.

დღეს ქეცბაია 35 წლის შესრულდა და ალექსანდრე ჩივაძისგან უკეთესს საჩუქარს ალბათ ვერც ინატრებდა. კვიპროსის „ანართოსისში" მოთამაშე ქართველი ნახევარმცველის დასტურიც დროის ამბავია.

აქვე დავაზუსტოთ, რომ ქეცბაიამ ნაკრებში ბოლოს შარშან, 27 მარტს სამხრეთ აფრიკასთან ამხანაგურ მატჩში ითამაშა და ტრავმის გამო შესაცვლელი შეიქნა. ეს იყო და, საქართველოს ეროვნული გუნდისა და ქეცბაიას გზები აღარ გადაკვეთილა.

ჩივაძემ ირლანდია-შვეიცარიის დასახვედრად შეგულებულ 12 ლეგიონერს ქეცბაიას გარდა თურქულ „ქოჯაელში" მოთამაშე გივი დიდავა და რევაზ ქემოკლიძეც დაამატა, ნაკრების სრულ შემადგენლობას კი დღევანდელი სათასო მატჩების მერელა დაასახელებს.



დემიენ დაფი თბილისშიც მოგვესალმება

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი

## ჩვენი მეტოქეები

# კერი დაფ-დაფით მოდის

### ირლანდია

**ირლანდიის** ეროვნული ნაკრების თავკაცმა ბრაიან კერიმ 23-კაციანი შემადგენლობა დაასახელა. სწორედ ამათგან აარჩევს კერი იმ საჭირო ფეხბურთელებს, 29 მარტს თბილისში ქართველებს რომ დაუპირისპირებს.

კერი ოფიციალურ მატჩში წარმატებული დებიუტის მოლოდინშია და, ფაქტობრივად, ყველა უძლიერეს „სამყურას" უხმო სანაკრებოდ. შეგახსენებთ, რომ მიკ მაკარტის შემცვლელმა ბრაიან კერიმ ახალი საქმე გამარჯვებით დაიწყო — მისმა ირლანდიამ ამხანაგურ მატჩში შოტლანდიას სძლია სტუმრად. მაგრამ სულ სხვაა ოფიციალურ შეხვედრაში გამარჯვება, მით უფრო, რომ რუსეთთან და შვეიცარიასთან დამარცხებით ამბიციური კუნძულელები სატურნირო თვალსაზრისით არასახარბიელო სიტუაციაში არიან და თბილისში აპირებენ არეული საქმის გამოსწორებას.

კერიმ 23 ფეხბურთელში დაასახელა ბლექბერნელი დემიენ დაფიც. ეს ფეხბურთელი ტრავმის გამო ექვსი კვირით იყო ჩამოშორებული ფეხბურთს. დაფი შაბათს დაბრუნდა მოედანზე და შედეგიანადაც — გოლით ლომის წილი დაიდო მრისხანე „არსენალის" დამარცხებაში.

თბილისში ჩამოვლენ რობი კინი და ჯეისონ მაკატირიც, ამათ შოტლანდიასთან არ უთამაშიათ. სანდერლენდელი მაკატირი კარგა ხანია, ნაკრებს ჩამოშორებული იყო, მაგრამ კერიმ ამ გამოცდილი ნახევარმცველის სამსახური ისურვა და მაკატირიც ბობოქრობს — კლუბში თუ ცუდად მიმდის საქმე, სანაკრებოდ არ შევირცხვენ თავსო.

ირლანდიელების 23-კაციანი შემადგენლობა ასეთია:

***მეკარეები:*** *შეი გივენი (ნიუკასლი, ინგლისი), დინ კელი (ჩარლტონი, ინგლისი), ნიკ კოლგანი (ჰიბერნიანი, შოტლანდია);*

***მცველები:*** *სტივენ კარი (ტოტენჰემი, ინგლისი), გარი ბრინი (ვესტ ჰემი, ინგლისი), ენდი ობრაიენი (ნიუკასლი, ინგლისი), კენი კანინგემი (ბირმინგემი, ინგლისი), სტივ ფინანი (ფულემი, ინგლისი), გარი კელი, იან ჰარტე (ორივე ლიდსი, ინგლისი), ჯონ ოში (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი);*

***ნახევარმცველები:*** *ჯეისონ მაკატირი, კევინ კილბეინი (ორივე სანდერლენდი, ინგლისი), ლი კარსლი (ევერტონი, ინგლისი), მარკ კინსელა (ასტონ ვილა, ინგლისი), დემიენ დაფი (ბლექბერნი, ინგლისი), მეტ ჰოლანდი (იფსვიჩი, ინგლისი), სტივენ რიდი (მილუოლი, ინგლისი), კოლინ ჰელი (სელტიკი, შოტლანდია);*

***თავდამსხმელები:*** *რობი კინი, გარი დოჰერტი (ორივე ტოტენჰემი, ინგლისი), კლინტონ მორისონი (ბირმინგემი, ინგლისი), დევიდ კონოლი (უიმბლდონი, ინგლისი)*

---

საქართველოს პირველი ლიგა ჩემპიონატი 14 პირველი წრე

## 16 ტური

**გურია 0:3 სპარტაკი**

**ლაზიკა 3:0 თსუ**

**ალაზანი 3:1 ჭაბუკთა ნაკრები**

**ქობულეთი 1:0 ცხინვალი**

**მერცხალი 5:1 სამტრედია**

**დინამო 2 1:0 სამგურალი**

**მცხეთა 3:1 ივერია**

**ლოკომოტივი 2 3:0 ხობი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლაზიკა | 16 | 10 | 5 | 1 | 38:16 | 35 |
| მერცხალი | 16 | 10 | 4 | 2 | 26:9 | 34 |
| დინამო 2 | 16 | 8 | 3 | 5 | 22:14 | 27 |
| მცხეთა | 16 | 7 | 5 | 4 | 24:14 | 26 |
| ცხინვალი | 16 | 7 | 5 | 4 | 22:13 | 26 |
| ივერია | 16 | 7 | 3 | 6 | 21:20 | 24 |
| ლოკომოტივი 2 | 16 | 6 | 6 | 4 | 17:11 | 24 |
| სამგურალი | 16 | 6 | 5 | 5 | 17:15 | 23 |
| ქობულეთი | 16 | 7 | 1 | 8 | 10:16 | 22 |
| სპარტაკი | 16 | 6 | 4 | 6 | 17:16 | 22 |
| თსუ | 16 | 6 | 4 | 6 | 11:14 | 22 |
| ჭაბუკთა ნაკრები | 16 | 6 | 3 | 7 | 22:18 | 21 |
| გურია | 16 | 4 | 4 | 8 | 12:24 | 16 |
| ხობი | 16 | 3 | 4 | 9 | 9:22 | 13 |
| სამტრედია | 16 | 3 | 2 | 11 | 12:30 | 11 |
| ალაზანი | 16 | 1 | 4 | 11 | 12:40 | 7 |

### უკრაინა

მე-17 ტური: შახტარი — დნიპრო 2:0; დინამო — ჩერნომორეცი 2:0; მ. ზაპოროჟიე — მეტალისტი 2:0; კრივბასი — მ. დონეცკი 0:2; ტავრია — არსენალი 1:0; ვოლინი — ილიჩევეცი 2:1; ვორსკლა — ოლიქსანდრია 2:1; ობოლონი — კარპატი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შახტარი | 17 | 14 | 2 | 1 | 34:12 | 44 |
| დინამო | 17 | 11 | 4 | 2 | 37:11 | 37 |
| დნიპრო | 17 | 11 | 3 | 3 | 26:12 | 36 |
| არსენალი | 17 | 10 | 4 | 3 | 38:14 | 34 |
| მ. დონეცკი | 17 | 10 | 4 | 3 | 25:13 | 34 |
| ვოლინი | 17 | 8 | 2 | 7 | 23:27 | 26 |
| ტავრია | 17 | 6 | 2 | 9 | 19:28 | 20 |
| ილიჩევეცი | 17 | 5 | 4 | 8 | 21:24 | 19 |
| ოლიქსანდრია | 17 | 4 | 7 | 6 | 18:24 | 19 |
| კარპატი | 17 | 4 | 6 | 7 | 16:19 | 18 |
| კრივბასი | 17 | 4 | 6 | 7 | 14:19 | 18 |
| ობოლონი | 17 | 4 | 5 | 8 | 16:21 | 17 |
| მეტალისტი | 17 | 4 | 4 | 9 | 10:23 | 16 |
| მ. ზაპოროჟიე | 17 | 3 | 5 | 9 | 11:24 | 14 |
| ვორსკლა | 17 | 4 | 2 | 11 | 10:30 | 14 |
| ჩერნომორეცი | 17 | 3 | 2 | 12 | 11:28 | 11 |

### დანია

მე-19 ტური: ბრონდბიუ — ვიბორგი 2:1; კიოგე — ოლბორგი 1:1; მიდტიულანდი — ესბიერგი 2:0; სილკებორგი — აკადემისკი 3:1; ოდენსე — კოპენჰაგენი 2:0. ფარუმი — ორჰუსი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოპენჰაგენი | 19 | 11 | 5 | 3 | 30:18 | 38 |
| ბრონდბიუ | 19 | 9 | 5 | 5 | 38:21 | 32 |
| მიდტიულანდი | 19 | 7 | 6 | 6 | 28:23 | 27 |
| ოლბორგი | 19 | 8 | 3 | 8 | 26:28 | 27 |
| ფარუმი | 18 | 9 | 0 | 9 | 26:35 | 27 |
| ოდენსე | 19 | 7 | 5 | 7 | 30:26 | 26 |
| ესბიერგი | 19 | 6 | 7 | 6 | 37:38 | 25 |
| აკადემისკი | 19 | 5 | 8 | 6 | 24:23 | 23 |
| კიოგე | 19 | 7 | 2 | 10 | 31:41 | 23 |
| ორჰუსი | 18 | 6 | 4 | 8 | 26:33 | 22 |
| ვიბორგი | 19 | 5 | 6 | 8 | 32:37 | 21 |
| სილკებორგი | 19 | 5 | 5 | 9 | 26:31 | 20 |

### გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
XXV ტური

**ვალდჰოფი 0:3 ფრაიბურგი**

0:1 ბაირამოვიჩი (66), 0:2 რამდამე (83), 0:3 ცქიტიშვილი (90)

**ფრაიბურგი:** გოლცი, შუმანი (ბუტი 46), მიულერი, ბერნერი, **კობიაშვილი**, ბაირამოვიჩი (დიარა 82), ჰერმერი, **ცქიტიშვილი**, კულიბალი, გუიე-მიენი (რამდანე 63), ტანკო

**მწვრთნელი:** ფოლკერ ფინკე

### ჩეხეთი

მე-20 ტური: ბრნო — სიგმა 0:0; ბანიკი — ბუდეიოვიცე 1:0; სინოტი — სპარტა 0:1; ჰ. კრალოვე — ზლინი 1:1; ბლშანი — პრჟიბრამი 4:3; ჟიჟკოვი — იაბლონეცი 2:1; სლავია — ტეპლიცე 3:1; ლიბერეცი — ბოჰემიანსი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 20 | 14 | 3 | 3 | 35:9 | 45 |
| სლავია | 20 | 12 | 7 | 1 | 41:13 | 43 |
| ლიბერეცი | 20 | 11 | 2 | 7 | 30:27 | 35 |
| ბანიკი | 20 | 10 | 4 | 6 | 30:21 | 34 |
| ჟიჟკოვი | 20 | 10 | 4 | 6 | 29:26 | 34 |
| ტეპლიცე | 20 | 10 | 3 | 7 | 24:22 | 33 |
| სინოტი | 19 | 8 | 5 | 6 | 22:20 | 29 |
| პრჟიბრამი | 20 | 6 | 6 | 8 | 25:23 | 24 |
| ბლშანი | 20 | 7 | 3 | 10 | 21:25 | 24 |
| ბუდეიოვიცე | 20 | 7 | 3 | 10 | 25:33 | 24 |
| ზლინი | 20 | 5 | 7 | 8 | 21:30 | 22 |
| ბრნო | 20 | 5 | 6 | 9 | 20:23 | 21 |
| იაბლონეცი | 20 | 4 | 9 | 7 | 21:30 | 21 |
| სიგმა | 19 | 4 | 6 | 9 | 16:21 | 18 |
| ბოჰემიანსი | 20 | 3 | 6 | 11 | 27:43 | 15 |
| ჰ. კრალოვე | 20 | 1 | 10 | 9 | 16:37 | 13 |






### იტალია

სერია B. XXVI ტური

**სიენა 0:0 ანკონა**

### პორტუგალია

პირველი ლიგა. XXV ტური

**ვარზიმი 0:1 გიმარაეში**

# გამიკვირდა და ვიჩქარე

## შოთა არველაძე ორჯერ არ ითამაშებს

სულ ორჯერ იყო, რომ შოთა არველაძე კონკურენციის გამო ვერ მოხვდა „რეინჯერსის" სასტარტოში. ლიგის თასის გუშინწინდელ „ოლდ ფირმში" ქართველი მხოლოდ ბოლო წუთებზე შეუშვეს „ჰემპდენ პარკის" მინდორზე. შოთასაც პირველ რიგში ამაზე ვკითხეთ.

**— ეს იმიტომ ხომ არ მოხდა, რომ წინა შეხვედრაში, ჩემპიონატის მატჩში იმავ „სელტიკთან" თამაში არ წაგივიდა?**

— ის თამაში ნამდვილად არ ჩამიგდია და ვერ გეტყვით, რატომ არ შემიყვანა სასტარტოში ალექს მაკლიშმა. მან მატჩის წინ დამიძახა და მითხრა, საწყის თერთმეტეულში არ იქნებიო, რაც გამიკვირდა.

**— შეცვლაზე ერთობ აქტიურად შეხვედი, ნეილ ლენონს სულაც „წითელი" აჰკიდე, ერთი კარგი პასიც გააკეთე და რაბ დუგლასის კარსაც დაემუქრე...**

— ერთი კარგი მომენტი მართლაც მქონდა, მაგრამ ბურთს ფეხი კარგად ვერ მოვუქნიე — ალბათ, ვჩქარობდი და ამის ბრალი იყო.

**— თასის მოგება ზარ-ზეიმით აღნიშნეთ?**

— არა, განსაკუთრებული არაფერი ყოფილა.

**— როგორ ფიქრობ, მომდევნო მატჩებში სასტარტოში იქნები?**

— მარჯვენა ფეხის კუნთი მტკივა და შეიძლება, ორი თამაში ამის გამო გამოვტოვო კიდეც.

**დავით თავართქილაძე**




# აშვეთიას იღბალმა ჩივაძე აატირა



*მარცხით დაიწყო რუსული პრემიერლიგა ვლადიკავკაზის „სპარტაკ-ალანიამ". ოსები შინაურ კედლებში დარჩნენ უქულოდ, არადა, მათი მეტოქე მოსკოვის „დინამო" სულაც არ ჩანდა დიდი ხვითო. რევაზ ძოძუაშვილის შეგირდები ბევრს კი ეცადნენ, მაგრამ ზემოთაც ვთქვით, საბოლოოდ ქულაც ვერ აართვეს დედაქალაქელებს.*

*მატჩის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი ქართველი თავდამსხმელი მიხეილ აშვეთია იყო. ჩვენებურმა რიგიანად ითამაშა, მაგრამ მატჩის მიწურულს ის შანსი გაუშვა ხელიდან, „სპარტაკ-ალანიას" მარცხისგან რომ იხსნიდა — აშვეთიას თერთმეტრიანი მოსკოველთა მეკარე ბერეზოვსკიმ მოიგერია.*

— რომ ვთქვა, ვნერვიულობდიო, მართალი არ ვიქნები. ამაზე უფრო გაცილებით რთულ მომენტებში ამიღია საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა. ეს უბრალოდ იღბლის თამაში იყო. არ გამიმართლა — გვითხრა გუშინ მიხეილ აშვეთიამ — მეკარე თავიდანვე მიხვდა, რომელ კუთხეშიც ვურტყამდი.

**— ალბათ, კლუბის ხელმძღვანელობა ამ მარცხმა ძალიან გაანაწყენა...**

— ცხადია. გული ყველას დაწყდა, მაგრამ ტრაგედია არავის შეუქმნია. ეს ფეხბურთია. დღეს არ გაგვიმართლა, ხვალ გაგვიმართლებს. ახლა ყურების ჩამოყრა სისულელეა, მთელი ჩემპიონატი წინაა.

**— თავად არცთუ ურიგოდ თამაშობდი. რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმენი „დინამოს" კართან...**

— ჩემი თამაშით მაინც უკმაყოფილო ვარ. უფრო მეტი შემიძლია და ვეცდები, მომავალ ტურებში მოვუმატო.

**— გოლების გატანას როდისღა დაიწყებ?**

— რაც უფრო მალე, მით უკეთესი. ახლა მოსკოვის „სპარტაკს" ვხვდებით და იმედი მაქვს, წარმატებით ვითამაშებთ. ჩემი გოლიც, ალბათ, ერთ-ერთი აგური იქნება ამ საქმეში.

**— ნაკრებში გამოგიძახეს...**

— „სპარტაკთან" თამაშის შემდეგ თბილისში აუცილებლად ჩამოვალ. ნაკრებში მიწვევამ ძალიან გამახარა.

**— შენს თამაშს ვლადიკავკაზში ეროვნული ნაკრების თავკაცი ალექსანდრე ჩივაძეც ესწრებოდა, ხომ არ შეხვედრიხარ?**

— არა. წაგებამ ისეთ ცუდ ხასიათზე დამაყენა, რომ არაფრის თავი არ მქონდა. როგორც კი მატჩი დამთავრდა, სტადიონი დავტოვე.

**ბაჩა შალამბერიძე**

## სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებზე
საქართველო – ირლანდია და საქართველო – შვეიცარია
აკრედიტაციისთვის სფფ-ს პრეს-სამსახურს მიმართეთ 21 მარტამდე

# წითელი საფრთხე

## ქემოკლიძემ ჯანაშიას თამაში არ აცალა

**უიღბლოდ** დაიწყო რუსული პრემიერლიგა ქართველთათვის. ერთადერთი ჩვენებურის გუნდი მოსკოვის „ლოკომოტივია", პირველი სამი ქულა რომ მიითვალა, რკინიგზელებმა ელისტაში დასცეს „ურალანი". მალხაზ ასათიანს ამ მატჩში თავის გამოჩენის შანსი არ მისცემია. საქმე ისაა, რომ ქართველმა ნახევარმცველმა წინა დღით, ამ გუნდების სარეზერვო შემადგენლობების მატჩში ითამაშა და მხოლოდ გაფრთხილებას დასჯერდა. ახალგაზრდა ლოკომოტიველებმა 0:1 წააგეს ელისტელებთან.

საგულისხმოა ისიც, რომ რუსული პრემიერლიგის პირველ ტურში მხოლოდ სამმა ჩვენებურმა ითამაშა. აშვეთია-მენთეშაშვილის „სპარტაკ-ალანიამ" შინ მოსკოვის „დინამოსთან" დაყარა ფარ-ხმალი. რევაზ ძოძუაშვილის შეგირდებს ქულის გადარჩენა კი შეეძლოთ, მაგრამ მთელი მატჩის განმავლობაში აქტიურმა მიხეილ აშვეთიამ ბოლო წუთზე პენალტი ვერ გამოიყენა.

„ტორპედო-მეტალურგთან" შერიგებული ალექსანდრე რეხვიაშვილი კი 69-ე წუთზე სულაც გააძევეს. საქართველოს ნაკრების ნახევარმცველს მსაჯმა უხეშობა არ აპატია და ორი ყვითელი ბარათით დაითხოვა მოედნიდან. ყოფილი ზილელები კი უგოლო ფრით დაშორდნენ ვალერი აბრამიძის გარეშე მოთამაშე თანაქალაქელ „სპარტაკს".

გერმანულ მეორე ბუნდესლიგაში გიორგი დეკანოსიძის „ფიურტმა" იაშვილ-კობიაშვილ-ცქიტიშვილის „ფრაიბურგის" წისქვილზე დაასხა წყალი. „ფიურტმა" 3:1 მოუგო ქართველების ერთ-ერთ უმთავრეს კონკურენტ „მაინცს", დეკანოსიძე ამჯერადაც სათადარიგოობას დასჯერდა.

მატჩის დამთავრებამდე 20 წუთით ადრე შევიდა მოედანზე გიორგი ქინქლაძე. „დერბი ქაუნთიმ" მორიგი მარცხი იწვნია და მე-20 ადგილამდე დაეშვა. ჯონ გრეგორის შეგირდებს გავარდნა ნაღდად არ ემუქრებათ, მაგრამ ისიც გავიხსენოთ, სეზონის წინ პრემიერლიგაში გადასვლას რომ გეგმავდნენ.

შვეიცარიაში ისევ დაუმარცხებლად თამაშობს „ვოლენი". „ივერდონთან" მატჩში ლევან ხომერიკი კვლავაც სასტარტო შემადგენლობაში იყო და 73-ე წუთზე შეცვალეს. მიხეილ ყაველაშვილი კი მხოლოდ პირველ ტაიმში დაეხმარა გუნდს. „ლუცერნმაც" ფრედ ითამაშა „დელემონთან".

ქულა დასცინცლა მეტოქეს „ქოჯაელისფორმაც". გივი დიდავამ სრულად ითამაშა, ქემოკლიძე კი 33-ე წუთზე გააძევეს. ამის გამო გიუვენჩ ქურთარიმ თავდამსხმელი ზაზა ჯანაშია გამოცვალა და მოედანზე მცველი შეუშვა. საბოლოოდ გასავარდნად განწირული „ქოჯაელისფორი" მხოლოდ ქულას გამორჩა.

„გრაცერთან" ორი ტურის წინ 0:5 დამარცხებამ დავით მუჯირს ძირითად შემადგენლობაში ადგილი დააკარგვინა. ზედიზედ მეორე მატჩია, ჩვენებური შეცვლაზე თამაშობს, — „ადმირასთან" მატჩში, მეორე ტაიმში შევიდა მოედანზე. უგოლო 45 წუთის შემდეგ „შტურმმა" სწორედ მეორე ნახევარში შეძლო „ადმირას" გატეხვა.

სეზონი განახლდა პოლონეთში, თუმც მამია ჯიქიას გარეშე. საქართველოს ნაკრების წევრი ტრავმის გამო ვერ შეეშველა თანაგუნდელებს. მისმა „ამიცამ" კი მძიმე ბრძოლაში 3:4 დათმო სტუმრად „ლეგიასთან". სამაგიეროდ, მის ყოფილ კლუბ „რუხში" ახალგაზრდა ლაშა რეხვიაშვილის დებიუტი შედგა. „რუხმა" 0:3 წააგო „ვისლასთან".

პირველად გამოჩნდა ამ სეზონში კახა ჩხეტიანიც. განახლებულ უნგრეთის ჩემპიონატში „დებრეცენი" ჯერაც დაუმარცხებელია. ჩხეტიანი ბოლო ტურში „შიოფოკთან" მატჩში 74-ე წუთზე შევიდა მოედანზე.

უკრაინაში შალვა აფხაზავას „არსენალი" უქართველებოდ მოთამაშე „ტავრიასთან" 0:1 დამარცხდა. აფხაზავამ სრულად ითამაშა, ვასილ გიგიაძე კი ტრავმის გამო ვერ დაეხმარა სიმფეროპოლელებს.

მოიგო ჯამარაულ-დემეტრაძის „მეტალურგმაც". დონეცკელებმა ასევე ორი ქართველით თავმომწონე „კრივბასს" სტუმრად 2:0 სძლიეს. ფოფხაძემ და მიქაძემ 90 წუთი ითამაშეს.

კვიპროსის თასმა კი ერთი ჩვენებური დაკარგა. მამუკა წერეთელი და მისი „ნეა სალამინა" გათამაშებას გამოეთიშნენ. ქეცბაია, მაღრაძე და ქებაძე კი თასისთვის ბრძოლას განაგრძობენ და ახლა მეოთხედფინალის წილისყრას ელიან.

**ბაჩა შალამბერიძე**




ზაზა ჯანაშიას „ქოჯაელის" მწვრთნელმა 39 წუთი აკმარა


ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible] ფოტო

ალექსანდრე რეხვიაშვილის რუსული დებიუტი წითელმა ბარათმა გააუფერულა

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | რეჯინა 0:0 | 0 | ტრავმირებულია | 22 | 0 | 3 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| არჩილ არველაძე | კიოლნი | ს | უნიონი 3:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| გიორგი დეკანოსიძე | ფიურტი | ს | მაინცი 3:1 | 0 | სათადარიგო | 2 | 0 | 7 |
| **ინგლისი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი ქაუნთი | შ | ბრედფორდი 1:2 | 20 | შეცვლაზე ითამაშა | 21 | 3 | 20 |
| **შოტლანდია. ლიგის თასის ფინალი** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | ს | სელტიკი 2:1 | 4 | შეცვლაზე ითამაშა | 2 | 1 | |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | ს | აბერდინი 3:3 | 0 | | 16 | 0 | 6 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | დანდი | ს | აბერდინი 3:3 | 90 | | 10 | 0 | 6 |
| **ჰოლანდია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გოგა გახოკიძე | პსვ | ს | ვიტესი 5:0 | 0 | სათადარიგო | 8 | 1 | 1 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | შ | ადმირა 2:1 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 19 | 3 | 3 |
| **შვეიცარია. A/B ჯგუფი** | | | | | | | | |
| მიხეილ ყაველაშვილი | ლუცერნი | ს | დელემონი 3:3 | 45 | შეცვალეს | 16 | 3 | 8 |
| **შვეიცარია. B ჯგუფი** | | | | | | | | |
| ლევან ხომერიკი | ვოლენი | ს | ივერდონი 1:1 | 73 | შეცვალეს | 2 | 1 | 5 |
| **ბელგია. მეორე დივიზიონი** | | | | | | | | |
| გელა შეყილაძე | რუზელარე | შ | ვარეგემი 3:1 | 90 | | 16 | 0 | 17 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | ს | ურალანი 2:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 3 |
| ვალერი აბრამიძე | სპარტაკი | ს | ტორ-მეტალურგი 0:0 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 10 |
| მიხეილ აშვეთია | სპარტაკ-ალანია | შ | დინამო 0:1 | 90 | | 1 | 0 | 14 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სპარტაკ-ალანია | შ | დინამო 0:1 | 90 | | 1 | 0 | 14 |
| დავით ჩალაძე | რუბინი | ს | ცსკა 0:4 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 16 |
| ლევან სილაგაძე | რუბინი | ს | ცსკა 0:4 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 16 |
| გიზო ჯელაძე | რუბინი | ს | ცსკა 0:4 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 16 |
| კლიმენტი ნიტაიშვილი | ჩერნომორეცი | ს | შინიკი 1:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 6 |
| დავით ნაკანი | ტორპედო | შ | როსტოვი 1:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 7 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | ტორ-მეტალურგი | შ | სპარტაკი 0:0 | 69 | გააფრთხილეს, გააძევეს | 1 | 0 | 11 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | მ. დონეცკი | ს | კრივბასი 2:0 | 72 | შეცვალეს | 10 | 2 | 5 |
| გიორგი დემეტრაძე | მ. დონეცკი | ს | კრივბასი 2:0 | 82 | შეცვალეს | 2 | 1 | 5 |
| შალვა აფხაზავა | არსენალი | ს | ტავრია 0:1 | 90 | | 16 | 10 | 4 |
| ზურაბ ფოფხაძე | კრივბასი | შ | მ. დონეცკი 0:2 | 90 | | 9 | 0 | 11 |
| ლევან მიქაძე | კრივბასი | შ | მ. დონეცკი 0:2 | 90 | | 2 | 0 | 11 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | შ | არსენალი 1:0 | 0 | ტრავმირებულია | 16 | 7 | 7 |
| შოთა ჩომახიძე | ტავრია | შ | არსენალი 1:0 | 0 | განაცხადში არ იყო | 3 | 0 | 7 |
| გოჩა ტრაპაიძე | ტავრია | შ | არსენალი 1:0 | 0 | სათადარიგო | 9 | 0 | 7 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | შ | მეტალისტი 2:0 | 90 | გააფრთხილეს | 9 | 2 | 14 |
| **თურქეთი. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| გია იმედაძე | ქოჯაელი | შ | დიარბაქირი 1:1 | 0 | სათადარიგო | 2 | 0 | 18 |
| გივი დიდავა | ქოჯაელი | შ | დიარბაქირი 1:1 | 90 | | 5 | 0 | 18 |
| რევაზ ქემოკლიძე | ქოჯაელი | შ | დიარბაქირი 1:1 | 33 | გააძევეს | 4 | 0 | 18 |
| ზაზა ჯანაშია | ქოჯაელი | შ | დიარბაქირი 1:1 | 39 | შეცვალეს | 2 | 0 | 18 |
| **ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ამირან მუჯირი | მარეკი | შ | ლიტექსი 0:0 | 0 | ტრავმირებულია | 16 | 6 | 9 |
| ავთანდილ გვიანიძე | ბოტევი | ს | სლავია 0:5 | 90 | | 2 | 0 | 12 |
| **უნგრეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| კახა ჩხეტიანი | დებრეცენი | შ | ფერენცვაროში 2:0 | 0 | სათადარიგო | 11 | 1 | 4 |
| | | ს | შიოფოკი 1:1 | 16 | შეცვლაზე ითამაშა | 12 | 1 | 4 |
| **პოლონეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | ამიცა | ს | ლეგია 3:4 | 0 | ტრავმირებულია | 13 | 1 | 7 |
| ლაშა რეხვიაშვილი | რუხი | შ | ვისლა 0:3 | 53 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 1 | 0 | 8 |
| **კვიპროსი. თასის ჯგუფური ეტაპი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | შ | ალკი 4:0 | 28 | შეცვლაზე ითამაშა | | | |
| ლევან მაღრაძე | აელ | შ | პარალიმნი 1:0 | 90 | | | | |
| მამუკა წერეთელი | ნეა სალამინა | შ | ომონია 1:2 | 90 | | | | |
| ლევან ქებაძე | პარალიმნი | ს | აელ 0:1 | 58 | შეცვალეს | | | |
| **მოლდოვა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ვაჟა თარხნიშვილი | შერიფი | ს | აგრო 3:0 | 90 | | ? | 1 | 1 |
| ლევან გვაზავა | ზიმბრუ | ს | დაჩია 5:0 | 85 | 1 გოლი, შეცვალეს | ? | 5 | 2 |
| ავთანდილ ფოფხაძე | აგრო | შ | შერიფი 0:3 | 0 | | 0 | 0 | 5 |
| **მალტა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გრიგოლ გვაზავა | ფლორიანა | შ | მოსტა გადაიდო | | | 16 | 4 | 8 |
| კახა ახალაძე | ფლორიანა | შ | მოსტა გადაიდო | | | 0 | 0 | 8 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# დავით ყიფიანის თასი

### მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

დღეს სათასო მეოთხედფინალის პირველი მატჩებია და ვისაც ჩვენს პირობაზე კარგი თამაშის ხილვა სურს, ის „ეროვნულზე" წასვლასაც არ დაიზარებს. იქ ჩემპიონატის მეორე ეტაპის პირველ ტურში „ტორპედოსთან" დამარცხებული „დინამო" ბოლნისში, „სიონთან" გამარჯვებულ „ვიტ ჯორჯიას" ეთამაშება.

ამათ გარდა დღეს ჩემპიონი „ტორპედო", ვიცე-ჩემპიონი „ლოკომოტივი" და ჯერაც ინტერტოტოზე მეოცნებე „სიონიც" თამაშობენ, მაგრამ ისინი წყვილის ფავორიტებად მიიჩნევიან და, შესაბამისად, „დილასთან", „მილანთან" და პირველლიგელ „სპარტაკთან" ჭიდილში აქედანვე ნახევარფინალისტობას უწინასწარმეტყველებენ.

სულ სხვაა „დინამო" — „ვიტ ჯორჯია"... მათ ერთმანეთში თავიანთი ანგარიშები აქვთ გასაწორებელი და უშეღავათო ბრძოლასაც გვპირდებიან. ბოლო დროს ათგზის ჩემპიონს ოდინდელი ვიცე-ჩემპიონის დამარცხება ოცნებად გადაექცა. „დინამოს" „ვიტ ჯორჯიასთვის" 2000 წლის 25 ნოემბრის შემდეგ არ მოუგია. მაშინ, მეტოქესთან ოთხი უპასუხო ბურთით დამარცხებამ ვლადიმერ ხაჩიძის ვეტერინარული სამწვრთნელო კარიერა შეიწირა.

მას აქეთ „დინამოს" საუკეთესო მიღწევა ვიტელებთან ფრეა. ასეთი შედეგი ექვსი საჩემპიონატო და ორი სათასო მატჩებიდან ოთხში დაფიქსირებულა, დანარჩენ ოთხ მატჩში კი ვეტერინარებმა იზეიმეს გამარჯვება.

სათასო მეოთხედფინალში „დინამო" „ვიტ ჯორჯიას" შარშანწინ გაზაფხულზეც დაპირისპირებია და ორი მატჩის ჯამშიც დაჩაგრულა. მაშინ თემურ მახარაძის „ვიტ ჯორჯიამ" „ეროვნულზე" 1:0 იმარჯვა, მცხეთაში ნულოვანი ფრე გაახერხა და ნახევარფინალშიც გავიდა.

განვლილ ორ წელიწადში ორივე გუნდში, განსაკუთრებით კი „დინამოში" ბევრი რამ შეიცვალა. სადღეისოდ ორივე კლუბს უცხოელი დამრიგებელი ჰყავს. ხორვატი ივო შუშაკი მესამედ უპირისპირდება იტალიელ ჯანი კარნევალის. უპირატესობა აპენინელის მხარესაა. შემოდგომაზე „დინამომ" ნავთლუღში ფრეს მიაღწია, მაგრამ საკუთარ „ეროვნულზე" 0:1 წააგო.

საერთოდ, ოთხწლიანი ქართული საფეხბურთო კარიერის მანძილზე კარნევალის „დინამოსთან" პაექრობაში დადებითი ბალანსი მოუნაგრავს, 3 მოგება, 5 ფრე და 2 წაგება — ასეთია სინიორ ჯანის დინამოლოგია. ნახსენები 10 თამაშიდან კარნევალიმ 5 „ბათუმის" თავკაცის რანგში მიითვალა 1 მოგებით, 2 ფრით და 2 წაგებით.

წინასამატჩო განწყობა „დინამოსა" და „ვიტ ჯორჯიაში" ერთნაირად ამაღლებული ვერ იქნება. შუშაკის ბიჭებმა ჩემპიონატის ერთ-ერთი უპრინციპულესი მატჩი დათმეს ქუთაისში და მწვრთნელისგან საქებარი სიტყვებიც არ მოუსმენიათ. გუშინ „დინამომ" საკუთარ ბაზაზე ივარჯიშა და შეკრებაზეც იქვე დარჩა.

ხორვატი ტრავმირებული ლადო ბურდულის არყოფნას რა ხანია, შეგუებულია, ბატონმა ივომ „ტორპედოსთან" ნამატჩევს ისიც იცოდა, რომ „ვიტ ჯორჯიასთან" დისკვალიფიცირებული ახალაიას იმედი ვერ ექნებოდა. გუშინ აღნიშნულ ორ პრობლემას მესამეც ზედ დაერთო, ჩინებულ ფორმაში მყოფ ირაკლი ზოიძეს გრიპი გაურთულდა და დღეს, სავარაუდოდ, 18-კაცა განაცხადშიც არ იქნება.

იტალიელის ბიჭებმა კი ბოლნისიდან სანატრელი სამი ქულა წამოიღეს და „დინამოსაც" კარგ ხასიათზე ესტუმრებიან. კარნევალიმ გუნდი გუშინ შუადღისას ავარჯიშა, ხოლო საღამოს სასტუმრო „მონოპოლში" დაიბარა შეკრებაზე. მის გუნდში ყველა ჯანმრთელადაა, მცირე პრობლემები აქვს გიორგი ყიფიანს და, სავარაუდოდ, დღეს „დინამოსაც" ვერ დაუპირისპირდება.



ბადრი კიკილაშვილის ფოტო

ივო შუშაკი და ჯანი კარნევალი

თბილისი. ეროვნული. 18 მარტი. 15 საათი

### დინამო — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); გ. ცირდავა (გულრიფში), ა. სამხარაძე (სოხუმი); ლ. ფანიაშვილი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო; დირექტორი: რ. შოთაძე

დისკვალიფიცირებული: ახალაია (დინამო)

ქუთაისი. ტორპედო. 18 მარტი. 15 საათი

### ტორპედო — დილა

მსაჯები: დ. ხანაია (სოხუმი); მ. ელიკაშვილი (თბილისი), ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); სფფ-ის ინსპექტორი: მ. ჭელიძე; დირექტორი: ნ. კაკულია

დისკვალიფიცირებული: გამეზარდაშვილი (ტორპედო)

თბილისი. ლოკომოტივი. 18 მარტი. 15 საათი

### ლოკომოტივი — მილანი

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. შილაკაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი; დირექტორი: გ. ელოშვილი

ბოლნისი. თემურ სტეფანია. 18 მარტი. 15 საათი

### სიონი — სპარტაკი

მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); მ. მალალურაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ს. კუტივაძე; დირექტორი: ს. კოტრიკაძე

# დინამო VS ვიტ ჯორჯია

*ივო შუშაკის „დინამომ" ჩემპიონატის მეორე ეტაპი ქუთაისის „ტორპედოსთან" მარცხით კი დაიწყო, მაგრამ ზეექვსეულის პირველი ოთხი გუნდი ისეთ სიმჭიდროვეშია, რომ ჯერ მათ შანსებზე და, თუ გნებავთ, შესაძლებლობებზე საუბარი ნაადრევია.*

*დღეს კი „დინამოს" არანაკლებ რთული გამოცდა ელის — დავით ყიფიანის თასის მეოთხედფინალის პირველი მატჩი „ვიტ ჯორჯიასთან".*

*დინამოელთა ხორვატ დამრიგებელს დიღმის ბაზაზე გუშინ ვეწვიეთ და ჯერ სიტყვა დღევანდელ მატჩზე ჩამოვუგდეთ.*

# შუშაკის ოჯახი საქართველოში ტორპედოსთვის ჩამოდის

## მესაუბრეთ მხოლოდ გულახდილად

**— „ვიტ ჯორჯია" თქვენი გუნდისთვის უხერხულ მეტოქედ იქცა — რას დაუპირისპირებთ ამჯერად ასეთ მოწინააღმდეგეს?**

— როცა „ვიტ ჯორჯიას" ბოლოს ვეთამაშეთ და წავაგეთ, მაშინ გავიგე, რომ ამ გუნდთან „დინამოს" ბოლო დროს დადებითი შედეგები არ აქვს. მაგრამ რაიმე ტრადიცია თუ არსებობს, მისი დანგრევაც შეიძლება. ვფიქრობ, შეგვიძლია ახლავე შევწყვიტოთ „დინამოს" უარყოფითი შედეგების სერია „ვიტ ჯორჯიასთან", თუმცა პირველი მატჩის შედეგი ჯერ ვერაფერს გადაწყვეტს. ოთხი დღის მერე ჩემპიონატში რომ ვუმასპინძლებთ „ვიტ ჯორჯიას", ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს — ყოველი მატჩი განსხვავებული დეტალებისგან შედგება.

**— „ვიტ ჯორჯიას" ერთ-ერთი მთავარი კოზირი სისწრაფეა — როგორ აპირებთ ასეთ გუნდთან თამაშს?**

— „ვიტ ჯორჯიამ" მართლაც გაგვაკვირვა — მას შეუძლია კონკურენცია გაუწიოს ნებისმიერ გუნდს — ვიტელთა გუნდი ახალგაზრდა და გამოცდილი ფეხბურთელების კარგ ნაზავს წარმოადგენს. თუ მეტოქე სწრაფ ფეხბურთს შემოგვთავაზებს, ჩვენც ეგ გვინდა — შინ ვთამაშობთ და გახსნილი თამაში საქმეს გაგვიადვილებს.

**— გასაგებია, მაგრამ „დინამო" მაინცდამაინც ვერ თამაშობს ტიპიურად გახსნილ ფეხბურთს...**

— არ ვიცი, რატომ ფიქრობენ ასე. თუ საზომად ავიღებთ გატანილი გოლების რაოდენობას ან იმას, თუ რამდენი ფორვარდით თამაშობს „დინამო", სულ სხვა სურათია.

**— ამის საზომი კონკრეტული ფეხბურთელების თამაშია. მაგალითად, ალეკო გოგობერიშვილი მხოლოდ გუნდის დაცვას და ნახევარდაცვას აკავშირებს, უფრო წინ ძალიან იშვიათად მიდის და გარედან ისე ჩანს, რომ ამის საშუალებას მას თქვენ არ აძლევთ.**

— ნახევარდაცვის ცენტრში სამი ფეხბურთელი გვყავს — გოგობერიშვილი, ანჩაბაძე და დარასელია — სამივე მათგანი წინ რომ წავიდეს, ეს შეუძლებელია. გოგობერიშვილი დიდი მოცულობის სამუშაოს ასრულებს და როცა თავის საქმეს მოილევს, ხშირად ერთვება შეტევებში. მართალია, მას ჯერ არ გააქვს გოლები შორი დისტანციიდან, მაგრამ ამას ველოდები — გოგობერიშვილს კარგი დარტყმა აქვს.

**— უკანა მცველი გიორგი შაშიაშვილი კი საერთოდ არ ერთვება შეტევებში. ახალგაზრდა ლიბეროს წინსვლისთვის ეს აუცილებელი არ არის?**

— გეთანხმებით, რომ ეს ასეა. მაგრამ მსურს, ის უფრო ამოიწიოს წინ, შეტევაში ჩაერთოს, ნახევარდაცვაშიც ითამაშოს. თუმცა ჩვენი სტოპერები თამაშში ექვსჯერ-შვიდჯერ ჩადიან მეტოქის საჯარიმომდე და როცა წინ ორი მცველი მიდის, ეს ლიბეროს ხარჯზე ხდება. ისე კი, შაშიაშვილი ხშირად უნდა ჩაერთოს შეტევაში.

**— სანამ „დინამოს" თქვენ ჩაიბარებდით, არჩილ სახვაძე ეროვნულ ჩემპიონატში კუთხურების და საჯარიმოების ერთ-ერთ საუკეთესო ჩამწოდებლად ითვლებოდა. თქვენი მოსვლის შემდეგ კი, სახვაძე ამას საერთოდ აღარ აკეთებს...**

— მოლაპარაკებული გვაქვს, თუ ვინ უნდა შეასრულოს საჯარიმო დარტყმა — ანჩაბაძე, დარასელია, კარლოსი და ალექსიძე — მათ ვარჯიშებზე დამანახეს, რომ „დინამოდან" ამ საქმეში საუკეთესოები არიან. სახვაძე კი გუნდში სხვა როლს ასრულებს.

**— „ტორპედოსთან" ამასწინდელმა მარცხმა თქვენზე ფსიქოლოგიურად ძალიან იმოქმედა?**

— ჩვენი ფეხბურთელები წაგებას არ ელოდნენ — შესაძლოა, ეს იყო მარცხის ერთ-ერთი მიზეზი — დინამოელები მართლაც თავდაჯერებულნი იყვნენ „ტორპედოსთან" მატჩის წინ. ამ წაგებამ ჩვენ კარგად გამოგვაფხიზლა. დარწმუნებული ვარ, რომ დასახულ მიზანს მივაღწევთ — საამისო კლასი და მოჭარბებული ენთუზიაზმი ნამდვილად გვაქვს — გვჯერა, ჩვენი შრომა ნაყოფს გამოიღებს.

**— როგორ ფიქრობთ, ქართული მასმედია თქვენ გამხნევებთ, ზეწოლას ახორციელებს თქვენზე და თუ თქვენს მიმართ გულგრილია?**

— დიდ კმაყოფილებას მანიჭებს ჩემს ფეხბურთელებთან და ვიწრო წრესთან ურთიერთობა, მაგრამ არანაირი ფასი არა აქვს იმას, თუ პრესა ჩემს საქმიანობას ობიექტურად არ გააშუქებს. ვცდილობ, ჟურნალისტებთან ბოლომდე გახსნილი ვიყო. პრესის მხრიდან კარგი განწყობა მწვრთნელისთვის სასიამოვნოა, მაგრამ მე სხვა რამეც მიხარია — როცა ჟურნალისტებს ჩემთან გულახდილი საუბარი შეუძლიათ.

**— არ ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე იუგოსლავიურ პრესის საშუალებას თქვენზე წინასწარ ეთქვას, შუშაკს ხსნიან და მას მაგივრად სხვა სპეციალისტი მოჰყავთო?**

— იყო ასეთი შემთხვევა. 80-იანი წლების ბოლოს იუგოსლავიის მესამლიგელი „ზაგრები" ჩავიბარე. დიდი მონდომებით ვმუშაობდი და გუნდს წინსვლა დაეტყო. თუმცა მერე ისე მოხდა, რომ გასვლაზე ორი თამაში წავაგეთ და ერთ-ერთმა გაზეთმა დამასაფლავა — შუშაკს ხსნიან და სხვა მწვრთნელს ნიშნავენო. კლუბის ხელმძღვანელობამ კი მითხრა, მსგავსი არაფერი გვითქვამსო. შემდეგ გუნდი მეორე ლიგაში გადავიყვანე, მერე პირველში და ამავე გაზეთმა მთელი პირველი გვერდი დამითმო — ისე მაქეს, ამას საკუთარ თავზე ვერ შევძლებდი. ერთი სიტყვით, არასდროს ვცდილობ, მასმედიაზე რაიმე გავლენა მოვახდინო — ჩემი არგუმენტები ჩემი ცოდნა, ჩემი მუშაობა და ჩემი ენთუზიაზმია.

**— წეღან გულწრფელობა ახსენეთ და გულწრფელადვე გეტყვით — დაახლოებით ერთი თვეა, რაც კულუარებში თქვენი „დინამოდან" დათხოვნის შესახებ ლაპარაკობენ. ცხადია, ყველაფერმა ამან ჟურნალისტების ყურამდეც მიაღწია...**

— ყველაზე მეტად ასეთი ინფორმაცია „დინამოს" მფლობელებს გაუკვირდათ — მათ შეშფოთებულებმა დამირეკეს, არ ვიცით, საიდან წარმოიშვა ასეთი ლაპარაკიო. არ მსურს, ამაზე სერიოზული კომენტარის გაკეთება.

**— თბილისში თქვენი ოჯახის გარეშე ცხოვრობთ — სირთულეების დროს მეუღლის მხარდაჭერა და გამხნევება არ გენატრებათ? თანაც თქვენი ოჯახის წევრები თბილისში ჯერაც არ ყოფილან.**

— ოჯახის გარეშე რომ ვარ, ეს საქმეში მაქსიმალური კონცენტრაციის საშუალებას მაძლევს და შემიძლია, მთელი დღე გუნდის ბაზაზე გავატარო. რა თქმა უნდა, ძალიან მინდა, ჩემები აქ იყვნენ, მაგრამ ყველაფერი ისე კარგადაა მოწყობილი, რომ არაფერი მაკლია — ჩემს ყოველ წარუმატებლობას თუ წარმატებას, ოჯახის წევრები ჩემთან ერთად განიცდიან. ისე კი, ჩემი ოჯახის რამდენიმე წევრი თბილისში ჩამოსასვლელად ემზადება — ხორვატიაში 28 აპრილიდან 3 მაისამდე დასვენებაა და ჩემებიც ამ პერიოდში აპირებენ ჩამოსვლას — დაესწრებიან საქართველო — რუსეთის მატჩს და ქართულ დერბისაც — 2 მაისს ხომ ქუთაისის „ტორპედოს" ვმასპინძლობთ.

**დავით თამართელაძე**

# კარნევალი დინამოზე

## დინამოს მერე იფიქრებს

— ჩემი აზრით, საინტერესო და ხალისიანი თამაში იქნება. ორი ახალგაზრდული გუნდი ეთამაშება ერთმანეთს და დაპირისპირებაც ინტრიგულია. „დინამო" ძლიერი მეტოქეა, ჩვენთან კი გაათკეცებული ჟინით და ენერგიით ითამაშებს. მათ ხომ წააგეს ქუთაისში და ძალიან ეცდებიან, ხასიათი გამოიკეთონ.

**— „დინამოსთან" სათასო მატჩში რა შედეგი დაგაკმაყოფილებთ?**

— ოთხი წელიწადია, საქართველოში ვარ და ჯერ პროგნოზი არ გამიკეთებია. ეს ნამდვილად არ არის ჩემი საქმე. მე შეგირდებისგან ყველა თამაშში მაქსიმუმს ვითხოვ. „ვიტ ჯორჯიაც" მხოლოდ გამარჯვებისთვის გავა მოედანზე, იქ კი ვნახოთ, რა და როგორ აეწყობა.

**— სასტარტო თერთმეტეული უკვე შეარჩიეთ?**

— ამ დროისთვის საგანაცხადო 18 მოთამაშე ნამდვილად შერჩეული მყავს, მაგრამ მინდა, კიდევ ერთხელ შევაფასო თითოეულის შესაძლებლობები. „დინამოსთან" მოთამაშე გუნდი ყოველმხრივ მზად უნდა იყოს. შემადგენლობას კი თამაშამდე რამდენიმე საათით ადრე გამოვაცხადებ.

**— ხუთ დღეში ისევ „დინამო" — „ვიტ ჯორჯიაა"...**

— ერთი შეხედვით, ეს ურიგო სულაც არ არის. ასეთ პრინციპულ და დაძაბულ თამაშებში იწრთობიან ახალგაზრდა ფეხბურთელები. სხვა მხრივ, ჩვენ ერთმანეთს „შევაკვდებით", ძალებს ვერ დავზოგავთ და ამით შეიძლება, კონკურენტებმა იხეირონ, თუმცა ეს სამერმისო პრობლემაა, რაზეც „დინამოსთან" დუელის შემდეგ ვიფიქრებ.

**მამუკა ძგანტალიანი**




REUTERS

ასტონ ვილა — მანჩესტერი. დევიდ ბექემმა იურგენ პოსტმას ფეხებშუა გაუძვრინა

# არ დამთავრებულა

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XXX ტური

**ბლეკბერნი 2:0 არსენალი**

1:0 დაფი (22), 2:0 თუგაი (52)
ბლეკბერნი: ფრიდელი, მარტინ ტეილორი, ბერგი, შორტი, გრეშკო, გილესპი, ფლიტკროფტი, თუგაი, დ. დაფი (ნ. იოჰანსონი 69), მ. შუქური, იორკი (გალაჰერი 78)
მწვრთნელი: გრემ სუნესი
არსენალი: ს. ტეილორი, ლორენი, კიოუნი (ჟილბერტო სილვა 18), სიგანი, ვან ბრონკჰორსტი, პირესი (ვილტორდი 69), პარლოუ, ედუ (ჯეფერსი 69), ლიუნგბერგი, ანრი, ბერხკამპი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: დაფი, თუგაი, ფლიტკროფტი, შუქური, პარლოუ, ვან ბრონკჰორსტი
მსაჯი: ბენეტი
29 840 მაყურებელი

**ასტონ ვილა 0:1 მანჩესტერ იუნ.**

0:1 ბექემი (12)
ასტონ ვილა: პოსტმა, ჯ. სამუელი, მელბერგი, იონსენი, ა. რაიტი, ლ. ჰენდრი, ჰიცლსპერგერი, მ. ჰაჯი, ბერი, ვასელი, დაბლინი (კუკი 79)
მწვრთნელი: გრემ ტეილორი
მანჩესტერ იუნ: ბარტეზი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, ოში, სილვესტრი, ბექემი, ბათი, სქოულზი, გიგზი, ვან ნისტელროი, სოლსკიაერი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: რაიტი, ჰაჯი, სქოულზი
მსაჯი: დინი
42 602 მაყურებელი

**ჩარლტონი 0:2 ნიუკასლი**

0:1 შირერი (33პ), 0:2 სოლანო (49)
ჩარლტონი: დ. კელი, იანგი (კონჩესკი 74), ფიში (რუფუსი 59), ფორტუნი, კ. პაუელი, კიშიშევი, პარკერი, იუელი, კ. იენსენი, ბარტლეტი (ლისბი 59), ჯ. იოჰანსონი
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
ნიუკასლი: გივენი, ა. ჰიუზი, ვუდგეიტი, ბრემბლი, ბერნარი, სოლანო (ამეობი 85), ჯენასი, სპიდი (დაიერი 66), ვიანა (გრიფინი 75), შირერი, ბელამი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
გაფრთხილება: იანგი, ვიანა, ჰიუზი
მსაჯი: დანი
26 728 მაყურებელი

**ვესტ ბრომვიჩი 0:2 ჩელსი**

0:1 სტანიჩი (38), 0:2 ძოლა (56)
ვესტ ბრომვიჩი: ჰოულტი, კლემენტი, დ. მური (ჯ. ჩემბერსი 15), სიგურდსონი, ბალიში, უდეზე (დიჩიო 46), მაკინესი (უოლვორკი 15), გრეგანი, კუმსი, რობერტსი, მაქს ჰიუზი
მწვრთნელი: გარი მეგსონი
ჩელსი: კუდიჩინი, გალასი, მელხიოტი, ტერი, სტანიჩი (დე ლუკასი 73), ლე სო (დესაი 82), ლამპარდი, ჯ. მორისი, ძოლა, ჰასელბაინკი, გუდიონსენი (გრონკიაერი 54)
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
მსაჯი: დურსო
27 024 მაყურებელი

**ევერტონი 0:0 ვესტ ჰემი**

ევერტონი: რ. რაიტი, ჰაიბერტი, ვეირი, სტაბსი, ანსუორთი, უოტსონი, ჯემილი (ტიე 55), გრაველსენი, ნეისმიტი (კ. კემპბელი 55), რაძინსკი, მაკბრაიდი (რუნი 55)
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
ვესტ ჰემი: ჯეიმსი, მ. ჯონსონი, რეპკა, ი. პირსი, ბრევეტი, ტ. სინკლერი, ლომასი, კარიკი, ჯ. კოული (ე. სისე 86), ლ. ფერდინანდი (დეილი 83), დეფო
მწვრთნელი: გლენ რიოდერი
გაფრთხილება: გრაველსენი, ჰაიბერტი
მსაჯი: ჰალსი
40 158 მაყურებელი

**ტოტენჰემი 2:3 ლივერპული**

1:0 ტარიკო (49), 1:1 ოუენი (51), 1:2 ჰესკი (72), 1:3 ჯერარდი (82), 2:3 შერინგემი (87)
ტოტენჰემი: კელერი, კარი, ტეტჩერი, კინგი, ტარიკო (ფროინდი 69), ს. დევისი, პოიეტი, ბუნიევჩევიჩი, ეზერინგტონი, შერინგემი, დოჰერტი (სლებერი 79)
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
ლივერპული: დუდეკი, კარაგერი, ჰიპია, ჯ. ტრაორე, რიისე, დიუფი, ჰამანი (დიაო 88), ჯერარდი, დენი მერფი, ოუენი, ჰესკი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
გაფრთხილება: კარი, ჰამანი
მსაჯი: რენიე
36 077 მაყურებელი

**ფულემი 2:2 საუთჰემპტონი**

1:0 საჰა (44), 2:0 სვენსონი (52ს.კ.), 2:1 ბიტი (81), 2:2 სვენსონი (90)
ფულემი: ერერა, უადუ, მელვილი, გომა, ჰარლი, მალბრანკი, ჯეტუ, ლეგვინსკი, ვომე (ინამოტო 46; შტოლცერსი 84), მარლე, საჰა
მწვრთნელი: ჟან ტიგანა
საუთჰემპტონი: ნიემი, დოდი (ჰიგინბოთემი 69), ლუნდეკვამი, მიხაელ სვენსონი, ბრიჯი, ოკლი, პრატონი (კ. დევისი 79), ფ. ფერნანდესი (ტესემი 56), ტელფერი, ბიტი, ორმეროდი
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
გაფრთხილება: ვომე
მსაჯი: დარკინი
18 031 მაყურებელი

**ლიდსი 2:3 მიდლსბრო**

1:0 ვიდუკა (24), 1:1 მაკარონე (36პ), 1:2 ჟუნინიო პაულისტა (45), 1:3 ჯერემი (64), 2:3 ვიდუკა (76)
ლიდსი: პ. რობინსონი, მილსი, რადებე, ლუკიჩი, რაულ ბრავო, ბარმბი (მილნერი 68), ოკონი, ბაკე, უილკოქსი, ვიდუკა, ა. სმიტი
მწვრთნელი: ტერი ვენეიბლზი
მიდლსბრო: შვარცერი, პარნაბი (კუპერი 41), ეჰიოგუ, საუთგეიტი, დევიდ მერფი, ჯერემი, ბოატენგი, გრინინგი, ჟუნინიო პაულიატა, კრისტი (ნემეტი 85), მაკარონე (რიკეტსი 80)
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
გაფრთხილება: ოკონი, რადებე, მილსი, მაკარონე, ჟუნინიო პაულისტა
მსაჯი: ელერეი
39 073 მაყურებელი

**მანჩესტერ სიტი 1:0 ბირმინგემი**

1:0 ფაულერი (72)
მანჩესტერ სიტი: შმაიხელი, სომეილი, ვიკენსი, დისტინი, რაიტ-ფილიპსი, ბენარბია, ფოე, ჰორლოკი, ნ. იენსენი, ფაულერი (ჟიხაი 80), ანელკა
მწვრთნელი: კევინ კიგანი
ბირმინგემი: ბენეტი, კენა (დევლინი 79), აპსონი, კანინგემი, კლეპამი, დ. ჯონსონი (ჯონი 84), სევიჯი, კლემენსი, ლაზარიდისი, მორისონი (ჰორსფილდი 59), დიუგარი
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
გაფრთხილება: იენსენი, ვიკენსი, სევიჯი, იენსენი
გაძევება: იენსენი (79)
მსაჯი: მესიასი
34 596 მაყურებელი

**სანდერლენდი 0:2 ბოლტონი**

0:1 ოკოჩა (50), 0:2 პედერსენი (55)
სანდერლენდი: სორენსენი, მაკკარტნი, ბიორკლუნდი, ელ კარკური, ს. რაიტი (არკა 46), გრეი, ტორნტონი, დ. უილიამსი, პროქტორი (კაილი 80), ფილიპსი, ფლო (მ. სტიუარტი 66)
მწვრთნელი: მიკ მაკარტი
ბოლტონი: იასკელაინენი, ნგოტი, ბერგსონი, კამპო, ლავილი, მენდი, რ. გარდნერი, პედერსენი (სალვა 80), ფრანდსენი, ოკოჩა, ჯორკაეფი (კ. ნოლანი 88)
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
გაფრთხილება: მაკკარტნი, ლავილი
მსაჯი: უინტერი
42 124 მაყურებელი

**ამ უქმეებზე** საქმე ისე აეწყო, რომ ინგლისში კვლავაც მთელი სიმძაფრით გრძელდება ჩემპიონობისთვის ბრძოლა. ორი კვირის წინათ „მეთოფეთა“ ბოსის, არსენ ვენგერის მიერ ნათქვამი, მე სხვა გუნდების შედეგები აღარ მაინტერესებსო და სერ ალექს ფერგიუსონის ნაპასუხები, თავდაჯერებამ ცხვირის წამტვრევა იცისო, კვლავაც ინარჩუნებს მნიშვნელობას, ამჯერად „არსენალის“ მდევრების სასარგებლოდ.

„ბლექბერნმა“ 2:0 მოუგო ლიდერსა და ჩემპიონს, „მანჩესტერმა“ კი „ვილა პარკზე“ გაიმარჯვა დევიდ ბექემის აღრიანი გოლით, რაც იმას ნიშნავს, რომ „არსენალსა“ და მის მდევარს შორის სხვაობა ორადორი ქულა, ანუ „მეთოფეთა“ ერთი ფრეა. საჩემპიონო რბოლის მონაწილედ კვლავაც რჩება საუცხოო „ნიუკასლი“, რომელიც ცხრილის მესამე საფეხურიდან კვლავაც უტევს პირველ ორს, ჩარლტონში გამარჯვების შემდეგ.

„ბლექბერნის“ უხერხული მეტოქეობა „არსენალისთვის“ ძველი ამბავია. გრემ სუნესის გუნდმა ამჯერადაც მოუკლა შემტევი თამაში სტუმრებს და შუა მოედანი პირველი წუთებიდანვე დაიპყრეს. მთელი მატჩის განმავლობაში „მეთოფეთა“ ყველაზე სახიფათო მომენტი ტიერი ანრის დარტყმული საჯარიმო იყო. ანგარიში კი საჯარიმოში ატეხილი არეულობის შემდეგ დემიენ დაფმა გახსნა. დაფი ექვსკვირიანი ტრავმის შემდეგ პირველად იყო სასტარტოში. მეორე გოლი კი თუგაი ქერიმოღლუმ გაიტანა. „არსენალს“ ზედიზედ ოცი მატჩი არ წაეგო 7 დეკემბრის შემდეგ, როცა „ოლდ ტრეფორდზე“ დამარცხდა, „ბლექბერნმა“ კი წლეულს მეორედ სძლია „მეთოფეებს“.

თამაშის შემდეგ „არსენალის“ რობერ პირესმა ფერგიუსონი გააკრიტიკა, ჩვენს მოშლას ინტერვიუებით ცდილობს, თავდაჯერებულებს გვიწოდებს, მაგრამ ვერაფერს დაგვაკლებსო.

ამასობაში კი, „მანჩესტერს“ ბექემის გოლი ეყო „ასტონ ვილასთან“ მატჩში. ეს გოლი რაიან გიგზის ჩაწოდებას მოჰყვა. თავად გიგზს საჯარიმო დარტყმის გატანაც შეეძლო, მასპინძელთაგან კი მუსტაფა ჰაჯის უნდა გატანა და საგოლე მომენტების მთელი ჰეთ თრიქი ჰქონდა, მაგრამ „ვილამ“ მაინც წააგო თავისი ზედიზედ მეოთხე მატჩი.

„ნიუკასლმა“ კომფორტულად მოიგო ჩარლტონში: ალან შირერმა პენალტი გაიტანა, ნოლბერტო სოლანომ ლამაზი კომბინაცია დააგვირგვინა, შირერმა კი კიდევ ერთხელ უპასუხა გაზეთებში ატეხილ ხმაურს, ნაკრებში აღარასოდეს დავბრუნდებიო. ამის გასწვრივ კი მძაფრდება ბრძოლა ცხრილის მეოთხე საფეხურისთვის, რომელიც ჩემპიონთა ლიგის საგზურს იძლევა. რახან „ევერტონმა“ შინ „ვესტ ჰემს“ ვერ მოუგო, ხოლო „ჩელსიმ“ იოლად გაინავარდა „ვესტ ბრომვიჩზე“, რომელიც უკვე ბარგშეკრული ჩანს პირველ დივიზიონში დასაბრუნებლად, მეოთხე ადგილი სწორედ „ჩელსის“ უჭირავს. მეხუთეზე დარჩენილი „ევერტონი“ კი თავისი კარის მეზობლის, ხასიათზე მოსული „ლივერპულის“ სუნთქვას გრძნობს.

ევერტონელთა მენეჯერ დევიდ მოიესისთვის კლუბის სათავეში ყოფნის ერთწლიანი იუბილე უიღბლო გამოდგა, „ლივერპულმა“ კი ნავსი გატეხა და 1996 წლის შემდეგ პირველად მოიგო „უაით ჰართ ლეინზე“, „ტოტენჰემის“ ბუნაგში. თამაში სტუმართათვის უიღბლოდ დაიწყო: მეკარე ირჟი დუდეკმა ხელებსშუა გაუშვა მაურისიო ტარიკოს შორიდან დარტყმული. ტარიკოს ხუთი წელიწადი იყო, გოლი არ გაეტანა და მთელი თამაში ცდილობდა, რომ ელ-ჰაჯი დიუფი პროვოკაციაზე წამოეგო. ალბათ, იმიტომ, რომ ამ უკანასკნელმა შუა კვირაში გლაზგოელ ქომაგებს შეაფურთხა.

„ტოტენჰემს“ თავი კარგად ეჭირა, მაგრამ მაიკლ ოუენმა სტივ კარს ჩაუქროლა, ლედლი კინგსაც და ანგარიში გაათანაბრა. მაგარი თამაში გამოვიდა. მასპინძელთა მეკარე კეისი კელერი კარგად ირჯებოდა, მაგრამ თავისი წილი შეცდომა მანაც დაუშვა. 72-ე [illegible], რაც ემილ ჰესკის [illegible], სტივენ ჯერარდმა ჩააჭედა, შერინგემისა კი გვიანი იყო და საბოლოოდ „ლივერპულმა“ 3:2 მოიგო.

რობი ფაულერმა პირველად გაიტანა „სიტიში“ გადაბარგების შემდეგ და ამ გოლმა კევინ კიგანის გუნდს „ბირმინგემთან“ მოაგებინა. მარკ ვიდუკას ლუბლმა ვერ უშველა „ლიდსს“, რომელიც შინ დამარცხდა „მიდლსბროსთან“ და რომლის მენეჯერმა სტივ მაკლარენმაც გამოაცხადა, აიეულში უნდა მოვხვდეთო.

„ბოლტონი“ კი, როგორც ჩანს, პრემიერლიგაში რჩება. ჯეი ჯეი ოკოჩამ და მისმა ამხანაგებმა სანდერლენდის „ლაითზე“ 2:0 მოიგეს. ასე შეეგება პრემიერლიგა „შავი კატების“ ახალ მენეჯერს, მიკ მაკარტის. ახლა „სანდერლენდს“ 10 ქულა აშორებს დასარჩენთა ზონისგან და უკვე შემდეგი თამაში, სტუმრობა „ვესტ ჰემთან“ გადამწყვეტია გუნდისთვის. მოგების გარდა საბრალო „სანდერლენდს“ აღარაფერი შველის.

„იმედი მაქვს — თქვა მაკარტიმ — ხალხი ფიქრობს, რომ ყველაფერი ჩვენს წინააღმდეგაა, მაგრამ ცხოვრება გვიჩვენებს“.

**ირაკლი ბაქრაძე**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 არსენალი | 30 | 19 | 6 | 5 | 64:32 | 32 | 63 | 15 | 13 | 1 | 1 | 35:13 | 22 | 40 | 15 | 6 | 5 | 4 | 29:19 | 10 | 23 |
| 2 მანჩესტერი | 30 | 18 | 7 | 5 | 48:27 | 21 | 61 | 15 | 12 | 2 | 1 | 28:10 | 18 | 38 | 15 | 6 | 5 | 4 | 20:17 | 3 | 23 |
| 3 ნიუკასლი | 30 | 18 | 4 | 8 | 49:34 | 15 | 58 | 15 | 13 | 1 | 1 | 27:9 | 18 | 40 | 15 | 5 | 3 | 7 | 22:25 | -3 | 18 |
| 4 ჩელსი | 30 | 14 | 9 | 7 | 52:31 | 21 | 51 | 14 | 8 | 4 | 2 | 28:12 | 16 | 28 | 16 | 6 | 5 | 5 | 24:19 | 5 | 23 |
| 5 ევერტონი | 30 | 14 | 8 | 8 | 38:34 | 4 | 50 | 15 | 9 | 5 | 1 | 22:13 | 9 | 32 | 15 | 5 | 3 | 7 | 16:21 | -5 | 18 |
| 6 ლივერპული | 30 | 13 | 10 | 7 | 44:30 | 14 | 49 | 15 | 6 | 8 | 1 | 22:12 | 10 | 26 | 15 | 7 | 2 | 6 | 22:18 | 4 | 23 |
| 7 ბლექბერნი | 30 | 12 | 10 | 8 | 37:32 | 5 | 46 | 16 | 8 | 5 | 3 | 22:14 | 8 | 29 | 14 | 4 | 5 | 5 | 15:18 | -3 | 17 |
| 8 ჩარლტონი | 30 | 13 | 6 | 11 | 39:38 | 1 | 45 | 15 | 7 | 3 | 5 | 23:20 | 3 | 24 | 15 | 6 | 3 | 6 | 16:18 | -2 | 21 |
| 9 საუთჰემპტონი | 30 | 11 | 10 | 9 | 32:30 | 2 | 43 | 15 | 8 | 5 | 2 | 19:11 | 8 | 29 | 15 | 3 | 5 | 7 | 13:19 | -6 | 14 |
| 10 ტოტენჰემი | 30 | 12 | 7 | 11 | 43:43 | 0 | 43 | 15 | 8 | 4 | 3 | 28:20 | 8 | 28 | 15 | 4 | 3 | 8 | 15:23 | -8 | 15 |
| 11 მიდლსბრო | 30 | 11 | 8 | 11 | 38:34 | 4 | 41 | 15 | 8 | 6 | 1 | 27:17 | 10 | 30 | 15 | 3 | 2 | 10 | 11:17 | -6 | 11 |
| 12 სიტი | 30 | 12 | 5 | 13 | 40:44 | -4 | [illegible] | 15 | 8 | 1 | 6 | 25:24 | 1 | 25 | 15 | 4 | 4 | 7 | 15:20 | -5 | 16 |
| 13 ფულემი | 30 | 10 | 8 | 12 | 35:37 | -2 | [illegible] | 16 | 9 | 3 | 4 | 22:13 | 9 | 30 | 14 | 1 | 5 | 8 | 13:24 | -11 | 8 |
| 14 ასტონ ვილა | 30 | 10 | 5 | 15 | 31:35 | -4 | 35 | 16 | 9 | 1 | 6 | 21:12 | 9 | 28 | 14 | 1 | 4 | 9 | 10:23 | -13 | 7 |
| 15 ლიდსი | 30 | 10 | 4 | 16 | 37:42 | -5 | 34 | 15 | 5 | 2 | 8 | 16:20 | -4 | 17 | 15 | 5 | 2 | 8 | 21:22 | -1 | 17 |
| 16 ბირმინგემი | 30 | 8 | 8 | 14 | 27:41 | -14 | 32 | 14 | 4 | 4 | 6 | 14:19 | -5 | 16 | 16 | 4 | 4 | 8 | 13:22 | -9 | 16 |
| 17 ბოლტონი | 30 | 6 | 11 | 13 | 32:47 | -15 | 29 | 14 | 3 | 7 | 4 | 18:21 | -3 | 16 | 16 | 3 | 4 | 9 | 14:26 | -12 | 13 |
| 18 ვესტ ჰემი | 30 | 6 | 9 | 15 | 32:53 | -21 | 27 | 15 | 2 | 6 | 7 | 15:22 | -7 | 12 | 15 | 4 | 3 | 8 | 17:31 | -14 | 15 |
| 19 ვესტ ბრომვიჩი | 30 | 5 | 6 | 19 | 21:46 | -25 | 21 | 15 | 3 | 4 | 8 | 12:21 | -9 | 13 | 15 | 2 | 2 | 11 | 9:25 | -16 | 8 |
| 20 სანდერლენდი | 30 | 4 | 7 | 19 | 19:48 | -29 | 19 | 15 | 3 | 2 | 10 | 9:22 | -13 | 11 | 15 | 1 | 5 | 9 | 10:26 | -16 | 8 |

**XXXI ტური**

22 მარტი

| | |
|---|---|
| არსენალი | ევერტონი |
| ვესტ ჰემი | სანდერლენდი |
| ბირმინგემი | ვესტ ბრომვიჩი |
| ბოლტონი | ტოტენჰემი |
| ჩელსი | მანჩესტერ სიტი |
| ლივერპული | ლიდსი |
| მანჩესტერი | ფულემი |
| მიდლსბრო | ჩარლტონი |
| ნიუკასლი | ბლექბერნი |
| საუთჰემპტონი | ასტონ ვილა |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ანრი (არსენალი) | 19 |
| ბიტი (საუთჰემპტონი) | 19 |
| შირერი (ნიუკასლი) | 16 |
| ვან ნისტელროი (მანჩესტერი) | 12 |
| ანელკა (მანჩესტერ სიტი) | 12 |
| ძოლა (ჩელსი) | 12 |
| ოუენი (ლივერპული) | 12 |

### პირველი დივიზიონი

**XXXVII ტური**

**დერბი ქაუნთი 1:2 ბრედფორდი**

0:1 იორგენსენი (14), 1:1 მორისი (28), 1:2 ლოურენსი (90)
დერბი ქაუნთი: გრანტი, უ. ბარტონი, მილსი (ზავანო 90), ელიოტი, ბოერტიენი, ბოლდერი (ძინძლაძე 70), ლი, ბარლი, ლ. მორისი, ჩედვიკი (მაკლეოდი 74), რავანელი
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
23 735 მაყურებელი

**ბრაიტონი 1:0 ნოტინგემი**

1:0 ბროკერი (16)

**ჯილინგემი 1:1 როტერჰემი**

0:1 უორნი (12), 1:1 უოლესი (22)

**გრიმსბი 1:0 უოტფორდი**

1:0 გროვსი (64)

**ლესტერი 2:1 პრესტონი**

0:1 ლუისი (20), 1:1, 2:1 დინი (43, 56)

**ნორვიჩი 2:0 ქოვენთრი**

1:0 ნიდერგაარდი (33), 2:0 დრური (90)

**პორტსმუთი 1:0 ვულვერჰემპტონი**

1:0 სტოუნი (4)

**რედინგი 2:1 კრისტალ პალასი**

1:0 ბრაუნი (66), 1:1 ჯონსონი (76), 2:1 ჰარპერი (90)

**შეფილდ უენსდი 0:1 იფსვიჩი**

0:1 ჰოლანდი (17)

**სტოკი 0:0 შეფილდ იუნ.**

**უოლსოლი 3:2 ბარნლი**

1:0 ლეიტაო (24), 2:0 კარბონი (33), 3:0 მატიასი (66), 3:1 ბლეიკი (75პ), 3:2 ლიტლი (90)

**უიმბლდონი 2:0 მილუოლი**

1:0 შიპერლი (19), 2:0 ეგიმენგი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტსმუთი | 37 | 23 | 10 | 4 | 77:36 | 79 |
| ლესტერი | 37 | 21 | 11 | 5 | 60:33 | 74 |
| რედინგი | 37 | 20 | 4 | 13 | 47:35 | 64 |
| შეფილდი | 35 | 18 | 8 | 9 | 55:38 | 62 |
| ნოტინგემი | 36 | 16 | 11 | 9 | 62:37 | 59 |
| ვულვზი | 37 | 16 | 11 | 10 | 62:38 | 59 |
| იფსვიჩი | 37 | 14 | 12 | 11 | 56:46 | 54 |
| ნორვიჩი | 36 | 14 | 10 | 12 | 48:37 | 52 |
| უიმბლდონი | 36 | 13 | 11 | 12 | 61:60 | 50 |
| ჯილინგემი | 36 | 13 | 11 | 12 | 49:50 | 50 |
| როტერჰემი | 37 | 13 | 10 | 14 | 53:51 | 49 |
| ბარნლი | 35 | 13 | 9 | 13 | 52:63 | 48 |
| კრ. პალასი | 36 | 11 | 14 | 11 | 47:42 | 47 |
| პრესტონი | 36 | 12 | 11 | 13 | 54:56 | 47 |
| ქოვენთრი | 37 | 12 | 11 | 14 | 41:46 | 47 |
| მილუოლი | 37 | 13 | 8 | 16 | 42:57 | 47 |
| უოტფორდი | 37 | 13 | 8 | 16 | 39:54 | 47 |
| ბრედფორდი | 36 | 12 | 9 | 15 | 44:56 | 45 |
| უოლსოლი | 36 | 12 | 7 | 17 | 49:54 | 43 |
| დერბი | 37 | 12 | 7 | 18 | 46:57 | 43 |
| ბრაიტონი | 37 | 9 | 8 | 20 | 37:55 | 35 |
| სტოკი | 37 | 7 | 12 | 18 | 36:63 | 33 |
| გრიმსბი | 37 | 8 | 9 | 20 | 42:72 | 33 |
| უენსდი | 37 | 6 | 12 | 19 | 37:60 | 30 |

### მეორე დივიზიონი

37-ე ტური: ტრანმერი — კარდიფი 3:3; ბლეკპული — პლიმუთი 1:1; ბრენტფორდი — სტოკპორტი 1:2; ბრისტოლი — პიტერბრო 1:0; ჩელტენემი — ნორთჰემპტონი 1:1; კოლჩესტერი — ჰადერსფილდი 2:0; ქრიუ — პორტ ვეილი 1:1; მენსფილდი — სუინდონი 2:1; ნოტსი — ჩესტერფილდი 1:1; ოლდემი — ქუინზ პარკი 0:0; უიგანი — ლუთონი 1:1; უიკომბი — ბარნსლი 2:2

### მესამე დივიზიონი

37-ე ტური: კემბრიჯი — კიდერმინსტერი 0:2; დარლინგტონი — ექსეტერი 2:2; ჰარტლპული — საუთენდი 2:1; ლეიტონი — როვერსი 1:2; ლინკოლნი — რექსემი 1:1; მაკლსფილდი — ბერი 0:0; როჩდეილი — ბოსტონი 1:0; რაშდენი — ჰალი 4:2; შრიუსბერი — ოქსფორდი 1:2; სუონსი — კარლაილი 1:2; ტორკი — სკანთორპი 1:1; იორკი — ბორნმუთი 1:0

## გერმანია

### ბუნდესლიგა XXV ტური

**ბოხუმი 1:4 ბაიერნი**

0:1 პიზარო (19), 0:2 ელბერი (37), 0:3 ნ. კოვაჩი (49), 0:4 სანიოლი (87), 1:4 კრისტიანსენი (90)
ბოხუმი: ვან დუინჰოვენი, რაიხი, ვრიზდე, ტაპალოვიჩი, კოლდინგი, მაიხელბეკი (მანდრეკო 69), გუდიონსონი, ფრაიერი, ფოში (ფარენჰორსტი 90), ბაკლი, ჰაშემიანი (კრისტიანსენი 61)
მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი
ბაიერნი: კანი, სანიოლი, რ. კოვაჩი, თ. ლინკე, ლიზარაზუ, ჰარგრივსი, ნ. კოვაჩი, შვაინშტაიგერი (დაისლერი 78), ზე რობერტო (ციკლერი 87), ელბერი, კ. პიზარო (სანტა კრუზი 78)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
მსაჯი: მერკი
32 645 მაყურებელი

**დორტმუნდი 2:0 ჰანოვერი**

1:0 ფრინგსი (33), 2:0 ლეანდრო (76)
*პოპესკუმ ვერ გაიტანა პენალტი (12, მეკარე)*
დორტმუნდი: ლემანი, მადუნი, ვიორნსი, მეცელდერი, შ. როიტერი, კელი, ევანილსონი, ფრინგსი, ევერტონი (ოდონქორი 59), ამოროზო (ლეანდრო 73), კოლერი (ჰერლიხი 87)
მწვრთნელი: მათიას ზამერი
ჰანოვერი: ტრემელი, ჩერუნდოლო (კაუფმანი 65), კონსტანტინიდისი, ვინიციუსი, ვან ჰინტუმი (შულერი 69), პოპესკუ, ლალა, კრუპნიკოვიჩი, სტაინერი (შტენდელი 73), იდრისუ, ბობიჩი
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
გაფრთხილება: ვან ჰინტუმი
მსაჯი: ფროილიხი
68 600 მაყურებელი

**მიუნხენი 0:1 შტუტგარტი**

0:1 ბორდონი (40)
მიუნხენი: მ. ჰოფმანი, ჩერნი, ვოტავა (მაქსი 57), როდრიგო კოშტა, ტ. ჰოფმანი, ვიზინგერი (შუკერი 81), მაიერი, ბორიმიროვი, ვაისენბერგერი (შაო 66), აგოსტინო, ლაუტი
მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
შტუტგარტი: თ. ერნსტი, ჰინკელი, მეირა, ბორდონი, გერბერი, სოლდო, ტიფერტი, მუტცელი (გლები 46), ბალაკოვი (ვენცელი 90), განია, კურანი (ზაიცი 72)
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: როდრიგო კოშტა, ჩერნი, ბალაკოვი, განია
მსაჯი: გაგელმანი
28 000 მაყურებელი

**ჰამბურგი 3:1 შალკე**

1:0 რომეო (29), 1:1 ვან ჰოოგდალემი (57), 2:1 ტაკაჰარა (87), 3:1 რომეო (90)
ჰამბურგი: პიკენჰაგენი, იაკობსენი, ჰოოგმა, იუჟფალუში, ჰოლერბახი (ვიკი 90), ბენჟამინი (მეიერი 81), მალტრიცი, კარდოზო (ტაკაჰარა 61), მაჰდავიკია, ბარბარესი, რომეო
მწვრთნელი: კურტ იარა
შალკე: ფ. როსტი, პოულსენი, ვალდოხი, ვან ჰოოგდალემი, მატელანი, კმეტჩი (ვილმოტსი 88), ასამოა, ბიომე, ვერმანტი, ვარელა, სანდი
მწვრთნელი: ფრანკ ნოიბარტი
გაფრთხილება: იუჟფალუში, ჰოლერბახი, პოულსენი, ტაკაჰარა, ვარელა, პოულსენი, ბიომე
გაძევება: პოულსენი (71), მატელანი (84)
მსაჯი: აუსტი
55 432 მაყურებელი

**ჰანზა 1:0 ვერდერი**

1:0 ჰირში (72)
ჰანზა: შობერი, კოვარი, იაკობსონი, ჰილი, ჰირში, ვიბრანი (არვიდსონი 70), ლანცი, პერსონი, დი სალვო (პრიკა 79), მეგლე (ადუბე 90), სალუ
მწვრთნელი: არმინ ვეჰი
ვერდერი: ბორელი, სტალტერი, ვერლაატი, კრსტაიჩი, ფ. ერნსტი, სკრიპნიკი, ბანოვიჩი (რაიხი 77), მიკუ, ლისტეში, ხარისტიასი, აილტონი (დაუნი 60)
მწვრთნელი: თომას შაფი
გაფრთხილება: ჰილი, დი სალვო, ერნსტი, მიკუ, ბანოვიჩი, მიკუ, კრსტაიჩი, სკრიპნიკი
გაძევება: მიკუ (67), ლისტეში (82)
მსაჯი: ვაინერი
17 200 მაყურებელი

# ლაუტერნი ტენის და ტენის

## ბაიერნი სათოფეზე არავის იკარებს



REUTERS

ბოხუმი — ბაიერნი. გერმანული „ფერხული"

**ნიურნბერგი 0:3 ჰერტა**

0:1 პრეეცი (15), 0:2 მარქსი (39), 0:3 მარსელინიო (83)
ნიურნბერგი: კამპა, ვოლფი, კოში, ნიკლი, პოპოვიჩი, ფრაი (კაკაუ 46), ლარსენი, ჟუნიორი, ლ. მიულერი (კრჟინოვეკი 67), იაროლიმი, ს. ჩირიჩი (მიხალკე 76)
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
ჰერტა: კირალი, ფრიდრიხი, ვან ბურიკი, სიმუნიჩი, ჰარტმანი, დარდაი, ბაინლიხი (გოორი 79), მარქსი (შმიდტი 83), მარსელინიო, პრეეცი, ლუიზაო (ალვეში 68)
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
გაფრთხილება: ფრაი, ვან ბურიკი, მარსელინიო
მსაჯი: მაიერი
25 500 მაყურებელი

**კოტბუსი 1:3 კაიზერსლაუტერნი**

0:1 კლოზე (39), 1:1 როსტი (42), 1:2 ხრისტოვი (71), 1:3 ლოკვენცი (90)
კოტბუსი: ლენცი, როჟგონი (იუსკოვიაკი 65), და სილვა, ბეეკი, ბერჰალტერი, რეგეკამპფი, ტ. როსტი, ლატუნდი (რინკი 80), კობილანსკი (იუნგნიკელი 74), ვაგნერი, ტოპიჩი
მწვრთნელი: ედუარდ გაიერი
კაიზერსლაუტერნი: ვიზე, ბასლერი, ჰ. რამზი, კნავსი, ჩატო, სფორცა, ანფანგი (ხრისტოვი 65), ლინკოლნი (ტიმი 46), დომინგუში (ტ. კლოსი 74), ლოკვენცი, კლოზე
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
გაფრთხილება: რეგეკამპფი, სფორცა, ვიზე, ლინკოლნი, კნავსი
მსაჯი: იანსენი
15 216 მაყურებელი

**ლევერკუზენი 1:1 ვოლფსბურგი**

1:0 რამელო (68), 1:1 მარიჩი (81)
*შნაიდერმა ვერ გაიტანა პენალტი (9, მეკარე)*
ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, ბალიტჩი, ჟივკოვიჩი, ჟუანი, ოჯიგვე (ბაბიჩი 46), რამელო, ბ. შნაიდერი, ბაშთურქი, ნოივილი, ბიროფკა (ბრდარიჩი 76), ბერბატოვი (შუფი 60)
მწვრთნელი: თომას ჰიორსტერი
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, კარჰანი, ბილიშკოვი, შნოორი (კლიმოვიჩი 73), რიტერი, ტიამი, ვაიზერი, რაუ, დ. მუნტიანუ (ს. მიულერი 52), ტ. მარიჩი, პონტე (კვატროკი 83)
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
გაფრთხილება: ნოივილი, ბალიტჩი, შნოორი, პონტე
მსაჯი: ფლაიშერი
22 500 მაყურებელი

**არმინია 4:1 მიონხენგლადბახი**

1:0, 2:0 დიაბანგი (14, 47), 3:0 ვიშნიარეკი (54), 3:1 ვან ჰუდტი (75), 4:1 დიაბანგი (83)
არმინია: ჰაინი, ჰანსენი, რაინჰარდტი, ბორგესი, დაბროვსკი, კაუფი, დამაიერი, ბრინკმანი (რაუვი 71), ვატა (პორკელიო 76), დიაბანგი, ვიშნიარეკი (ბოგდანოვიჩი 71)
მწვრთნელი: ბენო მიოლმანი
მიონხენგლადბახი: შტილი, ებერლი, პლეტჩი, შტრასერი, ემბერსი, კლუგე, კორზინეცი (სკუბო 76), დემო, აიდოო (ვან ჰუდტი 46), კეტელაერი (ფელგენაუერი 79), ფორსელი
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
გაფრთხილება: დიაბანგი, აიდოო, ემბერსი
მსაჯი: შტაინბორნი
26 601 მაყურებელი

„**კაიზერსლაუტერნმა**" ამ სეზონში პირველად მოიგო სტუმრად და როგორც იქნა, გასავარდნ გუნდთა სამეულს ზემოდან გადახედა.

ლაუტერნელთა ბოლოდროინდელ მიღწევათა თავი და თავი ერიკ გერეტსია.

გერეტსს ჯერ არ დაუტოვებია გერმანიის ოთხგზის ჩემპიონი გუნდი ბუნდესლიგაში, მაგრამ საკუთარ სამწვრთნელო კვალიფიკაციას ღირსებები რომ შემატა, ფაქტია.

ნელ-ნელა იბრუნებს რეპუტაციას მიროსლავ კლოზე — მან გოლის გემო გაიხსენა და კოტბუსის „ენერგისაც" პირველი ბურთი მიროსლავმა მიართვა — რითაც ედუარდ გაიერის გუნდი ბრინჯივით დააბნია.

„კაიზერსლაუტერნმა" ამ გამარჯვებით უკან ორი გუნდიც მოიტოვა — „ლევერკუზენი" და „მიონხენგლადბახი".

ლევერკუზენელებმა „ვოლფსბურგზე" მეტი საგოლე შანსი გაანიავეს, თორემ უეფენბერგო მეტოქე წელში უნდა გადაეტეხათ. თომას ჰიორსტერის სამწყსო კაპიტანმა კარსტენ რამელომ დააწინაურა, მაგრამ 13 წუთის შემდეგ ვოლფსბურგელთა ხორვატი შემტევი ტომისლავ მარიჩი გამოტყვრა და თავურით გაათანაბრა.

გლადბახელებს კი ახალი მწვრთნელი ევალდ ლინენი ვეღარ შველის. თუმც მათ ჰოლანდიელი ფორვარდი პიტერ ვან ჰოუდტი გამოუჯანმრთელდათ, რომელმაც ტრავმის შემდეგ მოედანზე დაბრუნება გოლით აღნიშნა.

მაგრამ ეს რა მოსატანია, როცა სენეგალელმა მამადუ დიაბანგმა ჰეთ თრიქს გამოჰკრა ხელი. გოლით გამოირჩა ბილეფელდელთა პოლონელი თავდამსხმელი არტურ ვიშნიარეკი.

მარტივად ვერ განვმარტავთ, თუ რა სენი შეეპარათ გელზენკირხენელ „ხუმარებს" — „შალკე" ბოლო დროს რალაცნაირად, დაძაბუნებულად გამოიყურება. ფრანკ ნოიბარტის გუნდს იმანაც დარია ხელი, რომ კრისტიან პოულსენი და არგენტინელ ანიბალ მატელანი გააძევეს.

ქება არ უნდა დავამადლოთ „ჰამბურგს" — ჩრდილოელებს არგენტინელი ბერნანდო რომეოს ჩუბინობამ შეასხა ფრთები, თავისი გააკეთა იაპონელმა შემტევმა ნაჩირო ტაკაჰარამაც.

გაილაღა „ჰამბურგის" უეფას თასის საგზურისთვის კონკურენტმა ბერლინის „ჰერტამაც" — დედაქალაქელებმა „ნიურნბერგი" დაიბრიყვეს, რომლის დამრიგებელი კლაუს აუგენტალერი ჯერაც არ მოუხსნიათ.

თავისას არ თმობს „ჰერტას" 35 წლის ფორვარდი მიხაელ პრეეცი — მას ბოლო დროს გოლი გოლზე გააქვს.

კვლავაც მძლავრი და შეუპოვარი გახლდათ ფელიქს მაგათის „შტუტგარტი". „ოლიმპიაშტადიონზე" მიუნხენელებს ჯიგრიანი თამაში კი გამოსდიოდათ, მაგრამ მეტოქეს მაინც ვერაფერი მოუხერხეს. წინა ტურში „1860-მა" „ჰერტასთან" 0:6 წააგო და ამას გუნდის მთავარი მწვრთნელი პეტერ პაკულტი შეეწირა. მისმა შემცვლელმა ფალკო გიოტცმა კი წაგებით დაიწყო საქმე.

ძალიან დაძაბული, ნერვებსაწიწკნი მატჩი გაიმართა როსტოკში. „ჰანზას" სტუმარი ბრემენის „ვერდერი" გახლდათ — „მუსიკოსები" ზედმეტად აფორიაქებულნი ჩანდნენ და მათ ორი კაციც გაუგდეს.

როგორც კი „ვერდერის" ფრანგი პლეიმეიკერი იოან მიკუ „გააწითლეს", როსტოკელებმა მყის შეაგდეს — დიტმარ ჰირშმა საგოლეს გაისროლა.

ჩემპიონ „დორტმუნდს" ჩემპიონთა ლიგაში დღეს გადამწყვეტი მატჩი ელის — ზამერელები მილანში კარგ განწყობაზე უნდა იყვნენ — „ჰანოვერთან" მძიმედ დაიწყეს შეხვედრა, თუმც მერე დიდი პრობლემების გარეშე მოითავეს საქმე.

მე-12 წუთზე გეორგე პოპესკუს 11-მეტრიანი რომ არ აეცილებინა, ვინძლო ჭირ-ვარამი გადარჩენოდა „დორტმუნდს" მატჩის მოსაგებად. მაგრამ როგორც კი ტორსტენ ფრინგსმა ჩემპიონი დააწინაურა, ყოველივე მოულოდნელობების გარეშე ჩამთავრდა.

უბადრუკი იყო მიუნხენის „ბაიერნის" მასპინძელი „ბოხუმი". 18 წელიწადია, რაც ბავარიელებს ბოხუმში არ წაუგიათ და „ბაიერნი" ახლა ძალიან ახლოსაა ქვეყნის ჩემპიონი მე-18 გახდეს.

პირველ ტაიმში კლაუდიო პიზარომ და ჯოვანი ელბერმა თავურებით რომ გაიტანეს, ყველაფერი ნათელი გახდა. თუმც ოტმარ ჰიცფელდმა ბიჭებს მეტოქის მოჩანთვა უბრძანა — ნიკო კოვაჩიც და ვილი სანიოლიც ამაღ დაშვრნენ.

**დავით თამარაძიაძე**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ბაიერნი | 25 | 18 | 5 | 2 | 56:16 | 40 | 59 | 13 | 10 | 3 | 0 | 33:10 | 23 | 33 | 12 | 8 | 2 | 2 | 23:6 | 17 | 26 |
| 2 დორტმუნდი | 25 | 13 | 7 | 5 | 41:20 | 21 | 46 | 12 | 8 | 4 | 0 | 22:7 | 15 | 28 | 13 | 5 | 3 | 5 | 19:13 | 6 | 18 |
| 3 შტუტგარტი | 25 | 13 | 7 | 5 | 40:27 | 13 | 46 | 12 | 7 | 4 | 1 | 24:10 | 14 | 25 | 13 | 6 | 3 | 4 | 16:17 | -1 | 21 |
| 4 ჰამბურგი | 25 | 11 | 7 | 7 | 32:30 | 2 | 40 | 12 | 9 | 2 | 1 | 18:9 | 9 | 29 | 13 | 2 | 5 | 6 | 14:21 | -7 | 11 |
| 5 ჰერტა | 25 | 11 | 6 | 8 | 37:26 | 11 | 39 | 12 | 6 | 4 | 2 | 24:12 | 12 | 22 | 13 | 5 | 2 | 6 | 13:14 | -1 | 17 |
| 6 შალკე | 25 | 9 | 11 | 5 | 35:29 | 6 | 38 | 12 | 4 | 7 | 1 | 17:11 | 6 | 19 | 13 | 5 | 4 | 4 | 18:18 | 0 | 19 |
| 7 ვერდერი | 25 | 11 | 4 | 10 | 39:38 | 1 | 37 | 13 | 8 | 2 | 3 | 27:17 | 10 | 26 | 12 | 3 | 2 | 7 | 12:21 | -9 | 11 |
| 8 მიუნხენი | 25 | 9 | 6 | 10 | 32:40 | -8 | 33 | 12 | 4 | 3 | 5 | 14:17 | -3 | 15 | 13 | 5 | 3 | 5 | 18:23 | -5 | 18 |
| 9 ვოლფსბურგი | 25 | 9 | 5 | 11 | 29:33 | -4 | 32 | 12 | 8 | 1 | 3 | 19:11 | 8 | 25 | 13 | 1 | 4 | 8 | 10:22 | -12 | 7 |
| 10 ჰანზა | 25 | 8 | 7 | 10 | 27:31 | -4 | 31 | 13 | 3 | 5 | 5 | 13:16 | -3 | 14 | 12 | 5 | 2 | 5 | 14:15 | -1 | 17 |
| 11 არმინია | 25 | 7 | 9 | 9 | 29:32 | -3 | 30 | 12 | 6 | 3 | 3 | 18:9 | 9 | 21 | 13 | 1 | 6 | 6 | 11:23 | -12 | 9 |
| 12 ბოხუმი | 25 | 8 | 6 | 11 | 40:45 | -5 | 30 | 13 | 5 | 2 | 6 | 20:21 | -1 | 17 | 12 | 3 | 4 | 5 | 20:24 | -4 | 13 |
| 13 ჰანოვერი | 25 | 8 | 5 | 12 | 35:46 | -11 | 29 | 13 | 4 | 3 | 6 | 21:26 | -5 | 15 | 12 | 4 | 2 | 6 | 14:20 | -6 | 14 |
| 14 ლაუტერნი | 25 | 7 | 7 | 11 | 33:34 | -1 | 28 | 13 | 6 | 2 | 5 | 19:14 | 5 | 20 | 12 | 1 | 5 | 6 | 14:20 | -6 | 8 |
| 15 ლევერკუზენი | 25 | 7 | 6 | 12 | 32:41 | -9 | 27 | 13 | 3 | 3 | 7 | 16:23 | -7 | 12 | 12 | 4 | 3 | 5 | 16:18 | -2 | 15 |
| 16 გლადბახი | 25 | 7 | 5 | 13 | 26:36 | -10 | 26 | 12 | 6 | 4 | 2 | 18:8 | 10 | 22 | 13 | 1 | 1 | 11 | 8:28 | -20 | 4 |
| 17 ნიურნბერგი | 25 | 7 | 4 | 14 | 28:45 | -17 | 25 | 13 | 4 | 2 | 7 | 15:21 | -6 | 14 | 12 | 3 | 2 | 7 | 13:24 | -11 | 11 |
| 18 კოტბუსი | 25 | 6 | 5 | 14 | 25:47 | -22 | 23 | 13 | 3 | 1 | 9 | 12:25 | -13 | 10 | 12 | 3 | 4 | 5 | 13:22 | -9 | 13 |

### XXVI ტური

23 მარტი

| | | |
|---|---|---|
| ჰერტა | — | კოტბუსი |
| შტუტგარტი | — | ნიურნბერგი |
| შალკე | — | მიუნხენ 1860 |
| გლადბახი | — | ჰამბურგი |
| ვერდერი | — | ჰანოვერი |
| ბაიერნი | — | ჰანზა |
| ვოლფსბურგი | — | ბოხუმი |
| ლაუტერნი | — | ლევერკუზენი |
| არმინია | — | დორტმუნდი |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| აილტონი (ვერდერი) | 15 |
| ელბერი (ბაიერნი) | 15 |
| კრისტიანსენი (ბოხუმი) | 14 |
| კურანი (შტუტგარტი) | 13 |

## მეორე ბუნდესლიგა

### XXV ტური

**მაინცი 1:3 ფიურტი**

1:0 ვორონინი (22პ), 1:1 როსლერი (26), 1:2, 1:3 კაილასი (74, 80)
*ფიურტელი გიორგი დეკანოსიძე სათადარიგო იყო*

**უნიონი 0:3 კიოლნი**

0:1 შერცი (53), 0:2 კიოიო (55), 0:3 ლოტნერი (87)
*კიოლნელი არჩილ არველაძე სარეზერვო გუნდშია*

**ალენი 0:0 დუისბურგი**

**ტრირი 1:2 როიტლინგენი**

0:1 ჰოფმანი (6), 1:1 ლაბაკი (34), 1:2 ფრომერი (37)

**ბრაუნშვაიგი 0:0 ბურგჰაუზენი**

**აინტრახტი 1:1 ალემანია**

1:0 შკელა (29), 1:1 როსინი (34)

**ობერჰაუზენი 3:0 ზანკტ პაული**

1:0 ობადი (17), 2:0 შარპენბერგი (80), 3:0 ბელიაკოვი (84)

**ლიუბეკი 2:0 კარლსრუე**

1:0 ტურკმენი (9), 2:0 შარპინგი (65)

**ვალდჰოფი — ფრაიბურგი**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 25 | 14 | 11 | 0 | 53:28 | 53 |
| აინტრახტი | 25 | 13 | 8 | 4 | 39:21 | 47 |
| ფრაიბურგი | 24 | 13 | 6 | 5 | 36:20 | 45 |
| მაინცი | 25 | 13 | 4 | 8 | 40:26 | 43 |
| ტრირი | 25 | 12 | 6 | 7 | 43:31 | 42 |
| ალემანია | 25 | 10 | 9 | 6 | 41:32 | 39 |
| ფიურტი | 25 | 9 | 10 | 6 | 33:27 | 37 |
| ობერჰაუზენი | 25 | 9 | 6 | 10 | 29:29 | 33 |
| დუისბურგი | 25 | 8 | 9 | 8 | 33:34 | 33 |
| ბურგჰაუზენი | 25 | 7 | 11 | 7 | 38:32 | 32 |
| როიტლინგენი | 24 | 9 | 5 | 10 | 32:34 | 32 |
| ლიუბეკი | 25 | 9 | 4 | 12 | 36:36 | 31 |
| ალენი | 25 | 7 | 5 | 13 | 34:44 | 26 |
| უნიონი | 24 | 5 | 11 | 8 | 28:44 | 26 |
| კარლსრუე | 25 | 4 | 9 | 12 | 23:41 | 21 |
| ზტ. პაული | 25 | 5 | 6 | 14 | 34:53 | 21 |
| ვალდჰოფი | 24 | 5 | 6 | 13 | 27:47 | 21 |
| ბრაუნშვაიგი | 25 | 4 | 8 | 13 | 24:44 | 20 |

## ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

23-ე ტური: კიოლნი (მ) — ესენი 2:1; ბაბელსბერგი — დორტმუნდი (მ) 1:1; ქემნიცი — კილი 3:1; დინამო — დრეზდენი 1:0; პადერბორნი — ლევერკუზენი (მ) 6:1; მიუნსტერი — ჰამბურგი (მ) 2:1; იურდინგენი — ოსნაბრიუკი 0:1; ვატენშაიდი — ფერლი 3:2; ვერდერი (მ) — აუე 2:3

## სამხრეთ რეგიონალლიგა

25-ე ტური: ელვერსბერგი — ოფენბახი 3:2; ჰოფენჰაიმი — კაიზერსლაუტერნი (მ) 2:1; აუგსბურგი — პფულენდორფი 4:0; დარმშტადტი — ნოინკირხენი 1:0; აინტრახტი (მ) — აალენი 0:0; ზაარბრიუკენი — შვაინფურტი 1:1; კიკერსი — ვეჰენი 1:1; უნტერჰახინგი — ბაიერნი (მ) 5:1; ზიგენი — ერფურტი 1:1

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი XXVI ტური

**ვილიარეალი 0:1 რეალი**

0:1 ელგერა (89)
ვილიარეალი: რეინა, გალვანი, კიკე ალვარესი, ბალესტეროსი, კიკე მედინა, ხორხე ლოპესი, ხოსიკო, ფარინოსი (დე ნიგრისი 88), პალერმო, ვიქტორი, გიარე
მწვრთნელი: ბენიტო ფლორო
რეალი: კასილიასი, სალგადო, პავონი, ი. ელგერა, რობერტო კარლოსი, ფიგუ (მინიამბრესი 80), კამბიასო (პორტილიო 80), ფ. კონსეისაო, ზიდანი, რაული, რონალდო (გუტი 70)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
გაფრთხილება: სალგადო, კონსეისაო, ელგერა, პალერმო
მსაჯი: პერეს პერესი
23 000 მაყურებელი

**რასინგი 1:2 სოსიედადი**

1:0 ბენაიუნი (4), 1:1 ნიჰათი (22), 1:2 კარპინი (60)
*ისმაელმა ვერ გაიტანა პენალტი (58, ააცილა)*
რასინგი: ლემენსი, კორომინა, ნერუ, არსენო, ნაფტი, ხუანმა, ისმაელი (აგილარი 82), პაბლო ლაგო (სარაბია 71), ბენაიუნი, ხავი გერერო, დიეგო ალონსო (ჩიკი 75)
მწვრთნელი: ჩუჩი კოსი
სოსიედადი: ვესტერფელდი, კვარმე, ლოპეს რეკარტე, ბორისი, ხაბი ალონსო, ხაურეგი, დე პედრო (ბარკერო 80), კარპინი (ტაიფუნი 75), კოვაჩევიჩი (მიკელ ალონსო 75), არანბურუ, ნიჰათი
მწვრთნელი: რეინალდ დენიო
გაფრთხილება: არსენო, ლოპეს რეკარტე, ნაფტი, ისმაელი, ნაფტი, სარაბია
გაძევება: ნაფტი (87)
მსაჯი: დაუდენ იბანიესი
15 000 მაყურებელი

**დეპორტივო 2:0 რაიო ვალეკანო**

1:0 მაკაი (18პ), 2:0 ნაიბეტი (85)
დეპორტივო: მოლინა, რომერო, ნაიბეტი, ჟორჟე ანდრადე, ექტორი, მაურო სილვა, სკალონი (ვალერონი 66), სერხიო, მაკაი, ტრისტანი (ლუკე 76), ამავისკა (ფრანი 56)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
რაიო ვალეკანო: სეგურა, კორინო, გრაფი, მორა (ლუის სემბრანოსი 58), მარიო, მიჩელი, კვვედო, ირინეი, ასკოიტია, ხულიო ალვარესი (კამუნიასი 77), ბოლიჩი (ბოლო 77)
მწვრთნელი: გუსტავო ბენიტესი
გაფრთხილება: გრაფი, ასკოიტია, ამავისკა, ექტორი, ირინეი, კორინო, კორინო, ბოლო
გაძევება: კორინო (83)
მსაჯი: ტელიეს სანჩესი
25 000 მაყურებელი

**ბილბაო 1:0 ვალენსია**

1:0 ეჩებერია (38)
*აურელიომ ვერ გაიტანა პენალტი (38, მეკარე)*
ბილბაო: არანსუბია, ლარასაბალი, ა. კარანკა, ლუის პრიეტო, აიტორ ოსიო, ხავი გონსალესი (მურილიო 87), ალკისა, ტიკო (ფელიპე 73), ესკერო, ხ. ეჩებერია, ურსაისი
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
ვალენსია: კანისარესი, ფ. აურელიო, აიალა, მარჩენა, რევილიერი, ბარახა, ანგულო (კარეუ 60), აიმარი, დე ლოს სანტოსი (რუფეტე 70), ვისენტე (კილი გონსალესი 78), მისტა
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: ვისენტე, კარანკა, მისტა, ესკერო, მისტა, ურსაისი, ლუის პრიეტო, ალკისა
გაძევება: მისტა (54)
მსაჯი: მეხუტო გონსალესი
32 000 მაყურებელი

**ატლეტიკო 0:1 სელტა**

0:1 ბერიზო (87)
ატლეტიკო: ესტებანი, კონტრა, კოლოჩინი, ჰიბიჩი, სერხი, აგილერა (მოვილია 78), ალბერტინი, ემერსონი, ლუის გარსია (ხორხე 51), ფ. ტორესი, ხოსე მარი (ხავი მორენო 72)
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
სელტა: კავალიერო, ველასკო, სილვინიო, კასერესი, ბერიზო, ანხელი (კატანია 84), ხუანფრანი, მოსტოვოი (ვაგნერი 67), ხოსე იგნასიო, ედუ (მაკარტი 41), გუსტავო ლოპესი
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
გაფრთხილება: ხუანფრანი, ხოსე იგნასიო, ანხელი, კონტრა, ბერიზო, კასერესი, ემერსონი
მსაჯი: ლოპეს ნიეტო
55 000 მაყურებელი

# დაქირავებული იმედი

## მაკაიმ ტრისტანს პენალტი წაართვა



REUTERS

ბეტისი — უელვა. ხავი გარსია და მასპინძელთა ბრაზილიელი დენილსონი ფეხდახელ შეიბნენ

**ბეტისი 1:1 უელვა**

1:0 კაპი (10), 1:1 ხისკო (62)
ბეტისი: პრატსი, მინგო, მ. ასუნსაო, ვარელა, ფერნანდო, კაპი (ჟოაუ ტომასი 72), იტო (ბენჟამინი 76), არზუ, მელი, დენილსონი, ხოაკინი
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
უელვა: ლუკე, მერინო, პერნია, ხავი გარსია, იკერ ბეგონია, ბენიტესი (რომერო 56), ლორენი (ესპინოლა 24), ვიკეირა, კამაჩო, რაულ მოლინა (ბერმეხო 84), ხისკო
მწვრთნელი: ლუკას ალკარასი
გაფრთხილება: ვიკეირა, მელი, იტო, ხავი გარსია, კაპი, მერინო
მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო
35 000 მაყურებელი

**ალავესი 0:0 ბარსელონა**

ალავესი: ხუან პაბლო, იკერ ბეგონია, კარმონა, ტელიესი, ჯელი, ლორენსი, ტომიჩი (ტურიელი 53), დესიო, ასტუდილიო (რუბენ ნავარო 73), კრუიფი, ივან ალონსო
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
ბარსელონა: ბონანო, რაიციგერი, ფ. დე ბური, სორინი (მენდიეტა 46), ხავი, რიკელმე, გაბრი (კრისტენვალი 31), მოტა, სავიოლა (ინიესტა 62), კლუივერტი, ოვერმარსი
მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი
გაფრთხილება: გაბრი, ტომიჩი, დე ბური
გაძევება: მოტა (60), ტელიესი (89)
მსაჯი: ესკინას ტორესი
19 457 მაყურებელი

**ესპანიოლი 2:1 მალაგა**

1:0 ტამუდო (52), 1:1 მანუ (78), 2:1 ტამუდო (89პ)
ესპანიოლი: ტონი ხიმენესი, დავიდ გარსია, ლოპო, სოლდევილა, ტორიჩელი, მორალესი, როხერი, მაქსი, ოსკარი (მარტინ პოსე 65), დე ლა პენია (მილოშევიჩი 83), ტამუდო
მწვრთნელი: ხავიერ კლემენტე
მალაგა: კონტრერასი, როტეტა, ვალკარსე (როხასი 7), ფ. სანსი, ხოსემი, მუსამპა (მიგელ ანხელი 86), რომერო, მანუ, სანდრო (არნაუ 42), დარიო სილვა, დელი ვალდესი
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
გაფრთხილება: ხოსემი, როტეტა, სანდრო, რომერო, ლოპო, როხერი
გაძევება: კონტრერასი (41), რომერო (89)
მსაჯი: მუნის ფერნანდესი
21 800 მაყურებელი

**ვალიადოლიდი 0:0 სევილია**

ვალიადოლიდი: ბიზარი, პენია, გასპარი, ტორეს გომესი, მუსტაფა, ოსკარ სანჩესი, კოლსა, ფერნანდო სალესი (კამინერო 78), ოსკარი, პაჩონი (აგანსო 46), ოლივერა (ჩემა 82)
მწვრთნელი: პეპე მორე
სევილია: ნოტარიო, ხავი ნავარო, დავიდ კასტედო, პაბლო ალფარო, გალიარდო (მარკოს ვალესი 65), ფრედი (ხუანმი 89), ხ. რედონდო, კასკერო, ტორადო, რეიესი, ანტონიტო (მახლასი 87)
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
გაფრთხილება: გასპარი, პენია, გალიარდო, ოსკარ სანჩესი, მუსტაფა, რეიესი, ოსკარი, მუსტაფა
გაძევება: მუსტაფა (78)
მსაჯი: ლოსანტოს ომარი
15 000 მაყურებელი

**ოსასუნა 0:0 მალიორკა**

ოსასუნა: სანსოლი, მატეო, კრუჩაგა, ხოსეჩო, რივერო (მორალესი 77), ანტონიო ლოპესი, ალფრედო, პუნიალი, მოა (კ. მანფრედინი 64), ივან როსადო (ბრიტი 64), ალოიზი
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
მალიორკა: ლეო ფრანკო, მიგელ სოლერი, კორტესი, პოლი, ლუსენმოფი, ნოვო, რიერა, მარკოსი, აროლდ ლოზანო, ეტოო (კარლოსი 84), პანდიანი
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
გაფრთხილება: პანდიანი, პოლი, რიერა, მატეო
მსაჯი: პუენტეს ლეირა
15 090 მაყურებელი

**ლიდერი** არ შეცვლილა, თუმცა სულ იოლად შეიძლებოდა, ცხრილს სათავეში კვლავ „რეალ სოსიედადი" მოქცეოდა. „რეალი", რომელსაც „ვილიარეალთან" აქამდე არასდროს წაუგო, ამჯერად მარცხის ზღვარზე იდგა და საბოლოოდ, ბოლო წუთზე გატანილი გოლით, მაინც მოახერხა სამი ქულის მოპოვება და კვლავ ლიდერად დარჩა.

ვისენტე დელ ბოსკემ ვილიარეალში ყველა უძლიერესი ფეხბურთელი წაიყვანა, მაგრამ ძალიან გაუჭირდა. მასპინძლებმა აშკარად დაჯაბნეს მეტოქე სახიფათო მომენტების რაოდენობით, მაგრამ ბედი არ სწყალობდათ. მარტინ პალერმომ, „რეალის" ძველმა ნაცნობმა „ბოკა ხუნიორსიდან", რამდენიმე დუელი წააგო იკერ კასილიასთან, ერთხელ სტუმრები ხარიხამაც იხსნა.

რონალდო და რაული კი, ეგებ ჩემპიონთა ლიგის გადამწყვეტი მატჩის მოლოდინში, საოცრად ინერტულები იყვნენ და მწვრთნელმა იერიშების გასამწვავებლად ბრაზილიელი გუტით შეცვალა. ამან შედეგი გამოიღო და გუტის პირველივე პასი ლუიშ ფიგუმ კინაღამ გოლად აქცია, თუმცა მთავარი, რაც მან გააკეთა, ის გახლდათ, რომ „რეალის" იერიშებმა გააზრებული ხასიათი მიიღო.

საბოლოოდ „ვილიარეალი" ბოლო წუთზე დაშვებულმა შეცდომამ დაღუპა. მასპინძელთა საჯარიმოში ქაოსი შეიქმნა და დროულად ჩამოსწრებულმა ივან ელგერამ მარჯვედ ამოსცხო.

„რეალის" ასეთნაირმა გამარჯვებამ, ცხადია, ხასიათი წაუხდინა „სოსიედადს", მაგრამ მაინც იყოჩაღა და სანტანდერიდან გამარჯვებული დაბრუნდა. ისე, „რეალისა" არ იყოს, ბასკებსაც გაუმართლათ, რაკი მასპინძელმა სალმონ ისმაელმა პენალტი გააფუჭა — ბურთი ხარიხას გადააცილა. იმ დროისთვის ანგარიში 1:1 იყო. ებრაელმა იოსი ბენოუნმა დაწყებიდან ხუთიოდ წუთში გახსნა ანგარიში, რაც სანსებასტიანელთა თურქმა ნიჰათმა ბრწყინვალე საჯარიმო დარტყმით გაქვითა. გამარჯვების გოლი კი რუსმა ვალერი კარპინმა შეაგდო, რომელსაც აქამდე 13-ჯერ უთამაშია „რასინგის" წინააღმდეგ და გოლი ვერ გაეტანა.

„რეალისა" და „სოსიედადის" იღბლიანობამ თავის მხრივ „დეპორტივოს" დაწყვიტა გული. ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნილმა ლაკორუნიელებმა იოლად დაამარცხეს სულთმობრძავი „რაიო ვალეკანო", „დეპორტივომ" ზედიზედ მეხუთე თამაში მოიგო, მაგრამ მესამე ადგილს მაინც ვერ ასცდა. ამ თამაშში ორი საინტერესო რამ მოხდა. ერთი, რომ ფეხბურთს დაუბრუნდა „დეპორის" მეკარე ხოსე მოლინა, ვინაც სიმსივნე დაამარცხა, მეორე კი ის, რომ სტუმართა კარში დანიშნული პენალტის დასარტყმელად დიეგო ტრისტანმა და როი მაკაიმ ერთდროულად გაიწიეს (საბოლოოდ მაკაიმ დაარტყა) და საქმეს ისეთი პირი უჩანს, თუ მწვრთნელი არ ჩაერია, ეგებ მოედანზეც იჩხუბონ. სხვათა შორის, „რაიომ" ამ შეხვედრის წინ პროფესიონალი ფსიქოლოგი დაიქირავა, მაგრამ თამაშმა აჩვენა, რომ მისი დარიგებანი ფეხბურთელებს ვერაფერს აძლევს — ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით.

„ვალენსია" ვინძლო საბოლოოდ დაემშვიდობა ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნებაზე ფიქრს. ფაბიო აურელიომ 38-ე წუთზე პენალტი გააცუდა და ერთ წუთსაც არ გაევლო, ბილბაოელმა ხოსება ეჩებერიამ საპირისპირო კარში გაიტანა. ეს გოლი ერთადერთი აღმოჩნდა ამ შეხვედრაში, რომელიც „ვალენსიამ" ცხრა კაცით ჩაამთავრა. სტუმრებს ჯერ მისტა გაუგდეს მეორე ყვითელი ბარათით, დასრულებამდე ათი წუთით ადრე კი კილი გონსალესი დაიმტვრა, ხოლო რაფაელ ბენიტესს სამივე შეცვლა გამოყენებული ჰქონდა.

„ალავესმა" წინა სამ შეხვედრაში 14 გოლი გაუშვა, „ბარსელონასთან" კი თავი დადო და კარი მშრალად შეინახა. კაცმა რომ თქვას, „ბარსას" არც შეუქმნია, ბლომად სახიფათო მომენტი, ერთი ეგ იყო, პატრიკ კლუივერტმა ძელს გაარტყა. მეტოქეებმა თამაში ათ-ათი ფეხბურთელით დაამთავრეს: სტუმრებს ტიაგო მოტა გაუგდეს იბან ბეგონიასთან უხეშობისთვის, წამატებულ დროში კი მასპინძელმა ოსკარ ტელიესმა ხელით ითამაშა, ოღონდ, კატალონიელთა სამწუხაროდ, საჯარიმოს გარეთ.

ამგვარად, „ბარსელონა" 13 ქულით ჩამორჩება საჩემპიონთალიგო ადგილს და გაისად მთავარ ევროშეჯიბრებაზე ალბათ ისევ წლევანდელი ლიგის მოგებით თუ მოხვდება.

**გიორგი დარჯანია**

### სეგუნდადივიზიონი XXVII ტური

**ლას პალმასი 1:4 ლეგანესი**

0:1 მიგელ ანხელი (17პ), 0:2 ფედე მარინი (29), 1:2 ორლანდო (42), 1:3 ვილა (45), 1:4 სიფორი (72)

**ტერასა 0:1 მურსია**

0:1 ისმაელი (51)

**ხეტაფე 1:1 ოვიედო**

1:0 ნანო (16), 1:1 ლოსადა (77)

**ეიბარი 1:1 ტენერიფე**

1:0 ხული სანჩესი (39), 1:1 მარიონი (82)

**ნუმანსია 0:0 კორდობა**

**ხერესი 2:1 პოლი ეხიდო**

0:1 კანიასი (45), 1:1 ზარატე (79), 2:1 კალე (85)

**სპორტინგი 0:1 ალბასეტე**

0:1 მიკელი (74)

**სარაგოსა 0:1 კომპოსტელა**

0:1 ხუანიტო (89)

**ალმერია 3:2 ფეროლი**

0:1 იკეჩუკვუ (6), 0:2 მენდესი (14), 1:2 ლუნა (16), 2:2 სეზარი (37), 3:2 ორტისი (39)

**ელჩე 2:1 სალამანკა**

1:0 არნალი (2), 2:0 ლუკე (43), 2:1 კიკე მარტინი (51)

**ბადახოსი 1:1 ლევანტე**

0:1 ამატო (26პ), 1:1 ნუზეტი (76)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მურსია | 27 | 14 | 7 | 6 | 38:15 | 49 |
| ალბასეტე | 27 | 12 | 13 | 2 | 36:19 | 49 |
| ლევანტე | 27 | 12 | 11 | 4 | 37:25 | 47 |
| სარაგოსა | 27 | 12 | 8 | 7 | 28:25 | 44 |
| ტენერიფე | 27 | 8 | 15 | 4 | 35:23 | 39 |
| ხერესი | 27 | 10 | 9 | 8 | 30:31 | 39 |
| ლას პალმასი | 27 | 9 | 11 | 7 | 37:32 | 38 |
| პოლი ეხიდო | 27 | 9 | 11 | 7 | 26:24 | 38 |
| სპორტინგი | 27 | 8 | 12 | 7 | 27:24 | 36 |
| ელჩე | 27 | 8 | 11 | 8 | 33:27 | 35 |
| ხეტაფე | 27 | 9 | 7 | 11 | 37:36 | 34 |
| ტერასა | 27 | 7 | 13 | 7 | 25:28 | 34 |
| სალამანკა | 27 | 7 | 11 | 9 | 18:19 | 32 |
| ნუმანსია | 27 | 7 | 11 | 9 | 27:32 | 32 |
| ლეგანესი | 27 | 6 | 13 | 8 | 32:33 | 31 |
| ალმერია | 27 | 7 | 10 | 10 | 31:43 | 31 |
| კორდობა | 27 | 6 | 12 | 9 | 22:21 | 30 |
| კომპოსტელა | 27 | 6 | 11 | 10 | 27:35 | 29 |
| ეიბარი | 27 | 5 | 13 | 9 | 20:27 | 28 |
| ბადახოსი | 27 | 7 | 7 | 13 | 18:37 | 28 |
| ოვიედო | 27 | 5 | 10 | 12 | 22:34 | 25 |
| ფეროლი | 27 | 5 | 10 | 12 | 24:40 | 25 |

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | რეალი | 26 | 15 | 9 | 2 | 59:26 | 33 | 54 | 12 | 9 | 3 | 0 | 36:12 | 24 | 30 | 14 | 6 | 6 | 2 | 23:14 | 9 | 24 |
| 2 | სოსიედადი | 26 | 15 | 8 | 3 | 45:32 | 13 | 53 | 12 | 8 | 4 | 0 | 24:13 | 11 | 28 | 14 | 7 | 4 | 3 | 21:19 | 2 | 25 |
| 3 | დეპორტივო | 26 | 15 | 6 | 5 | 43:27 | 16 | 51 | 13 | 8 | 3 | 2 | 25:11 | 14 | 27 | 13 | 7 | 3 | 3 | 18:16 | 2 | 24 |
| 4 | ვალენსია | 26 | 13 | 7 | 6 | 41:20 | 21 | 46 | 13 | 8 | 2 | 3 | 22:7 | 15 | 26 | 13 | 5 | 5 | 3 | 19:13 | 6 | 20 |
| 5 | სელტა | 26 | 12 | 5 | 9 | 31:23 | 8 | 41 | 13 | 6 | 4 | 3 | 18:10 | 8 | 22 | 13 | 6 | 1 | 6 | 13:13 | 0 | 19 |
| 6 | ატლეტიკო | 26 | 10 | 8 | 8 | 38:33 | 5 | 38 | 14 | 7 | 4 | 3 | 22:14 | 8 | 25 | 12 | 3 | 4 | 5 | 16:19 | -3 | 13 |
| 7 | ბეტისი | 26 | 10 | 7 | 9 | 36:37 | -1 | 37 | 14 | 7 | 3 | 4 | 19:13 | 6 | 24 | 12 | 3 | 4 | 5 | 17:24 | -7 | 13 |
| 8 | სევილია | 26 | 9 | 9 | 8 | 21:18 | 3 | 36 | 12 | 5 | 5 | 2 | 13:7 | 6 | 20 | 14 | 4 | 4 | 6 | 8:11 | -3 | 16 |
| 9 | ბარსელონა | 26 | 8 | 9 | 9 | 38:33 | 5 | 33 | 12 | 5 | 5 | 2 | 25:15 | 10 | 20 | 14 | 3 | 4 | 7 | 13:18 | -5 | 13 |
| 10 | ბილბაო | 26 | 9 | 6 | 11 | 38:44 | -6 | 33 | 14 | 7 | 2 | 5 | 21:16 | 5 | 23 | 12 | 2 | 4 | 6 | 17:28 | -11 | 10 |
| 11 | ვალიადოლიდი | 26 | 9 | 5 | 12 | 26:29 | -3 | 32 | 13 | 8 | 3 | 4 | 16:12 | 4 | 21 | 13 | 3 | 2 | 8 | 10:17 | -7 | 11 |
| 12 | მალიორკა | 26 | 9 | 5 | 12 | 28:41 | [illegible] | 32 | 12 | 4 | 3 | 5 | 13:22 | -9 | 15 | 14 | 5 | 2 | 7 | 15:19 | -4 | 17 |
| 13 | მალაგა | 26 | 7 | 10 | 9 | 34:33 | 1 | 31 | 13 | 6 | 5 | 2 | 23:13 | 10 | 23 | 13 | 1 | 5 | 7 | 11:20 | -9 | 8 |
| 14 | ვილიარეალი | 26 | 8 | 7 | 11 | 24:30 | -6 | 31 | 13 | 6 | 2 | 5 | 14:15 | -1 | 20 | 13 | 2 | 5 | 6 | 10:15 | -5 | 11 |
| 15 | რასინგი | 26 | 9 | 2 | 15 | 32:37 | -5 | 29 | 13 | 5 | 2 | 6 | 18:14 | 4 | 17 | 13 | 4 | 0 | 9 | 14:23 | -9 | 12 |
| 16 | ესპანიოლი | 26 | 8 | 5 | 13 | 28:35 | -7 | 29 | 14 | 7 | 2 | 5 | 22:17 | 5 | 23 | 12 | 1 | 3 | 8 | 6:18 | -12 | 6 |
| 17 | ოსასუნა | 26 | 7 | 8 | 11 | 26:33 | -7 | 29 | 14 | 6 | 3 | 5 | 15:13 | 2 | 21 | 12 | 1 | 5 | 6 | 11:20 | -9 | 8 |
| 18 | ალავესი | 26 | 7 | 8 | 11 | 29:47 | -18 | 29 | 13 | 5 | 5 | 3 | 15:13 | 2 | 20 | 13 | 2 | 3 | 8 | 14:34 | -20 | 9 |
| 19 | რაიო ვალეკანო | 26 | 7 | 4 | 15 | 24:40 | -16 | 25 | 13 | 4 | 3 | 6 | 15:19 | -4 | 15 | 13 | 3 | 1 | 9 | 9:21 | -12 | 10 |
| 20 | უელვა | 26 | 5 | 8 | 13 | 25:48 | -23 | 23 | 13 | 3 | 5 | 5 | 15:19 | -4 | 14 | 13 | 2 | 3 | 8 | 10:29 | -19 | 9 |

**XXVII ტური**
23 მარტი

| | | |
|---|---|---|
| რაიო ვალეკანო | — | ატლეტიკო |
| სელტა | — | ბილბაო |
| ვალენსია | — | ესპანიოლი |
| მალაგა | — | ბეტისი |
| უელვა | — | ოსასუნა |
| მალიორკა | — | ვალიადოლიდი |
| სევილია | — | ალავესი |
| ბარსელონა | — | რასინგი |
| სოსიედადი | — | ვილიარეალი |
| რეალი | — | დეპორტივო |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| მაკაი (დეპორტივო) | 20 |
| ნიჰათი (სოსიედადი) | 14 |
| რონალდო (რეალი) | 13 |
| კოვაჩევიჩი (სოსიედადი) | 13 |
| კლუივერტი (ბარსელონა) | 11 |
| რაული (რეალი) | 11 |
| პანდიანი (მალიორკა) | 11 |
| ფ. ტორესი (ატლეტიკო) | 11 |

## იტალია

### სერია A. XXV ტური

**რეჯინა 0:0 მილანი**

რეჯინა: ბელარდი, ჟირანეკი, ვარგასი, ი. ფრანჩესკინი, დიანა, ფალზინი, პარედესი, კოცა (მამედე 72), ნაკამურა (მოცარტი 68), ბონაცოლი, დი მიკელე (ლეისალი 80)
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
მილანი: დიდა, შიმიჩი, ნესტა, კოსტაკურტა, მალდინი, გატუზო (შევჩენკო 81), პირლო, ზეედორფი, რუი კოშტა, რივალდო (ტომასონი 63), ფ. ინძაგი
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: ფრანჩესკინი, მოცარტი, ნესტა
გაძევება: ბელარდი (79)
მსაჯი: ტრეფოლონი
26 000 მაყურებელი

**იუვენტუსი 3:0 მოდენა**

1:0, 2:0 ნედვედი (54, 81), 3:0 ტრეზეგე (84)
იუვენტუსი: ბუფონი, ბირინდელი, ფერარა, იულიანო, პესოტო (ტურამი 67), ძამბროტა, ტუდორი (ტაკინარდი 56), დავიდსი, ნედვედი, ზალაიეტა (კამორანეზი 59), ტრეზეგე
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
მოდენა: ბალოტა, უნგარი, ჩევოლი, მ. მაიერი, პონცო (კამპედელი 85), მარასკო, მილანეტო, ბალესტრი, ჯ. კოლუჩი (სკული 65), დ. კამარა (ფაბრინი 75), ვინიაროლი
მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი
გაფრთხილება: ფერარა
მსაჯი: მორგანტი
36 921 მაყურებელი

**ინტერი 4:0 კომო**

1:0 ბატისტუტა (13), 2:0 დი ბიაჯო (25), 3:0, 4:0 ვიერი (56, 76)
*ამორუზომ ვერ გაიტანა პენალტი (27, მეკარე)*
*ვიერიმ ვერ გაიტანა პენალტი (29, ააცილა)*
ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, გამარა, კორდობა, კოკო, ოკანი, დი ბიაჯო, კ. ძანეტი (გულიელმინპიეტრო 57), რეკობა (ნაპოლიტანო 68), ვიერი, ბატისტუტა (ს. კონსეისაუ 57)
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
კომო: ფერონი, ჟუარესი (ბენინი 62), პადალინო, სტელინი, ტომაში, კოე, პეკია (კარბონე 68), მ. როსი, მუსიჩი (ბინოტო 46), ნ. ამორუზო, კაჩა
მწვრთნელი: ეუჯენიო ფაშეტი
გაფრთხილება: კოე
მსაჯი: დე სანტისი
60 000 მაყურებელი

**ლაციო 4:1 ემპოლი**

0:1 ოდო (ნს.კ.), 1:1 ლოპესი (8), 2:1 კორადი (40), 3:1 სიმეონე (71), 4:1 კასტრომანი (85)
ლაციო: პერუცი, ოდო, სტამი, მიხაილოვიჩი, ფავალი, ფიორე (ს. ინძაგი 82), ლივერანი, ჯანიკედა, სეზარი (სიმეონე 68), კ. ლოპესი (კასტრომანი 80), კორადი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
ემპოლი: ბერტი, ბელერი, კრიბარი, ლუკინი (კაპელინი 31), კუპი, ჯამპიერეტი (ვანუკი 68), გრელა, ბუშე, პრატალი, ტავანო (როკი 67), ბორიელო
მწვრთნელი: სილვიო ბალდინი
გაფრთხილება: ტავანო, პრატალი, კორადი
მსაჯი: პაპარესტა
25 000 მაყურებელი

**კიევო 0:4 პარმა**

0:1 მუტუ (6), 0:2 ნაკატა (59), 0:3 ლამუში (66), 0:4 ჯილარდინო (90)
კიევო: ლუპატელი, მენსა, ლეგროტალიე, ფ. მორო, ს. ლანა, ლუსიანო, კორინი, პეროტა, დელა მორტე (ბირმოფი 62), ფ. კოსატო (ბეგეტო 15), ბიელანოვიჩი (დ. ფრანჩესკინი 58)
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
პარმა: ფრეი, კარდონე, ბონერა, ჟუნიორი, ფერარი, ნაკატა, ბარონე, ლამუში, ე. ფილიპინი (ბრეშიანო 37), მუტუ, ადრიანო (ჯილარდინო 90)
მწვრთნელი: კლაუდიო ჩეზარე პრანდელი
გაფრთხილება: ლეგროტალიე, მუტუ, ფილიპინი, მორო, ბარონე, მუტუ
გაძევება: ლანა (54), მუტუ (77)
მსაჯი: ბოლონინო
13 983 მაყურებელი

**ბოლონია 1:0 უდინეზე**

1:0 სინიორი (9)
ბოლონია: ჯ. პალიუკა, პარამატი (ძაკარდო 63), ფალკონე, მ. კასტელინი, ბელუჩი, ოლივე, ლ. კოლუჩი, კ. ამორუზო, ვანოლი, ხ. კრუზი, სინიორი (ფრარა 74)
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი

# სკუდეტოს ფანტაზია სჭირდება


REUTERS ფოტოქრონიკიდან

იუვენტუსი — მოდენა. პაველ ნედვედის ორმა გოლმა ისედაც უიმედო „მოდენა" წელში გატეხა

უდინეზე: დე სანტისი, ბერტოტო, სენსინი, კროლდრუპი, ჯემიტი (იორგენსენი 56), მუნტარი (იანკერი 69), დ. პიზარო, იანკულოვსკი, თ. მანფრედინი (ალმირონი 78), მუცი, იაკინტა
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
გაფრთხილება: მანფრედინი, პარამატი, ფალკონე, კრუზი, სენსინი
მსაჯი: როდომონტი
18 000 მაყურებელი

**პერუჯა 1:0 რომა**

1:0 მიკოლი (52)
პერუჯა: კალაჩი, სოლიანო, დი ლორეტო, მილანეზე, ზე მარია, ფუზანი, ობოდო, ბლაზი, გროსო, მიკოლი (ბერეტონი 83), ვრიზასი (კარაჩოლო 60)
მწვრთნელი: სერსე კოზმი
რომა: ანტონიოლი, კუფრე, ვ. სამუელი, პანუჩი, კანდელა, კაფუ, ემერსონი, დაკური (ა. კასანო 61), ფ. ლიმა, ტოტი, მონტელა (მარაცანა 83)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: მილანეზე, პანუჩი, სამუელი
მსაჯი: საკანი
12 000 მაყურებელი

**ბრეშა 1:0 ტორინო**

1:0 გვარდიოლა (59პ)
ბრეშა: სერენი, ჟ. მარტინესი, დაინელი, ბილიკა, შოპი, აპია, გვარდიოლა, მატუზალემი, სერიჩი (პიზანო 73), ტარე (ა. ფილიპინი 79), ტონი
მწვრთნელი: კარლო მაცონე
ტორინო: ბუჩი, დელი კარი, მეცანო, მანტოვანი, სომეზე (მარინელი 64), ვერგასოლა, დონატი (კონტიკიო 46), დე აშენტისი, პ. კასტელინი, კ. ლუკარელი (ფრანკო 81), ფერანტე
მწვრთნელი: რენატო ძაკარელი
გაფრთხილება: ვერგასოლა, ლუკარელი, შოპი, დელი კარი
მსაჯი: ბერტინი
16 000 მაყურებელი

**პიაჩენცა 2:0 ატალანტა**

1:0 უბნერი (41), 2:0 დე ჩეზარე (89)
პიაჩენცა: ორლანდონი, გურენკო, აბატე, მანგონე, ტოსტო, დი ფრანჩესკო (რიჩო 67), მარესკა, ბაიოკო, მარკიონი (ფერარეზე 85), ძერბინი (დე ჩეზარე 76), უბნერი
მწვრთნელი: ლუიჯი კანი
ატალანტა: ტაიბი, სიგილია (ტრამეცანი 61), ნატალი, სალა, ძაური, დ. ძენონი, ბერეტა, დაბო, დონი (ვუგრინეცი 78), პინარდი, როსინი
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
გაფრთხილება: ძენონი, დი ფრანჩესკო, ფერარეზე, მანგონე, როსინი
მსაჯი: ფარინა
7 000 მაყურებელი

„**ძალიან** მძიმე შედეგი მივიღეთ და, უნდა გითხრათ, რომ იგი თამაშის შინაარსს არ ასახავს. ჩვენ კარგად ვითამაშეთ, რამდენიმე საგოლე მომენტი შევქმენით. რაც შეეხება სალვატორე ლანას გაძევებას, ამაზე ნამდვილად ვერ დავიჩივლებ". — განაცხადა „კიევოს" თავკაცმა ლუიჯი დელ ნერიმ.

„შეხვედრის საკვანძო მომენტი სებასტიან ფრეის მიერ ბურთის ბრწყინვალედ მოგერიება და ლანას გაძევება გახლდათ. ჩვენს სასარგებლოდ მომხდარმა ამ ორმა ამბავმა სადავეები გადმოგვცა და ქულები მოგვაპოვებინა. „კიევო" თავიდან მოგვაწვა და მატჩიც მნიშვნელოვანწილად ძალიან ღია გამოვიდა" — ბრძანა „პარმას" ხელმძღვანელმა ჩეზარე პრანდელიმ.

ამრიგად, სერია A-ს პირველობის 25-ე ტურის მიმოხილვას ვერონაში გამართული შეხვედრით ვიწყებთ, რომელშიც მართალია, ლიდერები და სკუდეტოს ფავორიტები არ მონაწილეობდნენ, მაგრამ უთუოდ ტურის ცენტრალური შეხვედრა გახლდათ. მიზეზი: ორივე გუნდი მომავალ სეზონში ევროთასზე გასვლას ლამობს.

ანგარიში ადრიან მუტუმ გახსნა. ეს მეექვსე წუთზე რუმინელის საფირმო საჯარიმო დარტყმით მოხდა, რის შემდეგაც, მე-15 წუთზე, მასპინძელს ბედმა მეორედ აქცია ზურგი — ფედერიკო კოსატო, შესაცვლელი შეიქნა. ერთი ხანი რომ გავიდა, ნიკოლა ლეგროტალიემ კინაღამ თავით გაათანაბრა ანგარიში, მაგრამ იმ დღეს სამი ქულა პარმაში აპირებდა წასვლას და ამიტომ მწვავე მომენტებს სტუმრები მეტად ქმნიდნენ.

მეორე ტაიმი „კიევოს" მორიგი უიღბლობით დაიწყო: სებასტიან ფრეიმ ლუიჯი ბეგეტოს თავური მოიგერია და პარმელთა მიერ კონტრშეტევით წამოღებულ ბურთს სალვატორე ლანასა და ჰიდეტოში ნაკატას ინციდენტი მოჰყვა — ლანამ ნაკატას წინააღმდეგ იუხეშა, რის გამოც წითელი ბარათი მიიღო. 59-ე წუთზე ანგარიში სწორედ ნაკატამ გაზარდა, რასაც აქეთ-იქით მომენტები მოჰყვა და... 66-ე წუთზე საბრი ლამუშიმ. მახვილი კუთხიდან მესამე შეაგდო.

ვინაიდან შეხვედრა დაძაბული გამოდგა, მსაჯს მეორე ყვითელი ანუ წითელი ბარათის ჩვენება მუტუსთვისაც მოუხდა ბოლოს, წამატებულ წუთებში კი ალბერტო ჯილარდინომ ლამუშის ასისტენტობით, მეოთხე გოლი გაიტანა.

„დელე ალპიზე", „იუვენტუსის" და „მოდენას" დაპირისპირების პირველი ტაიმი დიდი აბდაუბდა რამ გამოდგა. „ბებერ ქალბატონს" ეტყობოდა, რომ მაინცდამაინც არ იკლავდა თავს. მარჩელო ლიპიმ დაასვენა მაურო კამორანეზი და ალესიო ტაკინარდი, ხოლო მარკო დი ვაიო და ალესანდრო დელ პიერო დაშავებულები იყვნენ.

მეორე ტაიმში, 52-ე წუთზე, „მოდენას" გოლი არ ჩაუთვალეს — ოფსაიდი იყოო, რაც ფრიად საეჭვოა. არადა, ისეთ გუნდს, როგორიც „მოდენაა", ისეთ გუნდთან, როგორიც „იუვენტუსია", გოლს რომ არ ჩაუთვლი... და „ბებერმა ქალბატონმა" ანგარიში გახსნა: პაველ ნედვედმა სტუმართა შეცდომით ისარგებლა, რათა მეკარე ჩამოეტოვებინა და ბურთი კარში შეეგდო. სხვათა შორის, ნედვედმა მეორეც კინაღამ ხელადვე შეაგდო — ძელს გაარტყა, თუმცა 81-ე წუთზე სხვა ხერხი გამოიყენა, ბურთი მოედნის შუაში იგდო, რამდენიმე მცველს დრიბლინგით გასცდა და გაუჩერებლად დაარტყა, ამჯერად ზუსტად, დაახლოებით 20 მეტრიდან. ეს გახლდათ ჩინებული გოლი — სამქულიანი, რასაც უკვე დაბნეული „მოდენას" კარში მესამეც მოჰყვა: ტრეზეგემ პოზიციით ისარგებლა, მაგრამ გვარიანად იწვალა ბურთი მარკო ბალოტას კარში რომ შეეგდო.

რეჯო კალაბრიაში „მილანმა" მორიგი ეჭვი გაგვიჩინა: არის კი ეს გუნდი ნამდვილი ფავორიტი? კახა კალაძეს არ უთამაშია, ტრავმირებული იყო, ხოლო პაოლო მალდინიმ სერია A-ში მე-500 შეხვედრა ჩაატარა. უნდა ითქვას, რომ „მილანი" უფანტაზიოდ თამაშობდა და 0:0-ზე უკეთესი ვერაფერი მოახერხა.

„ინტერმა" კი „კომოს" უმასპინძლა და 4:0 აჯობა. კრისტიან ვიერიმ ორი გოლი გაიტანა, მესამე ეპიზოდში კი პენალტი ააცილა. გვინდა გითხრათ, რომ ანგარიში კომოელთა წინააღმდეგობას კარგად ვერ ასახავს. ერთი სიტყვით, ყოჩაღ „კომომ" და კიდევ უფრო ყოჩაღ „ინტერ", მაგრამ ვაი, რომ ამ დღეს მილანელ თავდამსხმელთაგან (ვიერი, გაბრიელ ბატისტუტა ალვარო რეკობა), ოთხშაბათს, ჩემპიონთა ლიგაში, „ლევერკუზენთან" ვერც ერთი ვერ ითამაშებს. ვიერის გარდა გოლები ბატისტუტამ და ლუიჯი დი ბიაჯომ გაიტანეს.

„ლაციომ" „ემპოლის" 4:1 მოუგო. მართალია, ანგარიში სტუმრებმა გახსნეს, მაგრამ რობერტო მანჩინის ბიჭებმა წონასწორობა ორ წუთში აღადგინეს და მერე კიდევ სამი შეყარეს.

**ბაბუნა ძედია**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | იუვენტუსი | 25 | 17 | 6 | 2 | 48:16 | 32 | 57 | 12 | 8 | 3 | 1 | 25:7 | 18 | 27 | 13 | 9 | 3 | 1 | 23:9 | 14 | 30 |
| 2 | ინტერი | 25 | 17 | 3 | 5 | 51:27 | 24 | 54 | 12 | 10 | 1 | 1 | 27:5 | 22 | 31 | 13 | 7 | 2 | 4 | 24:22 | 2 | 23 |
| 3 | მილანი | 25 | 14 | 7 | 4 | 44:19 | 25 | 49 | 13 | 9 | 4 | 0 | 25:8 | 17 | 31 | 12 | 5 | 3 | 4 | 19:11 | 8 | 18 |
| 4 | ლაციო | 25 | 11 | 12 | 2 | 44:25 | 19 | 45 | 13 | 4 | 7 | 2 | 23:14 | 9 | 19 | 12 | 7 | 5 | 0 | 21:11 | 10 | 26 |
| 5 | კიევო | 25 | 12 | 5 | 8 | 34:27 | 7 | 41 | 13 | 8 | 2 | 3 | 23:17 | 6 | 26 | 12 | 4 | 3 | 5 | 11:10 | 1 | 15 |
| 6 | პარმა | 25 | 10 | 9 | 6 | 43:28 | 15 | 39 | 12 | 7 | 2 | 3 | 23:14 | 9 | 23 | 13 | 3 | 7 | 3 | 20:14 | 6 | 16 |
| 7 | უდინეზე | 25 | 10 | 6 | 9 | 25:26 | -1 | 36 | 12 | 7 | 4 | 1 | 13:7 | 6 | 25 | 13 | 3 | 2 | 8 | 12:19 | -7 | 11 |
| 8 | ბოლონია | 25 | 9 | 8 | 8 | 29:27 | 2 | 35 | 13 | 9 | 1 | 3 | 22:12 | 10 | 28 | 12 | 0 | 7 | 5 | 7:15 | -8 | 7 |
| 9 | პერუჯა | 25 | 9 | 7 | 9 | 31:32 | -1 | 34 | 13 | 8 | 2 | 3 | 20:9 | 11 | 26 | 12 | 1 | 5 | 6 | 11:23 | -12 | 8 |
| 10 | რომა | 25 | 8 | 8 | 9 | 37:34 | 3 | 32 | 12 | 5 | 5 | 2 | 23:14 | 9 | 20 | 13 | 3 | 3 | 7 | 14:20 | -6 | 12 |
| 11 | ბრეშა | 25 | 7 | 11 | 7 | 28:30 | -2 | 32 | 13 | 4 | 6 | 3 | 14:12 | 2 | 18 | 12 | 3 | 5 | 4 | 14:18 | -4 | 14 |
| 12 | ემპოლი | 25 | 7 | 6 | 12 | 30:39 | -9 | 27 | 12 | 3 | 5 | 4 | 16:17 | -1 | 14 | 13 | 4 | 1 | 8 | 14:22 | -8 | 13 |
| 13 | მოდენა | 25 | 7 | 6 | 12 | 18:35 | -17 | 27 | 12 | 4 | 4 | 4 | 9:12 | -3 | 16 | 13 | 3 | 2 | 8 | 9:23 | -14 | 11 |
| 14 | რეჯინა | 25 | 7 | 5 | 13 | 26:42 | -16 | 26 | 13 | 6 | 4 | 3 | 21:16 | 5 | 22 | 12 | 1 | 1 | 10 | 5:26 | -21 | 4 |
| 15 | ატალანტა | 25 | 5 | 10 | 10 | 26:37 | -11 | 25 | 12 | 3 | 5 | 4 | 13:16 | -3 | 14 | 13 | 2 | 5 | 6 | 13:21 | -8 | 11 |
| 16 | პიაჩენცა | 25 | 5 | 4 | 16 | 23:42 | -19 | 19 | 13 | 4 | 2 | 7 | 15:21 | -6 | 14 | 12 | 1 | 2 | 9 | 8:21 | -13 | 5 |
| 17 | კომო | 25 | 2 | 10 | 13 | 17:41 | -24 | 16 | 12 | 1 | 5 | 6 | 11:20 | -9 | 8 | 13 | 1 | 5 | 7 | 6:21 | -15 | 8 |
| 18 | ტორინო | 25 | 3 | 7 | 15 | 16:43 | -27 | 16 | 13 | 3 | 3 | 7 | 6:20 | -14 | 12 | 12 | 0 | 4 | 8 | 10:23 | -13 | 4 |

**XXVI ტური**
23 მარტი

| | | |
|---|---|---|
| კომო | - | ბოლონია |
| ემპოლი | - | ბრეშა |
| ატალანტა | - | კიევო |
| უდინეზე | - | ინტერი |
| მილანი | - | იუვენტუსი |
| პარმა | - | ლაციო |
| ტორინო | - | პერუჯა |
| რომა | - | პიაჩენცა |
| მოდენა | - | რეჯინა |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ვიერი (ინტერი) | 23 |
| ფ. ინძაგი (მილანი) | 13 |
| მუტუ (პარმა) | 13 |
| დელ პიერო (იუვენტუსი) | 12 |
| ტოტი (რომა) | 12 |
| კ. ლოპესი (ლაციო) | 12 |
| ადრიანო (პარმა) | 11 |

## სერია B

### XXVI ტური

**ასკოლი 1:1 კალიარი**
0:1 კაპონე (64), 1:1 ბრიენძა (71)
**კატანია 0:0 სამპდორია**
**კოზენცა 1:0 ტრიესტინა**
1:0 ოშადოგანი (31)
**ჯენოა 0:0 ვენეცია**
**ლეჩე 1:0 ბარი**
1:0 კამორანი (49)
**ნაპოლი 0:0 ვერონა**
**პალერმო 1:1 სალერნიტანა**
1:0 მანიერო (13), 1:1 სტენდარდო (52)
**ტერნანა 1:1 ლივორნო**
0:1 პროტი (82პ), 1:1 ბორგობელო (88)
**ვიჩენცა 2:1 მესინა**
0:1 ამაური (28), 1:1 მარკოლინი (78), 2:1 მარჯოტა (90)
**სიენა — ანკონა**
*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამპდორია | 26 | 12 | 10 | 4 | 37:20 | 46 |
| ანკონა | 25 | 12 | 8 | 5 | 37:27 | 44 |
| სიენა | 25 | 11 | 11 | 3 | 30:20 | 44 |
| ვიჩენცა | 26 | 11 | 10 | 5 | 39:31 | 43 |
| ტრიესტინა | 26 | 11 | 7 | 8 | 35:27 | 40 |
| ლეჩე | 26 | 9 | 13 | 4 | 30:24 | 40 |
| ლივორნო | 26 | 10 | 8 | 8 | 30:22 | 38 |
| ტერნანა | 26 | 10 | 8 | 8 | 30:26 | 38 |
| პალერმო | 26 | 9 | 8 | 9 | 26:28 | 35 |
| ვენეცია | 26 | 9 | 8 | 9 | 27:31 | 35 |
| მესინა | 26 | 8 | 10 | 8 | 37:34 | 34 |
| კალიარი | 26 | 9 | 7 | 10 | 27:33 | 34 |
| ვერონა | 26 | 7 | 10 | 9 | 28:27 | 31 |
| ასკოლი | 26 | 8 | 7 | 11 | 31:35 | 31 |
| ჯენოა | 26 | 7 | 9 | 10 | 32:32 | 30 |
| კატანია | 26 | 8 | 5 | 13 | 28:39 | 29 |
| ბარი | 26 | 5 | 12 | 9 | 22:26 | 27 |
| ნაპოლი | 26 | 5 | 11 | 10 | 26:35 | 26 |
| კოზენცა | 26 | 7 | 5 | 14 | 21:32 | 26 |
| სალერნიტანა | 26 | 4 | 7 | 15 | 19:43 | 19 |

## სერია C1/A

27-ე ტური: ალბინოლეფე — პისტოიეზე 1:1; ალძანო — არეცო 1:1; კარარეზე — პრო პატრია 0:1; ლუკეზე — ჩიტადელა 3:1; პადოვა — ტრევიზო 1:0; პრატო — ჩეზენა 2:1; რეჯანა — სპეცია 1:0; სპალ — ლუმეცანე 3:0; ვარეზე — პიზა 1:1

## სერია C1/B

27-ე ტური: კიეტი — ვიტერბეზე 0:3; კროტონე — ბენევენტო 2:0; ჯულიანოვა — ტერამო 0:1; ლანჩანო — პესკარა 1:0; მარტინა — აველინო 1:1; ტორესი — ფერმანა 0:0; სორა — პატერნო 2:1; პეზარო — სამბენედეტეზე 1:1. აკილა — ტარანტო გადაიდო




REUTERS

სელტიკი — რეინჯერსი. „ზებერი“ კანიჯა (შუაში) ლომივით იბრძოდა

# ეს ოლდ ფირმია: ზეცა და არარაობა

## შოტლანდია

### ლიგის თასის ფინალი

**სელტიკი 1:2 რეინჯერსი**

0:1 კანიჯა (23), 0:2 ლოვენკრანდსი (35), 1:2 ლარსონი (57)

*ჰართსონმა ვერ გაიტანა პენალტი (85, ააცილა)*

სელტიკი: დუგლასი, მიალბი (ს. პეტროვი 88), ბალდე, ვალგაერენი, ჯ. სმიტი (სილა 66), ლენონი, ლამბერტი, ა. ტომპსონი, სატონი (მელოუნი 80), ლარსონი, ჰართსონი

მწვრთნელი: მარტინ ონილი

რეინჯერსი: შ. კლოსი, რიკსენი, ლ. ამორუზო, კ. მური, ბონისელი (მორის როსი 64), არტეტა (კონტერმანი 78), ბ. ფერგიუსონი, რ. დე ბური (შ. არველაძე 86), კანიჯა, მოლსი, ლოვენკრანდსი

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

გაფრთხილება: ტომპსონი, ამორუზო, ლენონი, ლენონი

გაძევება: ლენონი (88)

მსაჯი: კლარკი

52 000 მაყურებელი

**მგზნებარე** „ოლდ ფირმია“ გამოვიდა — ნამდვილი დრამა და ფეხბურთის მშვენება — ყოველივე ქარია და ჩვენება „რეინჯერს“ — „სელტიკის“ დაპირისპირების მიღმა.

ძნელიცაა, ასეთ თამაშებზე გაილექსო, მაგრამ დახეთ, რა მოხდენილი ფეხბურთელია მიხაელ მოლსი, რა მაგარი მუხლი აქვს მხცოვან კანიჯას, რა უზადო მეგოლეა ჰენრიკ ლარსონი...

პირველ ტაიმში „რეინჯერსმა“ ცალსახად აჯობა მეტოქეს. კანიჯამ რონალდ დე ბურისა და პიტერ ლოვენკრანდსის კომბინაცია დაასრულა — „სელტიკის“ კარს ერთი მცველიღა იცავდა და არგენტინელსაც არ გასჭირვებია გატანა.

მერე მოლსმა უბოძა ბრწყინვალე პასი ფეხმალ ლოვენკრანდსს — დანიელი გარემარბი რობ დუგლასის პირისპირ აღმოჩნდა და ცაციათი შეაგდო.

„სელტიკი“ შესვენების შემდეგ გამძაფრდა. მარტინ ონილის გუნდმა შტურმისმაგვარიც კი მოუწყო მეტოქეს. კელტები ჯანით, მაღალი ჩაწოდებებით ცდილობდნენ „ჩაფრების“ დათრგუნვას.

ლარსონმა ნაკუთხურალ ბურთს ოსტატურად შეუშვირა თავი, საზეში მზემოჭყიტინე შტეფან კლოსი ასეთი გაელვებისთვის მზად არ აღმოჩნდა და 1:2.

„რეინჯერსმა“ თამაში გაათანაბრა, რამდენიმე მწვავე კონტრშეტევა გააზერხა, მერე ლარსონმა ზუსტად ისე სცადა მეორე გოლის გატანა, როგორც პირველ ჯერზე, მაგრამ კეპით შეიარაღებული კლოსი აღარ გაბითურდა.

ზორბა ჯონ ჰართსონმა ნაღდი გოლი შეაგდო, მაგრამ თანამსაჯმა შეცდომით აღმართა ალამი ოფსაიდურად.

მერე შოთა არველაძე შევიდა შეცვლაზე, კარგად, აქტიურად ჩაერთო თამაშში, ნეილ ლენონს მეორე „ყვითელი“ აჰკიდა და „სელტიკიც“ კაცნაკლული დარჩა.

შემდეგ ლორენცო ამორუზომ და ბობო ბალდემ გაიბრძოლეს ბურთისთვის, კელტთა ფრანგი მცველი დაეცა და საეჭვო პენალტი — ჰართსონმა კლოსი იქით გადააზტუნა, ბურთი აქეთ წავიდა, მაგრამ ძელს გარედან ჩაუზუზუნა.

ლიგის თასი „რეინჯერსმა“ ასწია — ალექს მაკლიშმა მეორედ მოაგებინა ეს ტიტული „ჩაფრებს“.

„ასეთი მეორე ტაიმის შემდეგ რომ მოვიგეთ, კიდევ უფრო ნასიამოვნები ვართ. პირველი ნახევარი კი ისე ვითამაშეთ, როგორც მე ჩემი გუნდისგან ველოდი. ჩემს ფეხბუთელებს ასე თამაში ხელეწიფებათ — დამსახურებულად დავწინაურდით.

დიდებულია, ყველაფერს უკან რომ იბრუნებ. ერთი კვირის წინ „სელტიკთან“ რომ წავაგეთ, ხალხმა ჩამოგვწერა. „რეინჯერსის“ და „სელტიკის“ ჯახის დროს სულ ასეა — თუ მოიგებ, ფანტასტიკური ხარ, თუ წააგებ არარაობა“ — უთქვამს ნამატჩევს მაკლიშს.

თავის ფეხბურთელებზე აუგი არ დასცდენია ონილსაც:

„ჩემი ზეციურები — მათ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბეს. ხუთშაბათს მათ დიდი მატჩი ჰქონდათ „ლივერპულთან“, მაგრამ კიდევ შეძლეს დიდი იმპტით, მიზანმიმართულად თამაში და არა მხოლოდ ვალის მოხდის მიზნით“.

**დავით თავართქილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 30 | 25 | 3 | 2 | 78:22 | 78 |
| სელტიკი | 29 | 24 | 3 | 2 | 73:19 | 75 |
| ჰართსი | 30 | 14 | 8 | 8 | 50:44 | 50 |
| კილმარნოკი | 31 | 13 | 8 | 10 | 37:42 | 47 |
| დანფერმლაინი | 31 | 12 | 5 | 14 | 45:55 | 41 |
| დანდი | 31 | 9 | 11 | 11 | 41:46 | 38 |
| ჰიბერნიანი | 31 | 11 | 5 | 15 | 42:50 | 38 |
| ლივინგსტონი | 31 | 8 | 7 | 16 | 38:46 | 31 |
| აბერდინი | 31 | 7 | 10 | 14 | 29:47 | 31 |
| პარტიკ თისლი | 31 | 6 | 10 | 15 | 28:47 | 28 |
| დანდი იუნ. | 31 | 5 | 10 | 16 | 27:55 | 25 |
| მოზერუელი | 29 | 6 | 6 | 17 | 34:49 | 24 |

### პრემიერლიგა. XXXI ტური

**აბერდინი 3:3 დანდი**

0:1 ლოველი (16პ), 0:2 კაბალიერო (24), 1:2, 2:2 შირინი (57, 64), 3:2 მაკგირი (80), 3:3 უილკი (81)

დანდი: სპერონი, მაკეი, უილკი, ხიზანიშვილი, მაირი, სმიტი, რაე, ბრედი, კაბალიერო (რობი 87), ლოველი (ნოვო 73), მილნი

*გიორგი ნემსაძე ტრავმირებულია*

მწვრთნელი: ჯიმ დაფი

12 119 მაყურებელი

**კილმარნოკი 1:1 დანფერმლაინი**

0:1 შილდსი (59ს.კ.), 1:1 კ. ბოიდი (81)

**დანდი იუნ. 0:1 ლივინგსტონი**

0:1 ენდრიუსი (87)

**პარტიკი 0:1 ჰიბერნიანი**

0:1 მაკმანუსი (15)

### I დივიზიონი

30-ე ტური: არბროთი — ინვერნესი 1:3; ეარი — ალოა 0:1; კლაიდი — ფოლკირკი 0:0; ქუინი — სენტ მირენი 0:2; როსი — სენტ ჯონსტონი 2:3

### II დივიზიონი

29-ე ტური: ბრეჩინი — სტრანრარი 3:1; კოუდენბითი — ერდრი 1:2; დამბარტონი — ბერვიკი 2:2; სტენჰაუზმური — რეითი 1:3. ჰამილტონი — ფორფარი გადაიდო

### III დივიზიონი

29-ე ტური: ისტ ფაიფი — ალბიონი 1:1; ელგინი — მონტროუზი 0:2; მორტონი — ისტ სტირლინგი 2:1; გრეტნა — ქუინზ პარკი 0:1; სტირლინგი — პიტერჰედი 2:1

## შვეიცარია

### A ჯგუფი. III ტური

**თუნი 1:4 ბაზელი**

0:1 ჰ. იაკინი (22), 0:2 ტუმი (26), 1:2 პ. ბაუმანი (35), 1:3 როსი (36), 1:4 ჰ. იაკინი (57)

**ქსამაქსი 3:0 ვილი**

1:0, 2:0 ა. რეი (46, 58), 3:0 ფ. ლეანდრო (74)

**სერვეტი 1:1 იანგ ბოისი**

1:0 ლ. ტურე (10), 1:1 სერმეტერი (36)

**გრასჰოპერი 2:0 ციურიხი**

1:0, 2:0 პეტრიჩი (12, 32)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრასჰოპერი | 3 | 3 | 0 | 0 | 9:1 | 34 |
| ბაზელი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:4 | 30 |
| ქსამაქსი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 23 |
| იანგ ბოისი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:5 | 19 |
| ციურიხი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 17 |
| თუნი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | 17 |
| ვილი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | 17 |
| სერვეტი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 16 |

### A/B ჯგუფი. III ტური

**დელემონი 3:3 ლუცერნი**

1:0 ოიონგი (3), 1:1 მუფი (5), 1:2 ჯამპიეტრი (9), 2:2 ბიანკავილა (31), 3:2 ოიონგი (49), 3:3 ბრანდი (85)

ლუცერნი: ჰილფიკერი, ბიაჯი, მ. მაიერი (ბრანდი 65), ჩენჩი, მალაკარნე, ჟოლერი, როტა, ანდრეოლი, მუფი (შნიდერი 77), მაველაშვილი (ნალდო 46), ჯამპიეტრი

აარაუ — ვადუცი 5:1; კრიენსი — სიონი 3:1; სენტ გალენი — ლუგანო 1:0

### B ჯგუფი. III ტური

**ივერდონი 1:1 ვოლენი**

0:1 კოლაჩინო (41), 1:1 გილი (57)

ვოლენი: ვალენტე, ვიჩეკონტე, დი ჯორიო, ლუშერი, ფ. სესა, შულცი (დუპერე 56), ფიორენცა, ხომერიკი (შმიდი 73), კ. ანდერსონი, კოლაჩინო, მარკოვიჩი

ბელინცონა — შაფჰაუზენი 4:1; ვინტერთური — ბადენი 1:4; კონკორდია — ლოზანა 6:1

## ავსტრია

### მაქსბუნდესლიგა XXV ტური

**შტურმი 2:1 ადმირა ვაკერი**

0:1 კატცერი (52), 1:1 ჰაასი (61), 2:1 საბიჩი (83)

შტურმი: გრაცეი, ნოიკირხნერი, პეტროვიჩი, ანგანი, მასუდი, საბიჩი, ზაუმელი, ჩ. ამოა, როხასი (მ. ჰაასი 58), მაელიხი (დაგი 58), ვეტლი (დ. მუჯირი 46)

მწვრთნელი: ფრანკო ფოდა

აუსტრია — პაშინგი 0:1; კერნტენი — რაპიდი 1:0; რიდი — ბრეგენცი 1:3; ზალცბურგი — გრაცერი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აუსტრია | 25 | 16 | 5 | 4 | 48:17 | 53 |
| პაშინგი | 25 | 12 | 7 | 6 | 34:22 | 43 |
| შტურმი | 25 | 12 | 3 | 10 | 36:41 | 39 |
| გრაცერი | 25 | 9 | 9 | 7 | 36:28 | 36 |
| რაპიდი | 24 | 8 | 8 | 8 | 31:27 | 32 |
| რიდი | 25 | 8 | 7 | 10 | 31:32 | 31 |
| ზალცბურგი | 25 | 7 | 8 | 10 | 28:39 | 29 |
| კერნტენი | 25 | 7 | 6 | 12 | 28:37 | 27 |
| ბრეგენცი | 25 | 5 | 9 | 11 | 33:43 | 24 |
| ადმირა | 24 | 5 | 8 | 11 | 21:40 | 23 |

## თურქეთი

### სუპერლიგა XXIV ტური

**ქოჯაელი 1:1 დიარბაქირი**

0:1 მურატი (5), 1:1 ემრაჰი (10)

ქოჯაელი: აჰმეთი, ძემოკლიძე, ენგინი, ორჰანი, ლაზაროვი (ალთანი 71), არსლანერი, სინანი, დიდავა, ჰუსეინი, ზ. ჟანაშია (უგიური 39; ომერი 69), ემრაჰი

*გია იმედაძე სათადარიგო იყო*

მწვრთნელი: გიუვენჩ ქურთარი

გაძევება: ძემოკლიძე (33)

გენჩლერი — გაზიანთეფი 2:1; ელაზიგი — ფენერბაჩე 3:3; ისთანბული — გალათასარაი 1:2; სამსუნი — ტრაბზონი 1:3; ადანა — დენიზლი 2:1; ალთაი — მალათია 0:2; ბურსა — გიოზთეფე 1:0; ბეშიქთაში — ანკარაგიუჯიუ 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეშიქთაში | 23 | 17 | 6 | 0 | 45:14 | 57 |
| გალათასარაი | 23 | 17 | 3 | 3 | 39:19 | 54 |
| გენჩლერი | 24 | 16 | 5 | 3 | 58:24 | 53 |
| ფენერბაჩე | 23 | 12 | 7 | 4 | 46:26 | 43 |
| ტრაბზონი | 24 | 11 | 8 | 5 | 35:21 | 41 |
| გაზიანთეფი | 23 | 9 | 8 | 6 | 36:27 | 35 |
| 22.00 | 426 | ბლაუ ვაისი-კერნტენი | 6,0 | 3,8 | 1,5 | 2,32 | 1,2 | 1,07 |
| 22.00 | 427 | უნტერზიბენბრუნი-რიდი | 2,8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |
| 22.00 | 428 | შტურმი-რინერი | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| 22.30 | 429 | პარტბერგი-მატერსბურგი | 4,4 | 3,5 | 1,7 | 1,94 | 1,22 | 1,14 |
| | | **19 მარტი** | | | | | | |
| 18.15 | 430 | ბლაიბერგი-აუსტრია | 6,5 | 4,0 | 1,45 | 2,47 | 1,18 | 1,06 |
| 22.00 | 431 | არნფელსი-გრაცერი | 8,0 | 4,8 | 1,3 | 3 | 1,11 | 1,02 |
| | | **რუსეთი. თასი. ¼ ფინალი.** | | | | | | |
| | | **19 მარტი** | | | | | | |
| 19.00 | 432 | ანჟი-კრილია | 3,4 | 3,1 | 2,1 | 1,62 | 1,29 | 1,25 |
| 19.00 | 433 | ხიმკი-როსტსელმაში | 3,4 | 3,1 | 2,1 | 1,62 | 1,29 | 1,25 |
| 19.00 | 434 | ლადა-სატურნი | 5,0 | 3,4 | 1,65 | 2,02 | 1,24 | 1,11 |
| 19.00 | 435 | სოკოლი-სპარტაკი | 5,0 | 3,4 | 1,65 | 2,02 | 1,24 | 1,11 |


ამ ფეხებში ფეხი ჩაგივათ. ჰიუიტის




| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ლიბერტადორესის თასი.** | | | | | | |
| | | **18 მარტი** | | | | | | |
| 00.05 | 448 | პაისანდუ-სპორტინგ კრისტალი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 01.05 | 449 | უნ.კატოლიკა-სერო პორტენიო | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 04.10 | 450 | პენიაროლი-ბოლივარი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 06.30 | 451 | ემელეკი-ლიბერტადი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| | | **19 მარტი** | | | | | | |
| 24.00 | 452 | ელ ნასიონალი-12 დე ოქტუბრე | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,25 | 1,81 |
| 02.05 | 453 | ნასიონალი-უნივერსიტარიო | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 03.40 | 454 | სანტოსი-ამერიკა დე კალი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| 04.10 | 455 | ხიმნასია-კობრელოა | 1,65 | 3,3 | 5,3 | 1,1 | 1,25 | 2,03 |
| | | **20 მარტი** | | | | | | |
| 24.00 | 456 | ფენიქსი-სტრონგესტი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 02.05 | 457 | ოლიმპია-ალიანსა | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| 04.10 | 458 | რივერ პლეიტი-დეპ. კალი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 06.35 | 459 | უნამ-გრემიო | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| | | **ჰოკეი. რუსეთი** | | | | | | |
| | | **18 მარტი** | | | | | | |
| 16.30 | 601 | ავანგარდი-დინამო | 1,3 | 5,6 | 5,3 | 1,05 | 1,04 | 2,72 |
| 19.30 | 602 | აკ ბარსი-ლადა | 1,6 | 5,0 | 3,3 | 1,21 | 1,07 | 1,98 |
| 19.30 | 603 | ლოკომოტივი-ს.იულაევი | 1,15 | 8,0 | 7,0 | 1 | 1 | 3,73 |
| 19.30 | 604 | სევერსტალი-მაგნიტოგორსკი | 1,7 | 4,8 | 3,0 | 1,25 | 1,08 | 1,84 |
| | | **ჰოკეი. ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **20 მარტი** | | | | | | |
| 20.00 | 621 | პარდუბიცე-ტრჟინეცი | 1,65 | 4,4 | 3,4 | 1,2 | 1,11 | 1,91 |
| | | **21 მარტი** | | | | | | |
| 20.00 | 622 | პარდუბიცე-ტრჟინეცი | 1,65 | 4,4 | 3,4 | 1,2 | 1,11 | 1,91 |
| | | **22 მარტი** | | | | | | |
| 20.00 | 623 | სლავია-სპარტა | 2,1 | 4,2 | 2,4 | 1,39 | 1,12 | 1,52 |
| | | **23 მარტი** | | | | | | |
| 20.00 | 624 | სლავია-სპარტა | 2,1 | 4,2 | 2,4 | 1,39 | 1,12 | 1,52 |
| | | **ჰოკეი. გერმანია** | | | | | | |
| | | **18 მარტი** | | | | | | |
| 22.30 | 626 | ჰამბურგი-აისბარენი | 2,3 | 4,2 | 2,2 | 1,48 | 1,12 | 1,44 |
| 22.30 | 627 | კასელი-კიოლნი | 2,3 | 4,2 | 2,2 | 1,48 | 1,12 | 1,44 |
| 22.30 | 628 | კრეფელდი-დიუსელდორფი | 2,1 | 4,2 | 2,4 | 1,39 | 1,12 | 1,52 |
| 22.30 | 629 | ნიურნბერგი-მანჰაიმი | 2,05 | 4,2 | 2,45 | 1,37 | 1,11 | 1,54 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი** | | | | | | |
| | | **18 მარტი** | | | | | | |
| 22.00 | 649 | ფროლუნდა-ტიმრე | 1,4 | 4,8 | 4,8 | 1,08 | 1,08 | 2,4 |
| 22.00 | 650 | ფერიესტადი-იურგორდენი | 1,5 | 4,6 | 4,2 | 1,13 | 1,1 | 2,19 |
| | | **ჰოკეი. ფინეთი** | | | | | | |
| | | **18 მარტი** | | | | | | |
| 20.30 | 657 | ტურკუ-ჰამეენლინა | 2,7 | 4,4 | 1,85 | 1,67 | 1,09 | 1,3 |
| 20.30 | 658 | ჰელსინკი-იოკერიტი | 2,8 | 4,2 | 1,85 | 1,67 | 1,11 | 1,28 |
| 20.30 | 659 | იუვესკიულე-კერპეტი | 2,3 | 4,2 | 2,2 | 1,48 | 1,12 | 1,44 |
| | | **ჰოკეი. NHL** | | | | | | |
| | | **18 მარტი** | | | | | | |
| 04.00 | 672 | ბუფალო-ფილადელფია | 2,9 | 3,4 | 2,05 | 1,56 | 1,2 | 1,27 |
| 04.00 | 673 | კაროლინა-ოტავა | 2,9 | 3,3 | 2,1 | 1,54 | 1,21 | 1,28 |
| 04.30 | 674 | ტორონტო-აილენდერსი | 2,0 | 3,4 | 3,0 | 1,25 | 1,2 | 1,59 |
| 04.30 | 675 | მონრეალი-ნიუ ჯერსი | 2,4 | 3,4 | 2,35 | 1,4 | 1,18 | 1,38 |
| 04.30 | 676 | პიტსბურგი-დეტროიტი | 3,3 | 3,3 | 1,9 | 1,65 | 1,2 | 1,2 |
| 05.00 | 677 | სტ.ლუისი-ვანკუვერი | 2,25 | 3,4 | 2,5 | 1,35 | 1,18 | 1,44 |
| 06.00 | 678 | ფინიქსი-ბოსტონი | 2,25 | 3,4 | 2,5 | 1,35 | 1,18 | 1,44 |
| 07.30 | 679 | ლოს ანჯელესი-კალგარი | 2,0 | 3,4 | 3,0 | 1,25 | 1,2 | 1,59 |
| | | **კალათბურთი. ევროლიგა** | | | | | | |
| | | **19 მარტი** | | | | | | |
| 21.30 | 750 | ეფესი-ცსკა | 1,7 | 12,0 | 1,9 | 1,48 | 1 | 1,64 |
| 21.30 | 751 | პანათინაიკოსი-ულკერი | 1,15 | 12,0 | 4,0 | 1,04 | 1 | 3 |
| 23.30 | 752 | კიპერი-სიენა | 1,55 | 12,0 | 2,1 | 1,37 | 1 | 1,78 |
| 23.30 | 753 | ტაუ-კინდერი | 1,35 | 12,0 | 2,6 | 1,21 | 1 | 2.13 |
| 23.30 | 754 | ვილერბანი-ოლიმპია | 1,9 | 12,0 | 1,7 | 1.64 | 1 | 1,48 |
| | | **20 მარტი** | | | | | | |
| 23.30 | 755 | ბარსელონა-ოლიმპიაკოსი | 1,3 | 12,0 | 2,8 | 1,17 | 1 | 2,27 |
| 23.30 | 756 | ბენეტონი-მაკაბი | 1,3 | 12,0 | 2,8 | 1,17 | 1 | 2,27 |
| 23.30 | 757 | ციბონა-უნიკახა | 1,65 | 12,0 | 1,95 | 1,45 | 1 | 1,67 |
| | | **კალათბურთი. ულების თასი** | | | | | | |
| | | **18 მარტი** | | | | | | |
| 22.30 | 758 | ვალენსია-ესტუდიანტესი | 1,35 | 12,0 | 2,6 | 1,21 | 1 | 2.13 |
| 23.45 | 759 | ხუვენტუდი-კრკა | 1,4 | 12,0 | 2,4 | 1,25 | 1 | 2 |
| | | **კალათბურთი. NBA** | | | | | | |
| | | **18 მარტი** | | | | | | |
| 04.00 | 760 | ბოსტონი-ნიუ ჯერსი | 1,6 | 12,0 | 2,0 | 1,41 | 1 | 1,71 |
| 04.00 | 761 | ვაშინგტონი-დეტროიტი | 1,8 | 12,0 | 1,8 | 1,56 | 1 | 1,56 |
| 04.30 | 762 | მაიამი-ფილადელფია | 2,6 | 12,0 | 1,35 | 2,13 | 1 | 1,21 |
| 05.00 | 763 | მინესოტა-მემფისი | 1,2 | 12,0 | 3,5 | 1,09 | 1 | 2,7 |
| 05.30 | 764 | ჩიკაგო-ატლანტა | 1,6 | 12,0 | 2,0 | 1,41 | 1 | 1,71 |
| 05.30 | 765 | სან ანტონიო-ნიუ იორკი | 1,15 | 12,0 | 4,0 | 1,04 | 1 | 3 |
| 05.30 | 766 | დალასი-კლივლენდი | 1,05 | 12,0 | 6,0 | 1 | 1 | 4 |
| 06.00 | 767 | იუტა-დენვერი | 1,1 | 12,0 | 5,0 | 1 | 1 | 3,52 |
| 07.00 | 768 | სიეტლი-ჰიუსტონი | 1,7 | 12,0 | 1,9 | 1,48 | 1 | 1,64 |
| 07.00 | 769 | საკრამენტო-გოლდენ სტეიტი | 1,15 | 12,0 | 4,0 | 1,04 | 1 | 3 |
| | | **რაგბი. ექვსი ერის თასი** | | | | | | |
| | | **22 მარტი** | | | | | | |
| 18.00 | 815 | ინგლისი-შოტლანდია | 1,01 | 30,0 | 20,0 | 1 | 1 | 12 |
| 18.00 | 816 | უელსი-ირლანდია | 3,8 | 14,0 | 1,25 | 2,98 | 1 | 1,14 |
| | | **23 მარტი** | | | | | | |
| 18.00 | 817 | იტალია-საფრანგეთი | 8,0 | 20,0 | 1,04 | 5,71 | 1 | 1 |

## ოსკარი-2003

22 მარტი (23.45)

### 4001 საუკეთესო ფილმი

| | |
|---|---|
| ჩიკაგო | 1,15 |
| საათები | 4,0 |
| ნიუ იორკის ბანდები | 6,0 |
| პიანისტი | 12,0 |
| ბეჭდების მბრძანებელი-2 | 15,0 |

### 4002 საუკეთესო მსახიობი მამაკაცი

| | |
|---|---|
| დენიელ დეი ლუისი | 1,25 |
| ჯეკ ნიკოლსონი | 2,2 |
| ედრიენ ბროდი | 7,0 |
| მაიკლ კეინი | 25,0 |
| ნიკოლას კეიჯი | 25,0 |

### 4003 საუკეთესო მსახიობი ქალი

| | |
|---|---|
| ნიკოლ კიდმანი | 1,35 |
| რენე ზელვეგერი | 2,0 |
| ჯულიან მური | 3,8 |
| დაიან ლეინი | 20,0 |
| სალმა ჰაიეკი | 25,0 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **18 მარტი** | | | | | | | | | |
| 21.30 | 2101 | ლოკომოტივი-რეალი | 12,0 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 4,6 | 3,3 | 30,0 | 15,0 | 1,8 |
| 21.30 | 2102 | მილანი-დორტმუნდი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 23.45 | 2103 | ბაზელი-იუვენტუსი | 4,2 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,6 | 20,0 | .10,0 | 3,6 |
| 23.45 | 2104 | დეპორტივო-მანჩესტ. | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| | | **19 მარტი** | | | | | | | | | |
| 23.45 | 2105 | ლევერკუზენი-ინტერი | 8,0 | 10,0 | 20,0 | 9,0 | 4,6 | 3,3 | 20,0 | 10,0 | 2,3 |
| 23.45 | 2106 | ნიუკასლი-ბარსელონა | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,3 | 4,6 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 23.45 | 2107 | რომა-აიაქსი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 23.45 | 2108 | ვალენსია-არსენალი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| | | **20 მარტი** | | | | | | | | | |
| 22.30 | 2109 | პანათინაიკოსი-პორტუ | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 23.00 | 2110 | ბეშიქთაში-ლაციო | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 00.05 | 2111 | ლივერპული-სელტიკი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 01.00 | 2112 | ბოავიშტა-მალაგა | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |

### ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

22.03 18.30 2601 გერმანია ბლ. (XXVI ტური) 25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9
22.03 16.00 2602 ინგლისი პლ. (XXXI ტური) 25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9
22.03 21.00 2603 იტალია "A" (XXVI ტური) 23 ან ნაკლები – 1,9, 25 ან მეტი – 1,9
22.03 00.30 2604 ესპანეთი Iდ. (XXVII ტური) 25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9
22.03 20.15 2605 საფრანგეთი დ. (XXXI ტური) 22 ან ნაკლები – 1,9, 24 ან მეტი – 1,9
21.03 01.00 2606 პორტუგალია Iლ.(XXVI ტური) 23 ან ნაკლები – 1,9, 25 ან მეტი – 1,9
21.03 23.00 2607 ჰოლანდია Iდ. (XXV ტური) 25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9
22.03 23.00 2608 ბელგია Iდ. (XXVII ტური) 26 ან ნაკლები – 1,9, 28 ან მეტი – 1,9
22.03 18.30 2609 თურქეთი (XXV ტური) 26 ან ნაკლები – 1,9, 28 ან მეტი – 1,9

### რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **18 მარტი** | | |
| 21.30 | 2201 | ლოკომოტივი-რეალი | 1.9 | 1.7 |
| 21.30 | 2202 | მილანი-დორტმუნდი | 1.9 | 1.7 |
| 23.45 | 2203 | ბაზელი-იუვენტუსი | 1.85 | 1.75 |
| 23.45 | 2204 | დეპორტივო-მანჩესტერი | 1.9 | 1.7 |
| | | **19 მარტი** | | |
| 23.45 | 2205 | ლევერკუზენი-ინტერი | 1.9 | 1.7 |
| 23.45 | 2206 | ნიუკასლი-ბარსელონა | 1.9 | 1.7 |
| 23.45 | 2207 | რომა-აიაქსი | 1.85 | 1.75 |
| 23.45 | 2208 | ვალენსია-არსენალი | 1.8 | 1.8 |
| | | **20 მარტი** | | |
| 22.30 | 2209 | პანათინაიკოსი-პორტუ | 1.75 | 1.85 |
| 23.00 | 2210 | ბეშიქთაში-ლაციო | 1.8 | 1,8 |
| 00.05 | 2211 | ლივერპული-სელტიკი | 1.75 | 1.85 |
| 01.00 | 2212 | ბოავიშტა-მალაგა | 1.7 | 1.9 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0:0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **18 მარტი** | | |
| 21.30 | 2401 | ლოკომოტივი-რეალი | 4.0 | 1.2 |
| 21.30 | 2402 | მილანი-დორტმუნდი | 1.9 | 1.9 |
| 23.45 | 2403 | ბაზელი-იუვენტუსი | 2.0 | 1.8 |
| 23.45 | 2404 | დეპორტივო-მანჩესტერი | 1.65 | 2.3 |
| | | **19 მარტი** | | |
| 23.45 | 2405 | ლევერკუზენი-ინტერი | 2.6 | 1.5 |
| 23.45 | 2406 | ნიუკასლი-ბარსელონა | 1.5 | 2.6 |
| 23.45 | 2407 | რომა-აიაქსი | 1.6 | 2.4 |
| 23.45 | 2408 | ვალენსია-არსენალი | 1.7 | 2.2 |
| | | **20 მარტი** | | |
| 22.30 | 2409 | პანათინაიკოსი-პორტუ | 1.7 | 2.2 |
| 23.00 | 2410 | ბეშიქთაში-ლაციო | 1.8 | 2.0 |
| 00.05 | 2411 | ლივერპული-სელტიკი | 1,55 | 2.5 |
| 01.00 | 2412 | ბოავიშტა-მალაგა | 1.8 | 2.0 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | **18 მარტი** | | |
| 21.30 | 2301 | ლოკომოტივი-რეალი | 1,75 | 1,85 |
| 21.30 | 2302 | მილანი-დორტმუნდი | 1,7 | 1,9 |
| 23.45 | 2303 | ბაზელი-იუვენტუსი | 1,75 | 1,85 |
| 23.45 | 2304 | დეპორტივო-მანჩესტერი | 1,7 | 1,9 |
| | | **19 მარტი** | | |
| 23.45 | 2305 | ლევერკუზენი-ინტერი | 1,7 | 1,9 |
| 23.45 | 2306 | ნიუკასლი-ბარსელონა | 1,7 | 1,9 |
| 23.45 | 2307 | რომა-აიაქსი | 1,7 | 1,9 |
| 23.45 | 2308 | ვალენსია-არსენალი | 1,75 | 1,85 |
| | | **20 მარტი** | | |
| 22.30 | 2309 | პანათინაიკოსი-პორტუ | 1,75 | 1,85 |
| 23.00 | 2310 | ბეშიქთაში-ლაციო | 1,7 | 1,9 |
| 00.05 | 2311 | ლივერპული-სელტიკი | 1,7 | 1,9 |
| 01.00 | 2312 | ბოავიშტა-მალაგა | 1,75 | 1,85 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | **18 მარტი** | | | |
| 21.30 | 2501 | ლოკომოტივი-რეალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 21.30 | 2502 | მილანი-დორტმუნდი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 23.45 | 2503 | ბაზელი-იუვენტუსი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 23.45 | 2504 | დეპორტივო-მანჩესტერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| | | **19 მარტი** | | | |
| 23.45 | 2505 | ლევერკუზენი-ინტერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 23.45 | 2506 | ნიუკასლი-ბარსელონა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 23.45 | 2507 | რომა-აიაქსი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 23.45 | 2508 | ვალენსია-არსენალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| | | **20 მარტი** | | | |
| 22.30 | 2509 | პანათინაიკოსი-პორტუ | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 23.00 | 2510 | ბეშიქთაში-ლაციო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 00.05 | 2511 | ლივერპული-სელტიკი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 01.00 | 2512 | ბოავიშტა-მალაგა | 3.0 | 2.8 | 2.0 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **I ტაიმის შედეგი** | | | | | | |
| | | **18 მარტი** | | | | | | |
| 21.30 | 2001 | ლოკომოტივი-რეალი | 6.0 | 2.8 | 1.65 | 1.9 | 1.29 | 1.03 |
| 21.30 | 2002 | მილანი-დორტმუნდი | 3,0 | 2.05 | 3.2 | 1.21 | 1.54 | 1.24 |
| 23.45 | 2003 | ბაზელი-იუვენტუსი | 3,3 | 2.05 | 2.9 | 1.26 | 1.54 | 1.2 |
| 23.45 | 2004 | დეპორტივო-მანჩესტერი | 2.3 | 2.1 | 4.6 | 1.09 | 1.53 | 1.44 |
| | | **19 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 2005 | ლევერკუზენი-ინტერი | 5.0 | 2.15 | 2.15 | 1.5 | 1.5 | 1.07 |
| 23.45 | 2006 | ნიუკასლი-ბარსელონა | 2.15 | 2.15 | 5.0 | 1.07 | 1.5 | 1.5 |
| 23.45 | 2007 | რომა-აიაქსი | 2.25 | 2.1 | 4.8 | 1.08 | 1.53 | 1.46 |
| 23.45 | 2008 | ვალენსია-არსენალი | 2.6 | 2.05 | 3.6 | 1.14 | 1.5 | 1.3 |
| | | **20 მარტი** | | | | | | |
| 22.30 | 2009 | პანათინაიკოსი-პორტუ | 2.45 | 2,05 | 4.0 | 1.11 | 1.51 | 1.35 |
| 23.00 | 2010 | ბეშიქთაში-ლაციო | 2.9 | 2.05 | 3.3 | 1.2 | 1.54 | 1.26 |
| 00.05 | 2011 | ლივერპული-სელტიკი | 2.1 | 2.15 | 5.3 | 1.06 | 1.5 | 1.52 |
| 01.00 | 2012 | ბოავიშტა-მალაგა | 2.9 | 2.0 | 3.4 | 1.18 | 1.56 | 1.25 |

უეფას თასი. შემდეგ ეტაპზე გასვლა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **20 მარტი** | | |
| 22.30 | 2701 | პანათინაიკოსი-პორტუ | 1,15 | 4,0 |
| 23.00 | 2702 | ბეშიქთაში-ლაციო | 3,5 | 1.2 |
| 00.05 | 2703 | ლივერპული-სელტიკი | 1,15 | 4,0 |
| 01.00 | 2704 | ბოავიშტა-მალაგა | 3,5 | 1.2 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# სტეფანიამ 17 ჩააგდო და 10 ამოაგდო



ნიკა ცქიტიშვილი სიეტლელი რეი ალენის დაკავებას ცდილობს

**წინა კვირაში** ვლადიმერ სტეფანიამ „სარბიელთან" ინტერვიუში თქვა: პატ რაილი საკმარისად არ მათამაშებს, თორემ, გუნდში არავისზე ნაკლები არ ვარო. მაგრამ მოხდა ისე, რომ „მაიამის" მწვრთნელმა ჩვენებური იმავე საღამოს 35 წუთით დაასაქმა „კლივლენდთან" მატჩში და სტეფანიამაც ორმაგი დუბლი შეასრულა. რაილიმ ქართველისთვის მომდევნო შეხვედრაშიც არ დაიშურა სათამაშო წუთები და სტეფანიასაც ცოტა დააკლდა კარიერის რეკორდს, 19 ქულამდე.

„მაიამიმ" ჯერ „ნიუ ორლეანი" იმასპინძლა. ფლორიდელთათვის ეს გუნდი ერთ-ერთი ყველაზე უხერხული მეტოქეა. „კრაზანები" ჯერ კიდევ შარლოტში სახლობდნენ, „მაიამი" გაწამებული რომ ჰყავდათ. „ჰორნეტსის" ბოლო 9 შეხვედრაში დამარცხებიდა ფლორიდელები და ტრადიცია არც ამ მატჩში დაირღვა. ბოლოს „მაიამის" 3 წლის წინანდელ პლეი ოფში ძლია „კრაზანებმა", რის შემდეგაც ისე დასუსტდა, რეგულარულ ჩემპიონატს ვერ გასცდა.

ერთი საინტერესო დამთხვევა გვინდა აღვნიშნოთ. ამ მატჩის გმირები და იმ, „მაიამის" ოლინდელი გამარჯვების გამომჭედავები ერთი და იგივე კალათბურთელები არიან. შამათ ჯამალ მაშბურნმა და ფი ჯეი ბრაუნმა ჯამში 41 ქულა ჩაუგდეს „მაიამის" და „ჰორნეტსს" მოაგებინეს. ამ ბიჭებმა იყოჩაღეს ამ გუნდების ზემოთ ნახსენებ 3 წლის წინანდელ შეხვედრაშიც, ოღონდ მაშინ ისინი „მაიამისთვის" იხვეჭდნენ ქულებს. იმ სეზონის ბოლოს მაშბურნი და ბრაუნი „ჰორნეტსში" გადაბარგდნენ და ყოფილი გუნდი მას მერე გაწამებული ჰყავთ.

„ორივე დიდი მოთამაშეა, მათ უკვე ზედიზედ მე-10 მარცხი შეგვამთხვიეს. არ უნდა გაგვიშვა გუნდიდან. მას შემდეგ მაშბურნი და ბრაუნი ცდილობენ, დაგვიმტკიცონ, რომ არასწორად მოვიქეცით, რასაც კარგად ახერხებენ კიდეც" — პატ რაილის ეს სიტყვები დაჭრილი კაცის ალსარებას ჰგავს.

თუმც ორლეანელებმა იოლად როდი იმარჯვეს. მაიამელებმა მოიგეს პირველი ტაიმი და საბოლოო წარმატებამდეც ალარაფერი აკლდათ, მაგრამ აქ იყოჩაღა მაშბურნმა, რომელმაც ბოლო წუთზე ოთხ ქულამდე გაზარდა „კრაზანათა" უპირატესობა.

რაც შეეხება მაიამელებს, მათგანაც ორი მოთამაშე გამოირჩა — მხოლოდ კერონ ბატლერმა და ვლადიმერ სტეფანიამ დაძლიეს 10-ქულიანი ნიშნული. სტეფანიამ იმ საღამოს უჩვეულო სიზუსტე გამოავლინა, თამაშიდან ნასროლი 10 ბურთიდან რვა ჩააგდო. ვოვას მესამე მეოთხედის ბოლოს უკვე 13 ქულა ჰქონდა გაკეთებული და პირადი რეკორდის (19 ქულა) გასაუმჯობესებლად, რომელიც სხვათა შორის, წინა სეზონში სწორედ „ჰორნეტსთან" დაამყარა, ჩინებული შანსი მიეცა. მაგრამ იმტაზე მისულმა ორლეანელებმა სტეფანიას აღარ დაანებეს და ჩვენებურმაც 17 ქულით დაასრულა მატჩი, რაც მისი გაქანების მოთამაშისთვის თავისთავად კარგი შედეგია.

ამ უქმეებზე „მაიამიმ" ერთი მატჩის ჩატარებაც მოასწრო და კვლავ წააგო, ამჯერად მაიკლ ჯორდანის „ვაშინგტონთან". პატ რაილის გუნდი საპატიო ანგარიშით კი დამარცხდა, მაგრამ მთელი თამაშის მანძილზე ისე, უიმედოდ აგებდა, წარმატების შანსი არც მისცემია. ამჯერად სტეფანია მხოლოდ მოხსნებით შეეშველა „მაიამის". 22 წუთში მას ხუთივე სროლა აუცდა და 10 მოხსნას გამორჩა.

თითქმის არაფერია სათქმელი დენვერულ ქართველზე — ნიკა ცქიტიშვილმა უკანასკნელი 7 მატჩის დარად „სიეტლთან" შეხვედრაც სასტარტოში დაიწყო, მაგრამ უხეიროდ გაისარჯა. ქართველმა ოთხივე სამქულიანი ააცილა და სამი ორიანიდან მხოლოდ ერთი ჩააგდო. მართალია დარჩენილ თამაშებში „დენვერის" თავკაც ჯეფ ბზდელიკს ცქიტიშვილის მაქსიმალურად დატვირთვა განუზრახავს, მაგრამ „სიეტლთან" მხოლოდ 19 წუთით დაასაქმა — ქართველი მეტს არ იმსახურებდა.

აი, ნამდვი ჯახი კი საკრამენტოში შედგა, სადაც ლიგის ორი საუკეთესო გუნდი შეასკდა ერთმანეთს. „დალასსა" და „საკრამენტოს" განსაკუთრებული შუღლი აქვთ, უფრო კი ტეხასელები ემტერებიან „მეფეებს", რაკი კალიფორნიელებს სიცილად არ ჰყოფნით დალასელთა პირველობა და საწინააღმდეგოს თითქმის ყოველი შეხვედრისას უმტკიცებენ. რაც ბობოლებში გაერია, „მავერიკსმა" ერთხელაც ვერ მოიგო საკრამენტოში, „არკო არენაზე" ბოლო 7 ლაშქრობიდან დალასელები შვიდჯერვე შერცხვენილნი წამოსულან. ახლა კი გატყდა ნავსი, ზედაძაბული ბრძოლა „დალასმა" ოვერტაიმში მოიგო და თავის თავს ღრიებით მაინც დაუმტკიცა, რომ არც ისე ბეჩავია, როგორც „საკრამენტოელები" უკიჟინებდნენ.

„დალასი" აუცილებლად წააგებდა, რომ არა მისი სხარტი გამთამაშებელი სტივ ნეში. კანადელმა მეოლსტარემ ძირითადი დროის ბოლო წამზე ზუსტი სამქულიანით თამაში ოვერტაიმში გადაიყვანა და იქ 12 ქულაც მიითვალა. „მეფეთ მეფე" კრის ვებერს კი უთქვამს, ერთი პლეი ოფში გადაგვეყარონ ეგ ცრუღიდერები და მათ საცოდაობას იქ განახებთო.

საცოდაობაო და მართლაც ასე იქნება, თუ ალან ჰიუსტონისთანა ყოჩაღი ჯეელი პლეი ოფში ვერ ითამაშებს. ჰიუსტონი უჯიგრო „ნიუ იორკში" ილვწის, რომელსაც ალანისთანა მარჯვე ბიჭი ერთი-ორიც რომ ჰყავდეს, არაფერი გაუჭირდება.

ჰიუსტონმა კვირას თავი გაიგიჟა და „მედისონ სკვერ გარდენში" ნასტუმრებ „მილუოკის" 50 ქულა ჩაუგდო. „ნიუ იორკმა", რა გასაკვირია, გაიმარჯვა და საპლეიოფო შანსები შეინარჩუნა.

**ირაკლი ბერტაია**

**14 მარტი**

**მაიამი 83:87 ნიუ ორლეანი**
მაიამი: ბესტი (6), რ. ბატლერი (8), კ. ბატლერი (25), ალენი (6), გრანტი (9); სტეფანია (28 წუთი, 17 ქულა, 3 მოხსნა, 1 ჩაჭრა), ჯეიმსი (4), ლემპლი (6), კარტერი (2)
ნიუ ორლეანი: ვესლი (11), ლინჩი (3), მაშბურნი (21), ბრაუნი (20), მაღუა (11); ანდერსონი (6), ტრეილორი (7), ოგმონი (4), მოისო, ალექსანდერი (4)

**15 მარტი**

**ვაშინგტონი 89:82 მაიამი**
ვაშინგტონი: ჰიუზი (5), ჯორდანი (19), სტეკჰაუსი (37), ლეიტნერი (8), ჰეივუდი (4); ლუ (5), რასელი (5), ბრაუნი (2), ვაიტი (2), სიმონსი (2)
მაიამი: ბესტი (16), რ. ბატლერი (10), კ. ბატლერი (14), ალენი (14), ჯეიმსი (8), გრანტი (16); სტეფანია (0 ქულა, 10 მოხსნა, 1 დაფარება), ლემპლი (2), კარტერი (2)

**16 მარტი**

**დენვერი 84:92 სიეტლი**
დენვერი: ჰარინგტონი (7), ბოუენი (6), ჰოვარდი (22), ცქიტიშვილი (2 ქულა, 2 მოხსნა, 2 პასი, 2 ჩაჭრა), ილარიო (11); ჰარვი (13), უილიამსი (6), იარბრო (7), კემბი (3), ვაიტი (4), ანდერსენი (3)
სიეტლი: ალენი (20), ბერი (14), ევანსი (5), ლუისი (24), დრობნიაკი (11); ოლი (4), რადმანოვიჩი (12), კემპბელი (2)

**14 მარტი**

**ინდიანა 101:81 იუტა**
ინდიანა: ბენდერი (22)
იუტა: მელოუნი (21)

**ატლანტა 107:104 ნიუ იორკი**
ატლანტა: აბდურ-რაჰიმი (33)
ნიუ იორკი: ჰიუსტონი (28)

**ჰიუსტონი 121:91 ჩიკაგო**
ჰიუსტონი: ჰოუზი (26)
ჩიკაგო: კრაუფორდი (23)

**საკრამენტო 119:84 ტორონტო**
საკრამენტო: ვებერი (26)
ტორონტო: პეტერსონი (16)

**ფილადელფია 90:79 პორტლენდი**
ფილადელფია: აივერსონი (22)
პორტლენდი: სტუდემაიერი (16)

**დეტროიტი 90:80 ვაშინგტონი**
დეტროიტი: ბილ[illegible]ი (25)
ვაშინგტონი: სტეკჰაუზი (24)

**მინესოტა 99:106 ლეიკერსი**
მინესოტა: გარნეტი (23)
ლეიკერსი: ბრაიანტი (30)

**სან ანტონიო 107:96 კლიპერსი**
სან ანტონიო: დანკანი (24)
კლიპერსი: ოდომი (26)

**გოლდენ სტეიტი 114:116 დალასი**
გოლდენ სტეიტი: არენასი (29)
დალასი: ფინლი (21)

**15 მარტი**

**ორლანდო 96:86 ნიუ ორლეანი**
ორლანდო: მაკგრეიდი (34)
ნიუ ორლეანი: ვესლი (24)

**დეტროიტი 71:81 ბოსტონი**
დეტროიტი: ბილაფსი (19)
ბოსტონი: პირსი (33)

**სიეტლი 88:94 გოლდენ სტეიტი**
სიეტლი: ლუისი (28)
გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (26)

**მილუოკი 94:98 ლეიკერსი**
მილუოკი: რედი (21)
ლეიკერსი: ონილი (24)

**16 მარტი**

**კლივლენდი 122:95 იუტა**
კლივლენდი: დევისი (28)
იუტა: მასენბურგი (20)

**მინესოტა 111:95 პორტლენდი**
მინესოტა: შჩერბიაკი (20)
პორტლენდი: უოლესი (18)

**მემფისი 124:92 ატლანტა**
მემფისი: ბეტიე (22)
ატლანტა: რობინსონი (23)

**სან ანტონიო 108:97 ჩიკაგო**
სან ანტონიო: პარკერი (25)
ჩიკაგო: მარშალი (29)

**ნიუ ჯერსი 87:92 ფილადელფია**
ნიუ ჯერსი: კიდი (23)
ფილადელფია: აივერსონი (31)

**საკრამენტო 123:129 დალასი**
ძირითადი დრო 111:111
საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (30)
დალასი: ნოვიცკი (34)

**ნიუ იორკი 120:111 მილუოკი**
ნიუ იორკი: ჰიუსტონი (50)
მილუოკი: მეისონი (23)

**ჰიუსტონი 85:75 ფინიქსი**
ჰიუსტონი: მინგი (20)
ფინიქსი: მარბერი (19)

**კლიპერსი 111:110 ტორონტო**
კლიპერსი: ოდომი (25)
ტორონტო: კარტერი (28)



## ევროპის ერთა თასი 2003. მეოთხე ტური

## ჩეხეთი — საქართველო

22 მარტი. პრაღა «ტატრა»

# ცაბაძეს სტკივა, მაგრამ მაინც ითამაშებს!



| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| .00 | 264 | პაარლემი-ვეენდამი | 1,9 | 3,4 | 3,5 | | | |
| .00 | 265 | ჰელმონდი-ეინდჰოვენი | 1,6 | 3,6 | 5,0 | 1,1 | 1,21 | 2,09 |
| .00 | 266 | ჰერაკლესი-დენ ჰააგი | 3,0 | 3,4 | 2,15 | 1,59 | 1,25 | 1,31 |
| .00 | 267 | ოსი-სიტარდი | 1,65 | 3,8 | 4,4 | 1,15 | 1,2 | 2,03 |
| .00 | 268 | იგლსი-ვენლო | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 269 | იგლსი-ვენლო 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| .00 | 270 | ემენი-დორდრეხტი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 271 | ემენი-დორდრეხტი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| | | 23 მარტი | | | | | | |
| .30 | 272 | ვოლენდამი-დენ ბოსხი | 2,15 | 3,4 | 3,0 | 1,31 | 1,25 | 1,59 |
| .30 | 273 | სპარტა-ტელსტარი | 1,7 | 3,5 | 4,4 | 1,14 | 1,22 | 1,94 |
| | | ბელგია. I დივიზიონი. XXVII ტური | | | | | | |
| | | 22 მარტი | | | | | | |
| .00 | 274 | ანტვერპენი-ლოკერენი | 3,5 | 3,3 | 1,95 | 1,69 | 1,25 | 1,22 |
| .00 | 275 | გენტი-ბეერსხოტი | 1,45 | 4,0 | 6,5 | 1,06 | 1,18 | 2,47 |
| | 276 | გენტი-ბეერსხოტი 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| .00 | 277 | სტანდარდი-ლომელი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |

წლევანდელ ე[illegible] მატჩს 22 მარტ[illegible] რებია, რომელი[illegible] ქართველებმა [illegible] მონპელიეს მახლ[illegible] ბი ალაგია. ბოლ[illegible] სპორტულ ბაზა[illegible] საქართველოს [illegible] გზე გამოიძახა:

**შერკინება:** [illegible] შვილი, ვანო [illegible] ნტი გიორგაძე [illegible] ზურაბ მჭედლ[illegible] ბოლქაშვილი [illegible] (მეტრო-რასინგი)

**უკანა ხაზი:** *ირაკლი აბუსერიძე, პალიკო ჯიმშელაძე (ორიაკი), მერაბ კვირიკაშვილი (ლელო), ირაკლი გიორგაძე (შალონი), ვასილ კაცაძე (აგდი), თედო ზიბზიბაძე, მალხაზ ურჯუკაშვილი (ტური), ირაკლი გუნდიშვილი (უნივერსიტეტი), ბადრი ხეხელაშვილი (ანგულემი)*

წინა ტურში რუსეთის მძლეველ ბორჯღალოსნებში სამი ცვლილებაა: სორელის ამჯერად არ გამოიძახა დავით ხინჩაგაშვილი, მამუკა გორგოძე და კახა ალანია, მათ მაგივრად ტრავმამორჩენილი ლევან ცაბაძე, გიორგი ჩხაიძე და ვასილ კაცაძე ითამაშებენ.

„მონფერანის" ბურჯ ლევან ცაბაძეს საზარდულის თიაქარი აქვს, თუმც ექიმებმა ვარჯიშის ნება დართეს. თუ თიაქარმა თავისით გაიარა, მაშინ ცაბაძე ოპერაციას ასცდება, თუ არა და... მანამდე კი, „ლეონსიომ" ვარჯიში განაახლა და ჩეხებთან ალბათ ითამაშებს კიდეც.

## 2003 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირი

# კორეისგან ქვალიც აღარ დარჩა

*უქმეებზე წლევანდელი მსოფლიოს თასის რეპეშაჟის ორი მატჩი გაიმართა. საფრანგეთში, ნეიტრალურ მოედანზე ესპანეთმა ერთმატჩა ბრძოლა მოუგო ტუნისს და მომდევნო წრეში გავიდა, ხოლო ტონგამ სტუმრად შეჭამა სამხრეთ კორეა და საპასუხო მატჩს აზრი დაუკარგა*

### სამხრეთ კორეა 0:75 ტონგა

საქართველოს ნაკრების ძველმა ნაცნობმა ტონგამ კორეელებისგან ქვა-ქვაზე არ დატოვა და მეტოქეს გამანადგურებელი ანგარიშით მოუგო. იმის გათვალისწინებით, რომ საპასუხო მატჩი ტონგაში გაიმართება, ეჭვგარეშეა, რომ მსოფლიოს თასის დარჩენილ მეორე საგზურს ტონგა დაეპატრონება.

### ესპანეთი 33:16 ტუნისი

მსოფლიოს თასის შესარჩევ ტურნირში, დისკვალიფიცირებული რუსეთის ნაცვლად, ალდგენილ ესპანეთს და ტუნისს ერთმანეთის მოედანზე თითო მატჩი უნდა ეთამაშათ, მაგრამ რუსთა აპელაციის გამო დრო გაიწელა და რეპეშაჟის ეს რაუნდი ნეიტრალურ მოედანზე გასამართ ერთ მატჩამდე შემცირდა. ნეიტრალურ მოედნად კი ფრანგული ვალენ დეჟენი შეირჩა და აქ გაირკა, ამ სანუგეშო ტურნირის ბოლო ეტაპზე აშშ-ს მეტოქის ვინაობა.

მატჩის პირველი ტაიმი ტუნისელებმა 13:3 მოიგეს, მაგრამ მეორე ორმოცწუთეულში ესპანელთა მასიურ შეტევებს ვერ გაუძლეს და მატჩის მიწურულს ფარ-ხმალი დაყარეს. ესპანელთაგან ყველაზე შედეგიანი იყო გარემარბი და დამრტყმელი მანუელ კასკარა, რომელმაც 13 ქულა მოუნაგრა თავისიანებს.

აპრილში, ესპანეთი აშშ-ს გაუმართავს ორმატჩა ბრძოლას და ამათში უკეთესი მსოფლიოს თასზე გაემგზავრება.

**ბაჩო სვანიძე**



## რეგულარული ჩემპიონატი

**14 მარტი**

ვაშინგტონი 1:3 ლოს ანჯელესი *1:1 0:1 0:1*
ბუფალო 2:4 ტამპა *1:2 1:1 0:1*
მინესოტა 3:1 ნეშვილი *0:0 2:0 1:1*
ფინიქსი 0:4 ჩიკაგო *0:2 0:1 0:1*

**15 მარტი**

ნიუ ჯერსი 3:1 რეინჯერსი *0:0 1:0 2:1*
პიტსბურგი 1:4 ფილადელფია *1:0 0:3 0:1*
დეტროიტი 5:3 კოლორადო *1:2 3:0 1:1*
ბოსტონი 4:1 ფლორიდა *1:0 0:1 3:0*
მონრეალი 1:2 ტამპა *0:0 1:1 0:1*
ატლანტა 5:3 ბუფალო *0:1 3:1 2:1*
ნეშვილი 0:1 სენტ ლუისი *0:0 0:0 0:1*
ვანკუვერი 0:1 ტორონტო *0:0 0:1 0:0*
ედმონტონი 4:3 დალასი *0:1 2:1 2:1*
კაროლინა 0:0 ლოს ანჯელესი
კოლუმბუსი 5:0 მინესოტა *5:0 0:0 0:0*
ოტავა 2:5 აილენდერსი *1:2 0:2 1:1*
ფინიქსი 4:2 ანაჰაიმი *3:0 0:1 1:1*
სან ხოსე 3:2 კალგარი *0:1 2:1 1:0*

**16 მარტი**

პიტსბურგი 2:4 ფლორიდა *0:1 2:2 0:1*
ვაშინგტონი 2:1 კოლორადო *2:0 0:1 0:0*
დეტროიტი 6:2 ოტავა *1:1 3:1 2:0*
ანაჰაიმი 2:2 კალგარი *0:0 0:2 2:0 0:0*

# კიმლეიტონიანი





კიმ კლაისტერსმა და ლეიტონ ჰიუიტმა ყველას მუშტი მოუღერეს

## ამ ფეხებში ფეხი არ ჩაგივათ. ჰიუიტისაა!



**PACIFIC LIFE OPEN**
**ინდიან უელსი. ჰარდი**
**კაცები**
**საპრიზო 2,245 მილიონი $**

**მეოთხედფინალი**

**ლეიტონ ჰიუიტი (1, ავსტრალია) — რობი ჯინეპრი (აშშ) 6:4, 6:2; რაინერ შიუტლერი (15, გერმანია) — ენდი როდიკი (6, აშშ) 6:3, 6:2; ვინსენტ სპედია (აშშ) — ბრაიან ვაალი (აშშ) 6:3, 6:2; გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) — ჯეიმს ბლეიკი (აშშ) 4:6, 6:4, 6:0**

**ნახევარფინალი**

**ჰიუიტი — სპედია 7:6 (7:5), 6:1; კუერტენი — შიუტლერი 6:2, 3:6, 6:2**

**ფინალი**

**ჰიუიტი — კუერტენი 6:1, 6:1**

**ქალები**
**საპრიზო 2,1 მილიონი $**

**ნახევარფინალი**

**კიმ კლაისტერსი (1, ბელგია) — კონჩიტა მარტინესი (26, ესპანეთი) 6:3, 6:2; ლინდსი დევენპორტი (4, აშშ) — ჯენიფერ კაპრიატი (2, აშშ) 6:4, 4:6, 6:4**

**ფინალი**

**კლაისტერსი — დევენპორტი 6:4, 7:5**

კაცთა ამქრის 22 წლის ავსტრალიელი პირველმჩოგნე ლეიტონ ჰიუიტი და მისი ბელგიელი ნანდაური, ქალთა კლასიფიკაციის მესამეადგილოსანი კიმ კლაისტერსი უკვე სამი წელია, ერთმანეთს ჰყვარობენ, მაგრამ იმის გაკეთება, რაიც ნებისმიერი ასეთი წყვილისთვის ყველაზე სანუკვარი ამბავია, მხოლოდ ამ უქმეებზე გამოუვიდათ.

ვინმეს რამე რომ არ ეგონოს, აქვე განვმარტავთ — ამ სამი წლის განმავლობაში ლეიტონმა და კიმმა ვერ იქნა და ერთ ტურნირზე ვერ იპირველეს, თორემ იმ ამბავში — მათი მარიფათისა და ენერგეტული მოწესრიგებულობის შემხედვარე — ვინძლო, ყველაფერი შაბაშად ჰქონდეთ.

რაღა ბევრი გავაიმასვქნათ, ინდიანუელსური მაგარსაფარი მსოფლიო ჩოგბურთის ამ სეფექუფეთისთვის დასტურ გამორჩეული ალაგი გამოდგა.

ხოლო როგორც სტატისტიკა გვაუწყებს, ისეთი რამ, რომ რაგინდარა ტურნირი ურთიერთმოსექსავე ქალსა და კაცს ერთდროულად აეკლოთ, 1974 წლის მერე აღარ მომხდარა. იმ წელს ლეგენდარულმა ამერიკელებმა — ჯიმი კონორსმა და კრის ევერტმა უიმბლდონურ კოინდარზე პარალელურად გაიჯლიგინეს.

საქმეში ჩახედულ მკითხველს ეგებ ანდრე აგასისა და შტეფი გრაფის მიერ 1999 წელს როლან გაროსის თიხნარზე ერთობლივი გაჩემპიონებაც გაახსენდეს, მაგრამ მას ალბათ ისიც ეხსომება, რომ ანდრე და შტეფი მაშინ მხოლოდ კოლეგები იყვნენ და ერთმანეთი შილიფად და რამე-რუმედ ჯერ არ ეხილათ...

ამისწინა უქმეებზე სკოტსდეილშიც ნაჩემპიონარი ჰიუიტისთვის ეს სეზონის მეორე, კარიერისა კი მე-19 ტიტული იყო, ადრეიანვარში სიდნეიში გალაღებულმა მისმა ფაშფაშა ლაზიერმა კი წლის მეორე, ხოლო კარიერის მე-15 ტიტული მიითვალა.

კიმის პირადი ბიუჯეტი 332 ათასი დოლარით გამდიდრდა, ლეიტონს კი შარშან მოპოვებული ტიტულის შენარჩუნება 400 ათას დოლარად დაუფასდა.

სეზონის პირველ მასტერსტურნირზე ნაჩვენებმა ჩაუქმა გარჯამ კისკასი ოზბიჭი სხვაფრივაც აზეირა — მან 12-თვიან მცოცავ რეიტინგსიაში მასსა და მისმომდევნო აგასის შორის არსებული 335-ქულიანი ნაპრალიც ჩოგანუხლებლად დაიცვა და ჩემპიონთა რბოლაშიც მეჩვიდმეტედან მეოთხე საფეხურზე აინაცვლა. რბოლაში მას ახლა 165 ქულა აქვს და იმავე აგასის (236) გარდა მხოლოდ გერმანელ რაინერ შიუტლერსა (226) და როჯერ ფედერერს (167) ჩამორჩება.

რაც შეეხება კლაისტერსს, ქალთა კლასიფიკაციაში მას აქამდეც მხოლოდ ბაყბაყდები — სერენა და ვინუს უილიამსები უსწრებდნენ, ხოლო დანარჩენებს — თვისტომ ენენ-არდენს (4), კაპრიატისა (5) თუ დევენპორტს (6) მან უკვე საკმაოზე მეტად გაუსწრო. სერენას 6939 ქულა აქვს, ვინუსს — 4994, კიმს — 4451, ენენ-არდენს — 3544, მათ მერე კი უკვე 2000-იანთა ჩამონათვალი მოდის...

სხვაფრივ — ჰიუიტი გახდა პირველი მეჩოგნე მაიკლ ჩანგის (1996-97) მერე, ვინაც ინდიან უელსში ზედიზედ ორჯერ გაჩემპიონება მოახერხა. ფინალში გუსტავო კუერტენთან მოგებული შეხვედრა მისი მე-16 საამსეზონო მატჩი იყო და ამ თექვსმეტიდან ის მხოლოდ ერთხელ, ავსტრალიის ღია პირველობის მეოთხე წრეში დამარცხდა.

მისი და გუგას ფინალური შეხლის ანგარიშმა კი არ გაგაკვირვოთ. ერთია და, ასე მოშუშპრავე ჰიუიტი ჯერ არც ერთ აქამომდელ ფინალში არ უხილავთ, ხოლო მეორეცაა და, სამგზის მეროლანგაროსე ბრაზილიელს მასიან პაექრობამდე წვიმის გამო შაბათიდან გადმოტანილი ნახევარფინალის მომთავრებაც მოუხდა.

ერთი სიტყვით, ჰიუიტმა კუერტენს გადაუარა და თავისი ჩასპანდლობით ისე მოხიბლა, რომ ნამატჩევს ასეთები ალაპარაკა:

„თუკი ამ დონეს შეინარჩუნებს, ის ანდრე აგასისა და პიტ სამპრასთან შესადარებელი მეჩოგნე გახდება... ის ყველა საფარზე მაგარია და ასე თუ განაგრძო, შვიდ-რვა სლემტიტულს თავისუფლად მოიპოვებს... რაც შეეხება ჩემს მარცხს, უმთავრესი მიზეზი მენტალური უკმარობა იყო — დილით ისედაც კაცურად დავიხარჯე და ფინალის წინ მარტო იმის წარმოდგენაც, რომ ბოლო წლებში ყველაზე მეტი ... მგებ კაცს უნდა შევხვედროდი, ... ლგვარი გარჯის ხალისი მართმევდა. კორტზე მოჩვარული გავედი და მალალად ჩავიფლავე."

კუერტენის ქათინაურებს ჰიუიტი ძალზედ თავდაჭერილად შეეგება და — კიდევ ერთი სლემტიტულიც თუ მოშევე, ეგეც ფანტასტიკა იქნებაო — ასე დასძინა.

ეს მათი მესამე შეხვედრა იყო და ოზბიჭი გუგას უკვე 2:1 უგებს...

კაცთა ტურნირზე კიდევ ერთი სიტყვაც უნდა ითქვას.

მეოთხედფინალში გასული ხუთი ამერიკელიდან — ანგარიშებიდანვე შეიტყობდით — ოთხმა ჩაიფლავა. მათგან ყველაზე დიდ იმედებს მასპინძლები ენდი როდიკზე, ავსტრალიის წლევანდელი ღია პირველობის ნახევარფინალისტზე ამყარებდნენ ვაგლახ — მელბურნის დარად ენდიბიჭს ამ ჯერზეც გერმანელმა შიუტლერმა უმტყუნა.

რაც შეეხება კლაისტერსს, სატიტულო კვარცხლბეკამდე მიმავალ გზაზე მას სერიოზული წინააღმდეგობა არავისგან შეხვედრია. მასიან ტოლსწორად გადავება ვერც ლინდსი დევენპორტმა, 1997 და 2000 წლების ჩემპიონმა მოახერხა, ვისაც კიმმა ბოლო ხუთ მატჩში უკვე მეოთხედ მოუგო.

ბუთქუნა ლინდსის შანსი ჰქონდა, გამხდარიყო ინდიან უელსის პირველი სამგზის ჩემპიონი ქალმეჩოგნე.

მაგრამ კიმი წლეულს მართლაც შეუდარებლად ჩოგნაობს. ადრეიანვარში, სიდნეურ ფინალში სწორედ დევენპორტის დამარცხების შემდეგ მან ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალამდე იომა და იქ სერენა უილიამსთან დაიმო. ამას ანტვერპენულსა და სკოტსდეილურ ფინალებში გასვლა და იქ, შესაბამისად, ვინუს უილიამსსა და აი სუგიამასთან დამარცხებები მოჰყვა...

ლეიტონის გოგო ჯერ 19 წლისაა და თავისი კაცის მგსავსად, ურიგო ჩოგბურთი მომავალი არც მას უნდა ეჯდანებოდეს.

დევენპორტთან გამარჯვების შემდეგ ის ჩინებულ ხასიათზე იყო:

„კიდევ კარგი, დღეს მე უფრო ადრე ვითამაშე, ვიდრე ლეიტონმა... როცა უფრო ადრე ის თამაშობს ხოლმე, მაგრად ვნერვიულობ და ჩემი შეხვედრისთვის ვეღარ ვემზადები. თვითონ თუ ნერვიულობს? ჰა-ჰა, როცა მე კორტზე წავედი, მას ჯერ კიდევ ეძინა. ჩანს, სულაც არ აღარდებდა, რას ვიზამდი."

საინტერესოა, როგორ აღნიშნავდნენ პარალელურ წარმატებას მიჯნურები.

„ალბათ ვახშამი სანთლების შუქზე და რამე, არა?"

ჰიუიტი: „არა მგონია, უფრო გოლფის სათამაშოდ წავალთ."

ჰმ!

**ლევან ძელაურაძე**



# ავადა ვართ, ავადა

## საქართველოს ნაკრებმა ოპერაცია გაიკეთა




რამაზ გურგენიძე

ბაჩო კორინთელის ფოტო

*საქართველოს ძალოსანთა ნაკრები წლევანდელ ევროპის ჩემპიონატს გამოტოვებს. ტურნირი, რომელიც 15-20 აპრილს ათენში გაიმართება, უქართველებოდ ჩაივლის. რაც უნდა პარადოქსული იყოს, ამის მიზეზი უსახსრობა კი არა, ნაკრების ძირითადი ბირთვის ტრავმიანობაა. მედლებისთვის ბრძოლას ვინ ჩივის, შტანგის აწევა საერთოდ აუკრძალეს მსოფლიოს ჩემპიონსა და ევროპის ვიცე-ჩემპიონ გიორგი ასანიძეს, აგრეთვე ნაკრების სხვა წევრებს გიორგი კობალაძეს, ზურაბ ავთანდილაშვილს და ალეკო ნოზაძეს. ასეთ ვითარებაში საქართველოს ძალოსნობის ფედერაციამ გადაწყვიტა, ევროპის ჩემპიონატზე უარი ეთქვა. გვესაუბრება ძალოსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი რამაზ გურგენიძე...*

— ნაკრები არ კომპლექტდება. გიორგი ასანიძემ მოსკოვში, გაიკეთა მხრის სახსრის ოპერაცია და ახლა მოსკოვშივე გადის სარეაბილიტაციო კურსს. ვარჯიშს ალბათ სამ კვირაში შეუდგება, ფორმაში კი ზაფხულისთვის შევა. გიორგი კობალაძემ შარშან დეკემბერში გაიკეთა კისრის მალის ოპერაცია და ექიმების ვარაუდით მაისის ბოლომდე ვერ ივარჯიშებს, ისევე როგორც ალეკო ნოზაძე, რომელსაც ერთდროულად რამდენიმე ტრავმა აწუხებს. ზურაბ ავთანდილაშვილს მხრის სახსრის ძალიან რთული ტრავმა აქვს, ისიც საოპერაციოა. ნაკრების წევრთაგან ერთადერთი, ვინც მწყობრშია, დავით პაპლიაშვილია, თუმც მან რომ რაიმე წარმატებას მიაღწიოს, მინიმუმ 335 კილოგრამი უნდა დაძლიოს, რაც მის პირად რეკორდს 15 კილოგრამით აღემატება. ასე რომ, გადავწყვიტეთ, ევროპის ჩემპიონატი გამოვტოვოთ და სრულად მოვემზადოთ ნოემბერში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის.

— ესე იგი, ნაკრების ათენში წაუსვლელობა მხოლოდ ტრავმების ბრალია და უსახსრობა აქ არაფერ შუაშია.

— დიახ, ასეა. ოლიმპიური კომიტეტი და სპორტის დეპარტამენტი დღესვე მზადარიან, გამოგვიყონ ის ათი ათასი დოლარი, რაც ჩვენს ევროპის ჩემპიონატზე მონაწილეობას ეყოფა, მაგრამ ჩვენ თავად ვთქვით უარი ათენში წასვლაზე.

**— ალბათ ის თანხა, რაც ევროპის ჩემპიონატისთვის გჭირდებოდათ, დაგეზოგებათ და მსოფლიოს პირველობისთვის გამოიყენებთ.**

— რა თქმა უნდა, ასე იქნება. ჩვენი მთავარი მიზანია, მსფლიოს ჩემპიონატზე გამოვიდეთ კარგად და ოლიმპიადისთვის სალიცენზიო ქულები დავაგროვოთ. ასე რომ, ეს თანხა დაემატება იმ ფულს, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატისთვის იყო გადადებული.

**— ძალოსნობის ფედერაციის წლიური ბიუჯეტი რამდენია?**

— ას ოცდაათი ათასი ლარი. აქედან ორმოცდაათ ათასს ოლიმპიური კომიტეტი გვაძლევს, ხოლო ოთხმოცი ათასს სპორტის დეპარტამენტი, ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტი დავით ბექუაშვილიც საკუთარი სახსრებით გვეხმარება, სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ძალოსანთა დარბაზს რემონტი გაუკეთდა და ახლა იქ ნორმალური სავარჯიშო პირობებია.



გიორგი ასანიძე

ბაჩო კორინთელის ფოტო

**— გამოდის, წინა წლებთან შედარებით ფინანსურად უკეთ ხართ?**

— რა შედარებაა... ოღონდ ეს ყველაფერი ფარდობითია. ისე კი, რაც მართალია, მართალია, წინა წლებთან შედარებით არ გვიჭირს.

**ბაჩო სვანიძე**

ჩემპიონთა ლიგა 2002-03 ქალები

ოთხთა ფინალი. 15-16 მარტი. პოლონეთი. ბილა

# საქართველოში იბადებოდნენ და მერე მუდამ სწუხდნენ ამაზე

# გახსოვს ვიკა, გლდანელი



ვინ არის ქალთა ჩემპიონთა ლიგის მეორედ მომგები და ამდენგზისვე ამ ტურნირის უძვირფასესი მოთამაშე? ვინ და ვიქტორია რავა, ქალი ჩამოქნილი სხეულით და ნატიფი სახით, აქვე, ჩაბნელებულ გლდანში გაზრდილი, ახლა კი ლაჟვარდოვან კანში მცხოვრები და იმავე ქალაქის სუპერგოგონა.

ვიქტორია რავა მსოფლიო ფრენბურთის ვარსკვლავია. მან პირადად გაიყვანა „კანი" ჩემპიონთა ლიგის ოთხთა ფინალში, იქ ჯერ იტალიური „მოდენა" დაამარცხებინა, შემდეგ კი მრისხანე ნიკოლაი კარპოლის „ურალოჩკა" და ზედიზედ მეორედ მოაგებინა „კანს" ევროპის მთავარი საკლუბო ტურნირი. თავად რავამ კი ტურნირის უძვირფასესი მოთამაშის პრიზი შეინარჩუნა. ვაგლახ, რომ წლეულს მან ამას მიაღწია როგორც ფრანგმა და არა ქართველმა. რავა უკვე საფრანგეთის მოქალაქეა და მალე ამ ქვეყნის ნაკრებშიც ითამაშებს. სხვა რა უნდა ექნა? ქართული სპორტის მამებს სულმლაფავი ფრენბურთისთვის არ სცალიათ და ქალთა ნაკრების შექმნას ვერ მოაბეს თავი. ვიქტორია კი იცდიდა, იცდიდა და...

ახლა უკვე გვიანია თითზე კბენა, ეგებ ამიერიდან მაინც აღარ დაიკარგნონ საქართველოსთვის ვიქტორიას დარი სპორტსმენები, თორემ მერე კვლავაც სინანულით გავაქნევთ თავს, როცა საქართველოში დაბადებულ-გაზრდილ და სხვა ქვეყნის სახელით გავარსკვლავებულ ჩვენიანს კამერები შემოარტყამენ ალყას, რუსი კომენტატორები კი იტყვიან: ვიქტორია რავა „ჩისტაია ფრანცუჟენკა"...

**ბაჩო სვანიძე**

საქართველოს ფრენბურთის ფედერაცია, ვეტერანი ფრენბურთელები და მეგობრები 65-ე დაბადების დღეს ულოცავენ ცნობილ ფრენბურთელს თამაზ კუჭავას



# ვარშავული ერთი მეორე ორიც მესამე

ამ შაბათ-კვირას ვარშავამ ძიუდოისტთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა, რომელიც წლევანდელ კალენდარში ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის მეექვსე სალიცენზიო შეჯიბრი იყო. საქართველოს ძიუდოისტებმა ევროპაში სხვადასხვა შემადგენლობით იასპარეზეს და მწვრთნელებმა ზოგი ისეთი სპორტსმენიც გამოსცადეს, რომელთა იმედი არათუ წლევანდელ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე, გნებავთ, ათენის ოლიმპიადაზე უნდა გვქონდეს, არამედ უფრო მოგვიანებით გასამართ შეჯიბრებებზე. გამონაკლისი არც ვარშავის ტურნირი იყო, სადაც მომავლისკენ მაცქერალი ქართველი ძიუდოისტები სრული საბრძოლო შემადგენლობიდან შორს იყვნენ. მიუხედავად ამისა, საერთო ჯამში ურიგოდ არ გამოსულან.

პოლონეთის დედაქალაქში 45 ქვეყნის 270 ძიუდოისტი შეიკრიბა. ჩვენიანთაგან ყველაზე უკეთ გამოვიდა ივერი ჯიქურაული (100 კგ), რომელიც ტრავმის გამო ბოლო ხანს საერთაშორისო ტატამზე არ ჩანდა. მას დაშავებული ფეხი ახლაც აწუხებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფინალამდე გამარჯვებულ ხუთივე ბრძოლაში გაიმარჯვა, გადამწყვეტ შეხვედრაში კი მსოფლიოს ჩემპიონატის უნგრელ ვერცხლისმედალოსან კოვაჩთან დამარცხდა.

მძიმეწონოსან ალექსი დავითაშვილს, რომელსაც საქართველოში მეტოქენი მოუმრავლდნენ, ვარშავაშიც თანაგუნდელ რამაზ ჩოჩოშვილთან მოუხდა შეტოქება და გამარჯვება. საბოლოოდ დავითაშვილმა მე-3, ჩოჩოშვილმა კი მე-5 ადგილები დაიკავეს. 66-კილოგრამიანებში მესამე იყო ზურა ებელაშვილი.

მე-5 ადგილზე გავიდნენ გიორგი გუგავა (100კგ) და გრიგოლ მამრიკიშვილი (82კგ), იმავე წონაში მოასპარეზე მინდია ბოლქველი კი მეშვიდე იყო.

**ავთანდილ ბუჩიშვილი**



*სულ სამი დღე, ფაქტობრივად ერთი უქმეები ეყო მსოფლიოს ჭერქვეშა სამძლეოსნო ჩემპიონატის ჩატარებას. 600-ზე მეტი სპორტსმენი სამი დღის განმავლობაში დარბოდა, ხტოდა, ისროდა, ჰკრავდა, ხარობდა და წუხდა ინგლისის მიდლენდში სამრეწველო ქალაქ ბირმინგემის დახურულ დარბაზში და ახალისებდა ამ ქალაქის მოსახლეობას.*

# ამერიკა მძლეველია მშვიდობაში დარბაზები, ომში ბაზები

2003 Birmingham 14-16 March 2003

ჩემპიონატი დასრულდა რუსი ჭოკით თამასაზე მხტომელი სვეტლანა ფეოფანოვას მსოფლიოს რეკორდით. ფეოფანოვა 480 სანტიმეტრ სიმაღლეს გადახტა და ორით გააუმჯობესა ამერიკელი სტეისი დრაგილას ძველი რეკორდი. თავად დრაგილამ უარი თქვა ბირმინგემში ხტომაზე. რუსებმა კიდევ ოთხი ოქრო მოიპოვეს და ჯამში 12 მედალი წამოიღეს. ურიგო შედეგი არ არის, მაგრამ მაინც გვარიანად ჩამორჩება ამერიკელთა ჯამურ მონაგარს, ოკეანგაღმელებმა კუნძულზე 10 ოქრო და შვიდიც სხვა მედალი მოიხვეჭეს.

შვიდი მედლით მესამე ადგილი მასპინძელმა ბრიტანეთმა დაიჭირა. აქედან ორი მედალი ოქროსია, რამაც სრულად ვერ დააკმაყოფილა კუნძულელთა მოთხოვნა. მათ სულ მცირე ერთი ოქრო ამოუვარდათ ჯიბიდან — მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო მძლეოსანმა სამხტომელმა ჯონათან ედვარდსმა პირველობა მარად მეორე შვედ კრისტიან ოლსონს დაუთმო ამჯერად.



REUTERS

სვეტლანა ფეოფანოვა





REUTERS

ჯონათან ედვარდსი ბოლო-ბოლო დამარცხდა შვედ კრისტიან ოლსონთან



# მაიერის მერე

## ებერჰარტერი გლობუსებს დააგროვებს



REUTERS

შტეფან ებერჰარტერი

ვილაცამ რომელიმე სახეობის რომელიღაც ეტაპი მოიგო, ორიოდ სხვამ სახეობაში პირველობა დაიჩემა, მაგრამ თუ წლევანდელ სამთო-სათხილამურო სეზონზე და მეთხილამურეებზე ჩამოვარდება სიტყვა, პირველ რიგში ერთი ხანდაზმული ავსტრიელის სახელ-გვარი უნდა წარმოითქვას.

34 წლის შტეფან ებერჰარტერმა მსოფლიოს თასის პირველივე ფერდობებიდან ისე აკრიფა, რომ ბოლომდე არავინ გაიკარა ქულები. სხვებზე ახლოს ამერიკელი ბოდე მილერი მისდევდა, მაგრამ ამაოდ. ებერჰარტერმა ოთხი სამთო სახეობიდან ორი — სწრაფდაშვება და სუპერგიგანტი მოიგო და ვინაიდან საერთო ჩათვლაში პირველი ადგილი დაიჭირა, ორ მცირე ბროლის გლობუსთან ერთად მთავარი პრიზი, დიდი გლობუსიც შეხვდა.

ებერჰარტერმა ზედიზედ მეორედ მოიგო მსოფლიოს თასი, რომელიც მისი და მანამდე ჰერმან მაიერის მიერ დანარჩენი სამთო-სათხილამურო სამყაროს ჩაგვრის გამო ავსტრიას არ გასცილებია. მაიერი გახსოვთ – ჰერმინატორი წლინახევრიანი უქმობის შემდეგ დაუბრუნდა თხილამურობას და ამ ნახევრად კოჭლმა კაცმა ლამის სასწაულები მოახდინა. ბოლოს ძველმა ნაავარიალმა ტრავმამ თავი შეახსენა და მაიერიც მომავალ სეზონამდე გამოაკლდა მოთხილამურეებს.

რაც შეეხებათ ქალებს, აქ უფრო ადრე გაირკვა საბოლოო გამარჯვებული, ვიდრე კაცებში. ყოჩაღმა ხორვატმა გოგონამ, სლალომის სპეციალისტმა იანიცა კოსტელიჩმა თავიდანვე შორს ჩამოიტოვა იტალიელი კარონ პუტცერი და შვედი ანია პაერსონი და მსოფლიოს თასი ხორვატიაში წაიღო.



REUTERS

იანიცა კოსტელიჩი


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოიჩვერია
დირექტორი გიორგი იქერომჭელიძე
რედაქტორი თამაზ ძირიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა ბუზარაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: თამაზ ოქრომჭედლიძე, გაგა ინასარიძე, მამუკა კვარტსხავა, ზაზა კვარაცხელია, კახა ძალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულუასშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში კახი იქრომპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ ლილეშკაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსავალიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge